

გვერდები შრი სტოია სანი გვერდი

12 უპანიშადა

ISBN 978-9941-0-6812-6



9 789941 068126



ჭეშმარიტი რეალობის
შეგნების პრაქტიკა

აღამიანის სიჭკვიანი, მოქმედებები და ქრევი
ეხმარება მას გაიგოს, რომ მის გულში
სიყვარული იხივრობს. სიხარული და უბედურება,
კარგი და რუდი გონების სფეროს ეხება, და არა თქვენ.
თქვენ არ ხართ შემქმნელი და მოქმედებათა
ნაყოფის დამგვიმოვლებელი.
თქვენ მარად თავისუფალი ხართ.
ამიტომ ძლიერხმევას ნუ დაიშურებთ იმისათვის, რომ
სიბრძნის თვალს, სიყვარულის თვალს დაეუფლოთ.

სერია: თანამედროვე ვეღანტა
ბჰაგავან შრი სატია საი ბაბა

12 უპანიშადა

ჯეშმარიტი რეალობის
შეხვედრის პრაქტიკა

თბილისი
2014

ფრინველისთვის ფრენის სწავლება საჭირო არ არის., ვინც უკვე მაღლაა, იმისთვის საჭირო არ არის ზემოთ ასვლა. მაგრამ ვისაც მაღლა ასვლა სწყურია, მან ჯერ უნდა ქედის ძალიან-ძალიან მოხრა ისწავლოს. მასწავლებლის ტერფებთან, იმის წმინდა ტერფებთან, ვინც უფრო მაღლაა და წმინდაა და ამიტომ უნარი აქვს განწმინდოს და მაღლა ასწიოს. ძირფესვიანად ამოძირკვოს ქედმაღლობა იმათში. ვინც „უფრო სუსტი“, „უფრო წარუმატებელი“, „უფრო საწყალია“. ჩვენ ყველა ერთ ნაგში ვართ, და ხვალ შეიძლება ადგილები გავცვალოთ. არ არსებობს ადამიანი სიყვარულის და თანაგრძნობის ღირსი რომ არ იყოს. ყველასთვის და ყველაში ერთი და იგივე ნათელი მზე ანათებს.

„უპანიშად“ ნიშნავს დაიხარო და დაჯდე. დაჯდე მასწავლებლის პირისპირ და გაირინდო, გახსნა ყური და გული, ხარბად ისმინო სიბრძნის სიტყვები და სვა ნექტარი უკვდავი ცოდნისა საკუთარი თავის შესახებ, და აღტაცებით თრთოდე ახალ აღმოჩენათა გამო. ცოცხალი სიბრძნის შეგნება მხოლოდ იმ გონებით შეიძლება, რომელიც გათავისუფლებულია ყველა მიბმულობისა და სიძულვილისაგან, ეგოიზმისა და საკუთრების გრძნობისაგან. როდესაც გულის ტბა ყლარტის ბლანტი ფენისაგან გასუფთავდება, „მე“ მთელი თავისი პირველარსებული ჩინებულებით გაბრწყინდება. ის, ვინც თავისი თავი ჰპოვა, თავყანისცემის ღირსია, რადგან ჭეშმარიტად განთავისუფლებულია. იგი **იმას** შეერწყა, ვისი შეცნობაც და ვისი საკუთარ თავში გახსნაც ასე სწყუროდა.

თავი 1 უპანოშაღ-პაპინი

ადამიანი თავისი ბუნებით ღვთაებრივია. თუმცა იგი თავის თავს განკერძოებულ და დროებით პიროვნებად თვლის, რადგან შებოჭილი და შეცდომაში შეყვანილია ხუთი ელემენტის¹ თვისებების მიერ, კერძოდ: ბგერით, შეხებით, ფორმით, გემოთი და ყნოსვით. სწორედ ეს შეცდომაა სიხარულის და მწუხარების, სიკეთის და ბოროტების, დაბადების და სიკვდილის მიზეზი. გათავისუფლება, რომელსაც სანსკრიტულად *კაივალია*, *მოკშა* ან *მუკთი* ჰქვია, ელემენტებთან კავშირის გაწყვეტა და მათ თვისებათა ბორკილების დაყრაა. დასახელებები შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ მიზანი მუდამ ერთია.

ადამიანის შემბოჭავი ხუთი ელემენტი მას ძლიერ მიდრეკილებას, განკერძოებულობასა და გულგატეხილობას უნერგავს. ყოველივე ამას იგი უბედურებისა და საცოდაობისკენ მიჰყავს. სიმდიდრე, საკუთრება – ავტომობილები, შენობები და ა.შ. – ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ელემენტების გარდაქმნაა. ადამიანს გატაცებით სურს ამ მიწიერ „სიკეთეებს“ დაეუფლოს; როდესაც წარუმატებლობას განიცდის ან ყველაფერს კარგავს, რაც კი გააჩნდა, იგი ზიზღით უკუაგდება მათ.

განვიხილოთ ეს ხუთი ელემენტი ერთიმეორის მიყოლებით. ყველა ცოცხალი არსების საფუძველში პირველი მათგანი დევს, კერძოდ კი მიწა. წყალი, მეორე ელემენტი, მიწის საფუძველია. წყალი ჩნდება ცეცხლისგან, მესამე ელემენტისგან, ცეცხლი კი, თავის მხრივ, მეოთხე ელემენტისგან, ჰაერისგან ჩნდება. ჰაერს ბადებს ეთერი (სივრცე), ანუ *აკაშა*. *აკაშა* ჩნდება თავდაპირველი ბუნებიდან, თვით თავდაპირველი ბუნება კი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის სიდიადის - უმაღლესი მბრძანებელი *ატმანის*, *პარამა-ატმანის* - ერთ-ერთი ასპექტის გამოვლინება.

ისწრაფის რა მიაღწიოს *პარამა-ატმანს*, სამყაროს წყაროსა და გულს, ხუთი ელემენტის ხაფანგში გაბმულმა ინდივიდუუმმა, *ჯივიმ*, თვითგანდგომისა და გარჩევის უნარის განვითარების დაუღალავი პრაქტიკის წყალობით ერთიმეორის მიყოლებით უნდა დაყაროს ბორკილები. ასეთი ადამიანი არის *ხადჰაკა*²; ის, ვინც ბრძოლაში იმარჯვებს, იწოდება *ჯივანმუკთა*, ანუ

¹ ბუნების ხუთი ელემენტი (ხუთი სტიქია) – მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, სივრცე. „სიმკვრივის“ შემცირებასთან ერთად მათი თვისებების რაოდენობა მცირდება (მიწას ყველა ხუთი თვისება აქვს, სივრცეს კი მხოლოდ ერთი თვისება – ხმა).

² *ხადჰაკა* – სულიერი მადიებელი, ადამიანი, რომელიც სულიერი გზით მიდის და სულიერი პრაქტიკითაა დაკავებული.

„სიცოცხლეშივე გათავისუფლებული“. გამჭრიახობისა და საკუთარი ბუნების მზერის უნარის სრულყოფისათვის აუცილებელია უპანიშადების შესწავლა. ერთად აღებული უპანიშადები ატარებს სახელწოდებას „ვედანტა“. ისინი შეადგენს ვედების ჯნიანა-კანდას, ანუ განყოფილებას, რომელიც **უმაღლეს სიბრძნეს** ეხება. უმეცრების შედეგებისგან გათავისუფლება მხოლოდ ცოდნის, *ჯნიანას* დახმარებით შეიძლება. თვითონ უპანიშადები აცხადებენ: „*ჯნიანად ევა ტუ კაივალიაშ*“ - „მხოლოდ ცოდნითაა შესაძლებელი თავისუფლების მოპოვება“.

როგორც ცნობილია, ვედები სამწახნაგაა (*კანდა-ტრაიატმაკამი*), და ეს სამი წახნაგი ან განყოფილება *ჯნიანას*, *უპასანას* და *კარმის* (ცოდნის, თაყვანისცემის, მოქმედების) არსია. ყველა სამ ნაწილს ვნახულობთ უპანიშადებში, მათში ასევე ჩადებულია საფუძველი ფილოსოფიური სისტემებისა – *ადვაიტას*, *ვიშიშტადვაიტას* და *დვაიტასი* (არადუალიზმის, შეზღუდული არადუალიზმის და დუალიზმისა).

თვით სიტყვა „უპანიშადა“ ნიშნავს თავდაპირველი ჭეშმარიტებების „შეგნებას“ და გამოყენებას. *ბრაჰმავედი* (დვთაებრივი ცოდნა) სულიერი მზერის უპირატესობას ხსნის: გაგება *იოგაშასტრა*¹ ნიშნავს გონების დაძაბულ მუშაობას, რომელსაც წარმატება მოაქვს. რა არის ის მთავარი, რისი გაგებაც საჭიროა? არის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება, რომელიც მთელი არსებულის საფუძველში დევს. უპანიშადები ამ ჭეშმარიტების მიღწევის სახვადასხვა ხერხს გვთავაზობენ და სხვადასხვა ეტაპებს აღწერენ ამ გზაზე.

სიტყვა უპანიშადა აზრით არის შევსებული. *უპა* ნიშნავს სწავლის პროცესს, რაც განუყოფელია *ნიშთჰისაგან* – შეუპოვრობისაგან, გულმოდგინებისაგან; *შად* ნიშნავს ჭეშმარიტი რეალობის, პირველადი არსის შეგნებას. სწორედ ამიტომ გაჩნდა ეს დასახელება – უპანიშადები. უპანიშადები არა მხოლოდ *ატმავედიას* (*ატმანის*, ჭეშმარიტი „მე“-ს) პრინციპებს გვასწავლიან. ისინი მათში ჩაწვდომის პრაქტიკულ გზებსაც აშუქებენ. ისინი არა მხოლოდ ჩვენს ვალდებულებებზე და ვალზე ამახვილებენ ყურადღებას, არამედ იმ მოქმედებებზეც, რომლებიც სასურველია, და რომლებსაც, პირიქით, თავი უნდა ავარიდოთ.

გიტა² სხვა არაფერია, თუ არა უპანიშადების არსი. როდესაც გიტას გაკვეთილი შეითვისა, არჯუნამ უპანიშადების შესმენის უნარიც შეიძინა. უპანიშადებში ვპოულობთ გამოთქმას *ტატ ტვამ*

¹ *იოგაშასტრა* – *იოგა* (შეერთება, გზა, პრაქტიკა, შესწავლა) + *შასტრა* (წმინდა ტექსტი).

² გიტა, ბჰაგავად გიტა – დვთაებრივი გალობა, კრიშნას და არჯუნას დიალოგი, ინდუიზმის ცნობილი კანონიკური ტექსტი, მაჰაბჰარატას ნაწილი.

ახი, ანუ „შენ ხარ ის“. გიტაში კრიშნა არჯუნას ეუბნება: „პანდავებს შორის მე არჯუნა ვარ“, ანუ სხვა სიტყვებით „მე და შენ ერთნი ვართ“. იგივე აზრია ჩადებული ფრაზაში „შენ ხარ ის“, ანუ ჯივა და იშვარა (ინდივიდუუმი და უზენაესი) ერთნი არიან.

ამრიგად, იქნება ეს გიტა თუ უპანიშადები, მათს საფუძველში ერთი მოძღვრება დევს – არადუალიზმი, არაორობითობა, ანუ დასრულებული მონიზმი. ადამიანის თვალს უნარი არ აქვს მიკროსკოპულად მცირე გაარჩიოს ან უსაზღვროდ დიდი მოიცვას. მას არ შეუძლია ვირუსში, ატომში ან ვარსკვლავურ გალაქტიკაში შეადწიოს. ამიტომ აღჭურვეს თვალი მეცნიერებმა ტელესკოპით და მიკროსკოპით. ამგვარადვე შეუძლიათ ბრძენებს ღვთაება დაინახონ სიბრძნის თვალის დახმარებით, რომლის გახელაც *დჰარმის*, მართლქმედების კანონის დაცვისა და სულიერი დისციპლინის წყალობით შეიძლება. თუ ერთი ციცქნა ჭიის ან ვირუსის გასარჩევად ადამიანის თვალი ასეთ რთულ დამხმარე ინსტრუმენტებს მიმართავს, ნუთუ შეუძლია ადამიანს უარი თქვას სურვილზე ყველგან მსუფვე ტრანსცენდენტურ პრინციპს ჩასწვდეს *მანტრების* გულმოდგინე გამეორების დახმარებით? ეჭვგარეშეა, უადრესად ძნელია სიბრძნის თვალის შექმნა. ამისათვის აუცილებელია კონცენტრაცია. მდგრადი კონცენტრაციის განვითარებისთვის კი სამი რამ არის მნიშვნელოვანი: ცნობიერების სიწმინდე, ზნეობრივი სიფხიზლე, სულიერი გარჩევის უნარი. ჩვეულებრივ ადამიანთა უმრავლესობისთვის ეს თვისებები ძნელად მისაღწევია.

ადამიანს გააჩნია გამოცნობის, განხილვის, ანალიზის და სინთეზის განსაკუთრებული ინსტრუმენტი, რაც მას ცხოველთა სამეფოს სხვა დანარჩენი არსებებიდან გამოყოფს. იგი ვალდებულია ეს ინსტრუმენტი სასიკეთო მიზნებისათვის გამოიყენოს. მისი დახმარებით ადამიანს შეუძლია მისთვის დამახასიათებელ ღვთაებრიობას ჩასწვდეს.

ამის ნაცვლად ადამიანი თავის თავს და სხვებს აწვალებს დაუსრულებელი კითხვებით: სად იმყოფება ღმერთი? თუ იგი რეალურია, რატომ ვერ ვხედავ მას?“ ჭეშმარიტად, ეს საცოდავი მკითხელები მხოლოდ შებრალების ღირსნი არიან! ისინი საკუთარი უგუნურობის შესახებ ღიად აცხადებენ, იმ ჩერჩეტებს გვანან, რომლებსაც უნივერსიტეტის დიპლომის მიღება სწყურიათ, ამასთან ანბანიც კი არ შეუსწავლიათ. მათ იმედი აქვთ ღმერთი ისე შეიგნონ, რომ სულ მცირე ძალისხმევაც კი არ გამოიჩინონ ამისათვის აუცილებელი პრაქტიკისათვის (*სადჰანასათვის*). ადამიანები, რომლებსაც ზნეობრივი სიწმინდე და ძალა არ გააჩნიათ, ღმერთზე და მის არსებობაზე მსჯელობენ

და მისი დანახვის ყველა მცდელობის უსარგებლობის შესახებ აცხადებენ. ასეთი ადამიანები ღირსნი არ არიან, რომ მათ მოუსმინონ.

სულიერი პრაქტიკა წმინდა *შასტრებზე* დამყარებული. *შასტრების* სიბრძნის დაუფლება მყისიერად შეუძლებელია. მისი შეგნება ჩვეულებრივი საუბრის პროცესში არ ხდება. მასში ჩადებული ცოდნა უპანიშადებშია კონცენტრირებული; ამიტომ მათ თაყვანს სცემენ როგორც უმაღლეს ავტორიტეტს. უპანიშადები ადამიანის გონების ქმნილებას არ წარმოადგენს; ისინი თვით ღმერთის ნაზი ხმითაა ნაჩურჩულები, მარად ცოცხალი ვედების ნაწილია. ისინი ვედების მბრწყინავი ღიდეებითაა გამსჭვალული.

უპანიშადები ნამდვილი და ავტორიტეტულია, რადგან ვედების ღიდეებს იზიარებენ. ისინი 1180 შეადგენს, მაგრამ დროთა განმავლობაში მრავალი მათგანი ადამიანის მეხსიერებიდან გაქრა, და ჩვენს დრომდე 108 მოადწია. ამ ას რვიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ცამეტი მათი შინაარსის სიღრმისა და მნიშვნელობის გამო.

ბრძენმა ვიასამ უპანიშადების კლასიფიცირება მოახდინა და ყოველი მათგანი ერთ-ერთ ვედას მიუერთა. რიგვედაში 21 განყოფილებაა, და ყოველი განყოფილება თითო უპანიშადას შეიცავს. იაჯურვედა შედგება 109 ნაწილისა და 109 უპანიშადასაგან. ადჰარვავედა 50 შტოდ იყოფა, და ყოველ მათგანს თითო უპანიშადაა მიერთებული. სამავედას 1000 შტო გააჩნია, და დარჩენილი 1000 უპანიშადა საერთო რიცხვს ამატებს. ასეთი სახით ვიასამ 1180 უპანიშადა ოთხ ვედას შეუფარდა.

შანკარაჩარიამ კიდევ ათი უპანიშადა გახადა ცნობილი, და ისინი კომენტარების შესადგენად შეარჩია; მათ ამიტომაც აქვთ განსაკუთრებული ღირებულება. ეს ათი განსაზღვრავს ადამიანის მოდგმის შემდგომ ბედს: მის დაღუპვას ან ღიდეებს. ვისაც კაცობრიობის კეთილდღეობა და პროგრესი აღელვებს, ისინი შიშობენ, რომ ეს ათიც დავიწყებას მიეცემა, რადგან მათი უგულებელყოფა სულიერი და ზნეობრივი კატასტროფით დასრულდება. თუმცა მსგავსი საშიშროებისთვის საფუძველი არ არსებობს. ვედებს ვერაფერი ავნებს. *პანდიტებმა* (ღვთისმეტყველებმა) და *მორწმუნეებმა* უნდა ძალები გააერთიანონ და კაცობრიობას ყოველ ამ ათი უპანიშადას აზრი მაინც აუხსნან. მათი დასახელებები შემდეგია: იშა, კათკა, პრაშნა, მუნდაკა, მანდუკია, ტაიტირიია, აიტარეია, კენა, ჩჰანდოგია და ბრიჰადარანიაკა.

დანარჩენი 98-ის დასახელებაა: ბრაჰმა, კაივალა, შვეტაშვა, ჯაბალი, ჰამსა, გარბჰა, არუნი, პარამაჰამსა, ამრიტანანდა, ნარაიანი, ამრიტაბინდუ, ათჰარვაშიქჰა, ათჰარვაშირა, კაუშიტაკი, მაიტრაიანი, ნრისიმჰატჰანი, ბრაჰმაჯაბალი, მაიტრეია, კალაგნირუდრა, სულაბჰა, მანტრიკა, ქშითჰი, ნირალამბა, სარვაჰარა, ვაჯრასუჩიკა, შუბჰარაჰასია, ტეჯობინდუ, ნადაბინდუ, დჰიანაბინდუ, ბრაჰმავედიკა, ატმაბოდჰაკა, იოგა, ტატვა, ნარადაპარივრადჯაკა, ბრაჰმანა, სიტა, იოგაჩუდამანი, ნირვანა, მანდალა, დაქშინამურტი, სკანდა, სარაბჰა, ადვაიტა, ტარაკა, მაჰანარაიანა, სობჰაგიალაქშიმი, სარასვატირაჰასია, მუკთიკა, ბჰავარიჩა, რამატაპანა, რამარაჰასია, მუდგალი, ვასუდევა, პინგალა, შანდილია, მაჰაბჰიქშუკა, იოგაშიქშა, სანიასა, ტურიიატიტჰა, პარამაპარივრაჯაკა, ნარასიმჰა, აქშამალიკა, ანაპურნა, ეკაქშარა, აქშიკა, ადჰიატმა, სურია, კუნდისაქჰია, ატმა, სავიტრი, პარაბრაჰმა, პაშუპატა, ტრიპურატაპანა, ავაღჰუტა, ტრიპურა, დევი, ბჰავანა, კათჰა, იოგაკუნდალი, რუდრაჰრიდაია, რუდრაქშა, ბჰასმა, დარშანა, განაპატი, ტარასარა, მაჰავაკია, პანჩაბრაჰმა, გოპალატაპანი, პრანაგნიჰოტრა, გარუდა, კრიშნა, დატატრეია, ვარაჰა, იაჯნავალკია, სატიიანა, ავიაქტა, ჰაიიაგრივა და კალისანტარანა.

უპანიშადები ასევე შთაგონების წყაროდ წარმოჩინდა მრავალი შრომის დაწერისათვის გეოგრაფიაში, ასტრონომიაში, ასტროლოგიაში, ეკონომიკისა და პოლიტიკის თეორიაში, აგრეთვე 18 პურანასი¹, მათ შორის სკანდა, შივა, გარუდა პურანასი და სხვა. ვედები და უპანიშადები *სანატანა-დჰარმის* (მარადიული *დჰარმის*) თვით საფუძველია.

აუცილებელია ერთი საინტერესო განსაკუთრებულობა აღვნიშნოთ. ვედების რელიგიას, ყველა დანარჩენისგან განსხვავებით, ერთი კონკრეტული დამფუძნებელი არ ჰყავს. მისი უხილავი და შეუცნობადი დამფუძნებელია ღმერთი, ყოველი სიბრძნის წყარო. იგი *სანატანა-დჰარმის* წინასწარმეტყველია. იგი დამფუძნებელია. მისი წყალობა და შთამაგონებელი სული გულით სუფთა ბრძენებში განხორციელდა, და მათი ბაგეებით თვით *დჰარმა* აღაპარაკდა. როდესაც ადამიანის ზნეობა დაცემას განიცდის, ღვთაებრივი წყალობა და ღვთაებრივი შთაგონება ბრძენებზე და მასწავლებლებზე ეშვება. უპანიშადების სიტყვის მეშვეობით უფალმა გვიბოძა *სატია-ჯნიანა* – სიბრძნე, რომელიც ჭეშმარიტებაზეა დაფუძნებული.

¹ პურანები – ინდოეთის უძველესი მითები და ლეგენდები.

თავი 2 იშავასია-უპანიშადა

ვინც ცოდნაც იცის და არცოდნაც,
ერთიც და მეორეც ერთად,
ის, გადააბიჯებს რა სიკვდილს
არცოდნის წყალობით,
იძენს უკვდავებას
ცოდნის წყალობით.

იშავასია-უპანიშადა,
ჰიმნი მთელი არსებულის პირველსაფუძველს, 9

მსოფლიოს აღორძინების განზრახვით უფალმა კაცობრიობას ვედები უბოძა ჰირანიაგარბჰას¹ მეშვეობით, ჰირანიაგარბჰამ კი, თავის მხრივ, ისინი თავის ათ სულიერ ვაჟს გადასცა, ატრის და მარიჩის ჩათვლით. მათგან ვედების სიტყვა თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ადამიანებს შორის ასე გავრცელდა. ასწლელულების განვლასთან და მატერიკების გადაადგილებასთან ერთად ზოგიერთი ვედა დაკარგულ და დავიწყებულ იქნა როგორც გააზრებისთვის მეტისმეტად რთული, და ჩვენს დრომდე მხოლოდ ოთხმა მათგანმა მოაღწია. მათი სიბრძნე თავის მოსწავლეებს დვაპარა-იუგაში² გადასცა ვედების ამხსნელთა შორის უდიდესმა – ვედავიასამ.

როდესაც ვიასა ვედების ახსნით იყო დაკავებული, და თავის მოსწავლეებს წმინდა ტექსტების არსს განუმარტავდა, ერთ-ერთმა მათგანმა, სახელად იაჯნავალკიამ, *გურუს* მრისხანება დაიმსახურა და იძულებული იყო სასჯელის სახით თავისი თავიდან იაჯურვედა ამოეთხია, რომლის სიბრძნის შეთვისებაც მან უკვე მოასწრო, და, დაუტოვა რა იგი მასწავლებელს შესანახად, მისი სავანე დატოვა და თავშესაფარი მონახა სურიადევასთან³ – ვედური სიბრძნის საგანძურთან. მისი წასვლისთანავე წმინდა ბრძენები (*რიშები*), რომლებიც ვედების წინაშე მოკრძალებულნი იყვნენ, ფრინველ ტიტირიების სახით ვიასას სახლთან მიფრინდნენ. მათ იაჯნავალკიას დატოვებული იაჯურვედა აკენკეს. ვედების ამ შესანიშნავ თავს ასეც ჰქვია – „ტაიტირიია“.

¹ ჰირანიაგარბჰა – ვედების თანახმად – სამყაროს „ოქროს ჩანასახი“, გაიგივებულია ღმერთ-პირველმშობელ, შემქმნელ ბრაჰმასთან.

² ვედების თანახმად, არსებობს ოთხი სამყაროებრივი პერიოდი – სატია-იუგა, ტრეტა-იუგა, დვაპარა-იუგა და კალი-იუგა, ყოველი მომდევნო მეოთხედჯერ მოკლეა მის წინამორბედზე. ისინი ერთად ქმნიან მაჰა-იუგას. ბრაჰმას 1 დღე ათას ღვთაებრივ იუგას უდრის, 1 ღვთაებრივი იუგა 12 ათას ადამიანურ იუგას უდრის.

³ სურიადევა – მზის ღმერთი.

ამ დროს სურიაღევა ძალიან კმაყოფილი იყო გამრჯე იაჯნავალკიას გულმოდგინებითა და ერთგულებით. მან *კაჯის*, ცხენის ფორმა მიიღო, იაჯნავალკიას გამოეცხადა და იაჯურვედას განახლებულ ცოდნაზე აკუროხა. სურიაღევა-ვაჯის მიერ გადმოცემული ვედების თავები იმ დროიდან ცნობილია როგორც „ვაჯასანეია“. ვედავიასას ახსნაში იაჯურვედა ატარებს დასახელებას კრიშნა-იაჯურვედა („მუქი იაჯურვედა“; სახელი, რომელიც ვიასას დაბადების დროს მიეცა არის კრიშნა დეაიპაიანა), იაჯნავალკიას მიერ გადმოცემული კი – შუკლა-იაჯურვედას („ნათელი იაჯურვედა“) დასახელებას. მათ შორის პირველი რამდენიმე თავი შედგება *მანტრებისაგან*, რომლებიც დაკავშირებულია *კარმა-კანდასთან* (განყოფილებასთან *კარმის* შესახებ), ბოლო თავები კი განეკუთვნება *ჯნიანა-კანდას* (განყოფილებას ცოდნის შესახებ).

იშავასია-უპანიშადა *ჯნიანა-კანდასთან* დამოკიდებულებაშია. რამდენადაც ამ უპანიშადას პირველი *მანტრა* იწყება სიტყვებით „იშავასიამ“, ამიტომ უპანიშადა იმავე დასახელებას ატარებს.

იშავასიამ იდამ სარვამ იატკინ-ჩა

ჯაგატიაძ ჯაგატ

ტენა ტიაგტენა ბჰუნჯითჰაჰ

გრიდჰაჰ კასია-სვიდ დჰანამ

ამ სამყაროში, დროებითში და წარმავალში, ყველაფერი ღმერთითაა აღვსილი, რომელიც სწორედ ყველაფრის და ყოველის ჭეშმარიტი არსია. ამიტომ ყველასთან და ყველაფერთან დამოკიდებულება მოკრძალებული უნდა იყოს, და არ უნდა იყოს განცდა არც სიხარბისა, არც დაუფლების სურვილისა, რადგან ამ სამყაროში ყველაფერი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის და მეტი არავის, - აი რაშია ამ შლოკას აზრი.

სხვა სიტყვებით, ღმერთი სამყაროსთვის იმანენტურია¹ (განუყოფლად დამახასიათებელია). სამყარო ღმერთის ფორმაა, მისი სხეულია. არ არის სწორი ვთვლიდეთ, რომ არის განსხვავება სამყაროსა და მის მეუფეს შორის. ეს ცდომილება ადამიანის წარმოდგენის შედეგია. ისევე, როგორც თქვენი ანარეკლი წყალში თქვენგან არაფრით განსხვავდება, სამყარო, რომელიც თქვენი უმეცრებით შექმნილი გამოსახულებაა, ღმერთთან ერთიანია, მთლიანია.

სანამ ადამიანი ამ ილუზიის წყვდიადში იმყოფება, მას უნარი არ აქვს დაინახოს რეალობა, რომელიც მისთვისაა

¹ იმანენტური – განუყოფლად დამახასიათებელი.

დამახასიათებელი; უფრო მეტიც, მის გონებას მცდარი იდეები დაეპატრონება, რომლებიც მას მცდარ სიტყვებთან და ქცევებთან მიიყვანს. წყალში მოთავსებული სანდალის ხის ნაჭერი დროთა განმავლობაში არასასიამოვნო სუნს გამოსცემს; მაგრამ როგორც კი გავაშრობთ და ფხვნილად ვაქცევთ, თავდაპირველი არომატი აღდგება. თუ ვედებისა და შასტრების ავტორიტეტს პატივს ვცემთ, თუ გარჩევის უნარი *დჰარმაკარმების* (მართლქმედითი, სასიკეთო *კარმების*) დაუღალავი პრაქტიკითაა გამახვილებული, არამართლქმედებისა და ბოროტების მავნე სუნი გაქრება და *ატმანის* სუფთა პირველარსებულ არომატს დაუთმობს ადგილს. გაქრება დაპირისპირება „მომქმედსა“ და „მოქმედებათა შედეგების დამგემოვნებელს“ შორის, და თქვენ მიაღწევთ სტადიას, რომელსაც ჰქვია *სარგაკარმასანიასა*, ანუ ყოველი მოქმედებისგან (შედეგების მატარებლისგან) განდგომა. უპანიშადებში აღწერილია *სანიასას* სწორედ ეს ტიპი როგორც გათავისუფლებისკენ, *მოკშასკენ* მიმავალი გზისა.

სანიასა, რომელიც შედგება სამი მისწრაფების (მეუღლის, შათამომავლობისა და სიმდიდრის შეძენა) მოცილებისაგან, ძალიან ძნელი მისაღწევია იმათთვის, რომელთა აზრებიც (*ჩიტა*) არასაკმარისად სუფთაა.

უპანიშადას მეორე *მანტრა* გვთავაზობს გზებს, რომლებსაც ამ მდგომარეობის მიღწევასთან მიყვავართ. იქ ლაპარაკია შემდეგზე: ასრულე *აგნიჰოტრა* (ცეცხლის თაყვანისცემის რიტუალი) და სხვა რიტუალები, რომლებზეც *შასტრები* მიუთითებენ, მტკიცედ გწამდეს, რომ ისწრაფი რა გათავისუფლებისაკენ, აუცილებელია ამ რიტუალებში აქტიურად მონაწილეობდე და დარწმუნებული იყო იმაში, რომ სანამ ამ რიტუალებს ასრულებ, ვერავითარი ცოდვა ვერ შეგეხება. როგორც ოქროს ოსტატის ტიგელი, შრომის შედეგების მიღებისგან თავისუფალი მუშაობა თანდათან მოგაცილებთ უცხო „მინარევებს“. სუფთა გონება არის *ჯნიანა*. ეს არის განდგომის სრულყოფილება.

თუკი მუშაობის შესრულების დროს უნარი გაქვთ სურვილებისგან გათავისუფლდეთ, მაშინ უსუფთაობა ვერ შეგეხებათ. ალბათ იცით, რომ მღვრიე წყალში მოთავსებულ „ჩილიგინჯას“ (მწარე წიწაკის ჯიში) თესლებს უნარი აქვს ჭუჭყი მოაცილოს წყალს და ფსკერზე დალექოს; თვით თესლებიც ფსკერზე ილექება და მხედველობიდან ქრება! ზუსტად ასევე სრულად იწმინდება იმ ადამიანთა გონება, რომლებიც *კარმას* მიჰყვებიან და მიბმულობას არ განიცდიან: მათი შრომის შედეგები ძალას კარგავს და ფსკერზე ეშვება.

ამ უპანიშადას 18 მანტრადან მხოლოდ პირველი-ორია გათავისუფლებასთან და მისი მიღწევის შესაძლებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული. დანარჩენი 16 უფრო დეტალურად ამუშავებს იმ საკითხებს, რომლებიც პირველ-ორშია წამოჭრილი, და ამიტომ ისინი ამ უკანასკნელთა კომენტარებად შეიძლება ჩაითვალოს.

ატმანი არასოდეს განიცდის ცვლილებას. თუმცა, ამის მიუხედავად, იგი ნებისმიერ აზრზე უფრო სწრაფია! ისე მოჩანს, რომ ატმანი ყველა მდგომარეობას გადის, მაგრამ არ იზრდება, არ ჭკნება, არ იცვლება. იმყოფება რა ყველგან, იგი გრძნობათა ორგანოებისთვის მოუხელთებელია, მაგრამ მისი დაფარული არსებობისა და მარადიული, მუდმივი თანდასწრების წყალობით შესაძლებელია ზრდაც, მოღვაწეობაც, და ცვლილებებიც. მიზეზი და შედეგი მოქმედებენ და ურთიერთმოქმედებენ „პირველადი ფორმაციის“ - ატმური (სულიერი) არსის - წყალობით. თვით სიტყვა *იშა* (ღმერთი, მეუფე) ამ აზრს ატარებს. ატმანი შორსაცაა და ახლოსაც, შიგნითაც და გარეთაც, სიმშვიდეშიც და მოძრაობაშიც. ვინც ამ ჭეშმარიტებას ჩასწვდა, *ჯნიანას* სახელს იმსახურებს.

უმეცარი ვერასოდეს ჩასწვდება ატმანის იმანენტურობის ფაქტს. ვინც საღ გონებაზეა, ის გარემომცველ საგნებს ხედავს და მათს ახლო არსებობას გრძნობს. ის, ვისი გონებაც აიძვრა, დაკარგული ყელსაბამის ძებნას დაიწყებს იმ დროს, როცა კისერზე უკიდია. განუვითარებელი ცნობიერების მქონემ შეიძლება ამქვეყნად ყველაფერი იცოდეს, მაგრამ ატმანი წარმოედგინოს როგორც რაღაც მიუწვდომელი და მიუდგომელი. მაგრამ *ჯნიანი*, ის, ვინც ჭეშმარიტება გააცნობიერა, ხედავს ატმანს ყველა არსებაში და ყველა არსებას როგორც ატმანს. იგი ხედავს ყველა არსებას როგორც ერთს და მათს განსხვავებას და სხვადასხვაგვარობას ვერ გრძნობს. ასეთი სახით იგი ორობითობას გაურბის.

იშავასია-უპანიშადა ამ დიად ჭეშმარიტებას ყოველი ადამიანისათვის ხელმისაწვდომად აქცევს. *ჯნიანი*, ის, ვისაც გონება გაუბრწყინდა, მძიმე ბედ-იღბლისა და გრძნობითი ცდუნებების მიმართ გულგრილი ხდება. ყველა არსებას უყურებს როგორც საკუთარ თავს და მათთან თავის თავდაპირველ ნათესაობას აცნობიერებს. იგი თავისუფალია მონობის ბორკილებისაგან, *დჰარმისა* და *ადჰარმისაგან*, იგი დამოკიდებული არ არის სხეულის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე. იგი *სვამიამპრაკაშა* (თავისი თავის უმაღლესი სახით გამცნობიერებელი). ამიტომ *ჯივარუპა* (ცოცხალი არსების ფორმა) არ წარმოადგენს მის ჭეშმარიტ ფორმას ისევე, როგორც

არ წარმოადგენს მას ყველა უხეში და ფაქიზი სხეული, რომლებსაც ჰქვია *სოჭულა* და *სუქშმა შარირები*.

იშავასიას პირველ *მანტრაში* ახსნილია იმ მდგომარეობის აზრი, რომელიც ხასიათდება ნებისმიერი სურვილის არქონით (*ჯნიანა-ნიშოჰა*). ეს უმნიშვნელოვანესი მიზანია ცოდნის გზაზე (*გედა-ართჰა*); მაგრამ ვინც ვნებიანი სურვილებითაა შეპყრობილი, მისთვის იოლი არ იქნება გონების ამ მდგომარეობაში გამყარება. სწორედ ასეთი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი დამხმარე საშუალებები – *კარმა-ნიშოჰა*¹, რომლებზედაც უპანიშადას მეორე *მანტრა* მიუთითებს. დანარჩენი *მანტრები* ამ ორი *ნიშოჰას* შესახებ გაგებებს აფართოებს და ამყარებს; ეს *ნიშოჰები* *ჯნიანასა* და *კარმაზეა* დაფუძნებული. *კარმა-ნიშოჰას* მდგომარეობა მოიცავს სურვილსა და ილუზიას როგორც ადამიანურ განზრახვებს. *ჯნიანა-ნიშოჰა* მოიცავს *ვაირაგიას* (განდგომას), ანუ დარწმუნებულობას იმაში, რომ სამყარო *ატმანი* არ არის, ანუ, რომ იგი არარეალურია და ამიტომ მასზე მიბმას აზრი არა აქვს. *ვაირაგიას* ასეთი გააზრება პირდაპირი გზაა *ჯნიანა-ნიშოჰასკენ*. 3-8 მანტრებში აღწერილია *ატმანის* ჭეშმარიტი ბუნება *ავიდიას*, უმეცრების უარყოფის მეშვეობით, რომელიც *ატმანის* ჩაწვდომას დაბრკოლებებს უქმნის.

ამრიგად, იშავასიას პირველი *მანტრა* თვითგანდგომის გაკვეთილს იძლევა, მეორე კი იმ მოქმედებებს ასწავლის, რომელსაც ადამიანი განთავისუფლებისკენ მიჰყავს იმ *კარმის* გზით, რომელიც სიმპათიებისა და ანტიპათიების – *რაგას* და *დვეშას* – ემოციებისგანაა თავისუფალი). უპანიშადას მეოთხე და მეხუთე *მანტრაში* ლაპარაკია *ატმატატვას* (*ატმანის* პრინციპის) შესახებ, შემდეგ სამში კი – *ატმატატვას* ცოდნით მიღებული ნაყოფის შესახებ. მეცხრე *მანტრაში* ნახვენებია გზა „თანდათანობით“ განთავისუფლებისა, რომელიც იმათთვისაა სასარგებლო, ვინც არასაკმარისად ძლიერია, რომ სრული თვითგანდგომის გზას მიჰყვეს, მაგრამ იმ მოქმედებებს მიუძღვნას თავი, რომლებსაც ზნეობრივი ზრდა და შიდა განწმენდა მოაქვს. ეს არის გზა, რომელსაც მთელი *კარმა* (მოღვაწეობა) *უპასანას* (თაყვანისცემის) პრინციპთან შესაბამისობაში მოჰყავს. იქ ნათქვამია: ისინი, ვინც *ვიდიას* საწინააღმდეგოდ იქცევიან, ა*ჯნიანათი* არიან სავსე, ხოლო ისინი, ვინც მთლიანად ღვთაებრივი ძალებისა და ფორმების სწავლაში არიან ჩაფლულნი და ამ ცოდნას პრაქტიკაში იყენებენ, უფრო მეტ გაკიცხვას იმსახურებენ, რადგან მათი ერთადერთი სურვილია

¹ - *ნიშოჰა* – მიზანსწრაფვა, ყურადღების მოკრება, ერთგულების კონცენტრირებული ნება (აქ სიბრძნის, *ჯნიანას* შეგნებაში, და *კარმის* შეგნებაში – ღვთისმოსავი მოღვაწეობისა, რომელიც თაყვანისცემითაა კურთხეული).

ზებუნებრივ ძალებსა და უნარს დაეუფლონ¹. ნათქვამია, რომ *კიდიას* ადამიანი მიჰყავს დევა-ლოკაში (ნახევარღმერთების სამყაროში), *კარმას* მიჰყავს პიტრი-ლოკაში (წინაპართა სამყაროში). ამიტომ *ჯნიანა*, რომლის მიზანიცაა თვითრეალიზაცია (*ატმასაკშატკარა*), ეს არის მათგან რაღაც სრულიად განსხვავებული, და ამ ორი გზის შეერთების მცდელობას წარმოადგენს არ მოაქვს.

რა თქმა უნდა, არავის მართებს *შასტრებში* მითითებულის საწინააღმდეგოდ იქცეოდეს. უახლოესი განხილვისას ყველა მსგავსი საქციელი შეფასდება როგორც უმეცრება, *ავიდიას* მიკუთვნებული. უკეთეს შემთხვევაში *კარმას* შეუძლია თანადგომა გაუწიოს გონების განწმენდას, ღმერთების თაყვანისცემას (*უპასანას*) კი - ერთგულება და მიზანდასახულობა განამტკიცოს. *უპასანა* კოსმოსური ღვთაების, ჰირანიაგარბჰას თაყვანისცემის დონემდე უნდა ავიდეს, იგი უნდა განვითარდეს და გაიზარდოს *ჯივან-შუკთაში*, ანუ სიცოცხლეშივე განთავისუფლებულში.

დევატა-ჯნიანა (ცოდნა ღვთაებათა თაყვანისცემის შესახებ) და *კარმა-ნიშოჰა* (ერთგულების სულისკვეთებით მოქმედება) მოწოდებულნი არიან ერთმანეთი შეავსონ და მიმართონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ადამიანს სიკვდილისა და დაბადების წრეს დააღწიოს თავი და ღვთაება გახდეს.

თავი 3 კატჰა-უპანიშადი

თუკი ვინმეს შეუძლია სრულყოფილ

შეცნობას მიაღწიოს

მანამდე, სანამ სხეული მოიშლება,

მას უნარი აქვს შემოქმედების

სამყაროებში განსხვავდეს.

კატჰა-უპანიშადი, ||-3

ამ უპანიშადში მოთხრობილია ნაჩიკეტასას ამბავი, თვით იამას² მიერ სულიერ დისციპლინაში განდობილისა. იგივე ამბავი ნახსენებია ტაიტირიია-ბრაჰმანში, აგრეთვე მაჰაბჰარატაში, ანუშასანაპარვას განყოფილების 106-ე თავში. უპანიშადამ ნათელი გადმოცემისა და მხატვრული სახეების სიმდიდრის

¹ სიტყვასიტყვით: „უკუნეთში ისინი შედიან, ვინც არცოდნას ეთაყვანება, უფრო მეტ უკუნეთში ისინი შედიან, ვინც ცოდნით ტკბება“.

² იამა - სიკვდილის ღმერთი, მკვლართა სამეფოს მბრძანებელი.

წყალობით გაითქვა სახელი. მასში გამოთქმული მრავალი იდეის პოვნა ბჰაგავადგიტაში შეიძლება. ვინაიდან იგი „კრიშნა-იაჯურვედას“ სკოლის „კათჰას“ შტოს განეკუთვნება, ამიტომ მან კათჰა-უპანიშადას სახელწოდება მიიღო.

ერთხელ ვაჯაშრაგასი, რიტუალების მკაცრი მომხრე, ასევე გაუტამას სახელით ცნობილი, *იაგას* (მსხვერპლის შეწირვას) ასრულებდა. ძროხების დარიგება წეს-ჩვეულებათა ნაწილი იყო, მაგრამ გაუტამას მიერ შეწირული ძროხები იმდენად უძლურნი აღმოჩნდნენ, რომ არც ბალახის მოწიწება შეეძლოთ, არც წყლის დალევა, არც რძის მოცემა! ისინი მეტისმეტად ბებრები იყვნენ და ამიტომ რაიმე სარგებლის მოტანა არ შეეძლოთ. ეს რომ შენიშნა, გაუტამას ვაჟი, ნაჩიკეტასი, ჭკვიანი და სათნო ახალგაზრდა, მიხვდა, რომ მამამისს უდიდესი უბედურებები ელოდა ცოდვის – არამართქმედითი ძღვნის მირთმევის – შედეგების სახით. გადაწყვიტა მამას უმძიმესი ბედის აცილებაში დახმარებოდა, და ამისათვის ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც კი შეძლებდა. მამას ჰკითხა, ვისთვის აპირებდა მისივე თავის მიცემას! ნაჩიკეტასი ურჩად იდგა გადაწყვეტილებაზე, რომ იგი მსხვერპლად შეწირულიყო. ამ განცხადების გამო გაუტამა ისეთმა მძვინვარებამ მოიცვა, რომ აღშფოთებულმა წამოიყვირა: „შენს თავს სიკვდილის ღმერთს ვაძლევ!“ მაშინ ნაჩიკეტასამ გადაწყვიტა, რომ მამის სიტყვები არ უნდა უარყოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები ნათქვამი იქნა *ჯივა-ლოკაში* (ადამიანთა სამყაროში), დაბადებითა და სიკვდილით წაბილწულში. ამიტომ მოითხოვდა, რომ იგი მამას იამასთვის შეეთავაზებინა როგორც ძღვენი, და ცერემონია მკაცრად რიტუალების შესაბამისად ჩაეტარებინა. როგორც კი რიტუალი დასრულდა, ნაჩიკეტასი მაშინვე სიკვდილის ღმერთ იამას სავანის კედელთან აღმოჩნდა. სანამ იამას ნახავდა, მას სამი ღამის მოცდა დაჭირდა. სიკვდილის ღმერთმა სინდისის ქენჯნა იგრძნო იმის გამო, რომ სტუმარს ბრაჰმანების კასტიდან ასე დიდ ხანს აცდევინა, და სამი სურვილის შესრულება შესთავაზა, თითო სურვილისა სავანის გარეთ ყოველი ღამის გატარების გამო.

უპირველეს ყოვლისა ნაჩიკეტასამ ითხოვა, რომ, როდესაც იამას ნებართვით იგი სახლში დაბრუნდება, მამა გახარებული დახვდეს შვილს, დაივიწყოს გულისწყრომა თავხედური ქცევის გამო და გონების სიმშვიდე მიიღოს. შემდეგ ნაჩიკეტასამ ისურვა გაეგო, რა მიზეზით არ არის ღმერთების ზეციურ სავანეში შიმშილი, წყურვილი და სიკვდილის შიში. იამამ სიამოვნებით შეუსრულა ეს ორი სურვილი. უფრო მეტიც, იამამ ნაჩიკეტასას განსაკუთრებული მსხვერპლშეწირვის საიდუმლო გაანდო. ნაჩიკეტასი ყურადღებით უსმენდა იამას და სწრაფად და

მკვეთრად ითვისებდა რთული რიტუალის ყველა დეტალს. იამა თავისი მოსწავლით იმდენად კმაყოფილი იყო, რომ *იაგას* ახალი სახელი მისცა – ნაჩიკეტა აგნი! ასეთი ახალგაზრდა სტუმრის მიმართ ეს იყო არნახული წყალობა. ნაჩიკეტასამ თქვა: „მასწავლებელო! ადამიანი მოკვდავია, მაგრამ ზოგიერთები ამბობენ, რომ სიკვდილი დასასრული არ არის და რომ არსებობს რაღაც „ის“ სახელად *ატმანი*, რომელიც გრძნობებისა და სხეულის სიკვდილის შემდეგ აგრძელებს სიცოცხლეს; სხვები კი ამბობენ, რომ „ის“ არ არსებობს. და აი ახლა, ვსარგებლობ რა ბედნიერი შემთხვევით, მინდოდა შენგან ამ *ატმანის* შესახებ გაემეგო.

იამამ გადაწყვიტა გამოეცადა იგი და გაეგო, რამდენად ურყევია მისი მისწრაფება უმაღლეს სიბრძნეს ჩასწვდეს. სიკვდილის ღმერთს არ უნდოდა ცოდნა გადაეცა იმისთვის, ვინც ამას არ იმსახურებდა. ამიტომ მან ნაჩიკეტასას სხვადასხვა საჩუქრები შესთავაზა, რომლებიც ამქვეყნიურ ბედნიერებასთან და კეთილდღეობასთან იყო დაკავშირებული. მან ასევე აცნობა, რომ *ატმანი* არის რაღაც ძალიან ფაქიზი და მოუხელთებელი და რომ იგი იმყოფება ჩვეულებრივი აღქმის ჩარჩოებს გარეთ. ამის შემდეგ იამა შეეცადა ჭაბუკის მიმზიდველი მიწიერი ცდუნებებით დაინტერესებას, რომლებითაც ადამიანს შეუძლია დატკბეს „სრულადაც და სწრაფადაც“. მაგრამ ნაჩიკეტასამ უპასუხა: „პატივცემულო მასწავლებელო! როდესაც *ატმანის* ჩაწვდომის სიძნელეზე შენს მსჯელობას ვისმენდი, ვიგრძენი, რომ არ შეიძლება ამ შანსის ხელიდან გაშვება, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ მიზნისთვის უფრო შესაფერისი მასწავლებელი ვიპოვო, ვიდრე შენ ხარ. მხოლოდ და მხოლოდ ამაში, და არა სხვა რამეში, მდგომარეობს ჩემი მესამე სურვილი. ამის სანაცვლოდ შენ მიერ შემოთავაზებული საჩუქრები ვერ მომიტანს იმ უსასრულო სარგებლობას, რასაც მხოლოდ ერთი *ატმა ჯნიანა* მომცემს“.

დაინახა რა ასეთი მტკიცე რწმენა (*შრადჰა*) და ასეთი განუხრელობა, იამა კმაყოფილი დარჩა. მან დაასკვნა, რომ ნაჩიკეტასი მზად არის უმაღლესი სიბრძნის აღქმისთვის და თქვა: „მაშ იყოს ისე, როგორც შენ თქვი, ჩემო კარგო! არსებობს მისწრაფებისა და განცდის ეურთმანეთისგან განსხვავებული ორი ტიპი, რომლებიც ინდივიდუუმზე ზემოქმედებას ახდენენ, - *შრეია* და *პრეია*. პირველი მათგანი ათავისუფლებს, მეორე კი ამონებს. ერთს გადარჩენისკენ მიჰყავს, მეორეს დიღეგში დამწყვდევისკენ! თუ *პრეიას* გზას მიჰყვები, მაშინ ადამიანის ცხოვრების უმაღლესი მიზანი ძალიან შორს, უკან გრჩება. *შრეიას* გზის გარჩევა მხოლოდ სუფთა სრულყოფილი გონების (*ვივეკას*)

დახმარებით შეიძლება. *პრეიას* გზა იმ ადამიანთა მიერაა გაკეპილი, ვინც უმეცრებაში ჩაეფლო და ვისი გონებაც გაუკუღმართებულია. *ვიდია* გზას უხსნის *შრეიას*, *ავიდია* კი ადამიანს აიძულებს *პრეიას* ბილიკზე გადაუხვიოს. ბუნებრივია, რომ ძალიან ცოტანი გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ *შრეიას* გზა იპოვონ“.

იამა აგრძელებს: „*ატმანი* აუღელვებელი და მშვიდია, იგი თვით ცნობიერებაა, უსასრულო და სავსეა. ვისაც *ატმანი* გაეხსნა, მას აღარ ახასიათებს დუალისტური იდეები - „ეს არის“ და „ის არ არის“, „მკეთებელი“ და „არამკეთებელი“ და ა.შ. *ატმანი* შეცნობის ობიექტსაც კი არ წარმოადგენს! იგი არს „მცოდნეა“, არც „ის, რაც იციან“, არც თვით ცოდნა. ამის გახსნა უმაღლესი გამოცხადებაა; მოსწავლისათვის ამის მცნობა უმაღლესი სწავლებაა. მოძღვარი *ბრაჰმანია*, მოსწავლეს *ბრაჰმანია*. ამ მარადიული ჭეშმარიტების გაცნობიერება ადამიანს ყველა წუხილსა და მიბმულობას უსპობს, დაბადებისა და სიკვდილის ბორკილებისგან ათავისუფლებს. დიადი საიდუმლოს მოცვა ლოგიკის დახმარებით შეუძლებელია. მხოლოდ სულიერი გამოცდილება და სმრიტების (საღმრთო წერილების) რწმენა დაეხმარება ადამიანს დაეუფლოს მას.

მხოლოდ უზარმაზარი შეუპოვრობისა და მოთმინების ფასად ხდება *ატმანი* შეცნობისათვის ხელმისაწვდომი. ამისათვის აუცილებელია გონების მოცილება მისთვის ჩვეული სტიქიის – ობიექტური სამყაროსაგან და მისი უშფოთველი სიმშვიდის მდგომარეობაში მოყვანა. მხოლოდ გმირს აქვს უნარი ეს შინაგანი იღუმალე გმირობა ჩაიდინოს და მარტოხელამ დაამარცხოს ეგოიზმისა და ილუზიის ურჩხულები! არავითარ სხვა გამარჯვებას არ შეუძლია მწუხარება გაფანტოს“.

ვედანტას სწავლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ უმაღლესი ჭეშმარიტება შეიძლება ყოველი ადამიანის საკუთრება გახდეს. ყველა საღმრთო წერილი ამის შესახებ გვამცნობს. მათში იმის შესახებაცაა ლაპარაკი, რომ *პრანავა* (ბგერა **ომ**) სიმბოლოა *პარა-* და *აპარა-ბრაჰმანისა*¹. ისინი აცხადებენ, რომ *პრანავას* თაყვანისცემა ჰირანიაგარბჰას დონემდე ასვლის შესაძლებლობას იძლევა, აგრეთვე *ბრაჰმანის* ორივე დონის მიღწევაში ეხმარება. ჰირანიაგარბჰა *მაიას* უფაქიზეს საფარველშია გახვეული, და **ომ**-ის დახმარებით ეს საფარველი შეიძლება გაიფანტოს, და მის უკან გაიხსნება როგორც *პარა-*, ასევე *აპარა-ბრაჰმანიც*.

¹ *პარა-ბრაჰმანი* – უზენაესი ზღვარსმიღმა *ბრაჰმანი* მის ტრანსცენდენტურ ასპექტში, *აპარა-ბრაჰმანი* – *ბრაჰმანი* მის იმანენტურ გამოვლილებაში, ანუ მატერიალური სამყაროსათვის განუყოფლად დამახასიათებელი.

კატა-უპანიშადა მრავალმხრივ და დეტალურად ამუშავებს *ატმანის* იდეას. მასში ნათქვამია, რომ *ატმანი* განუზომელია და არ შეიძლება რაიმე ზღვრებში იყოს მოთავსებული, თუმცა გარედან შეიძლება ასეც ჩანდეს. მზის ანარეკლი წყალში თრთის და ირხევა იმის გამო, რომ წყლის ზედაპირი თრთის და ირხევა; თვითონ მზე კი მხოლოდ გარეშე მოწმედ რჩება, მასზე არ მოქმედებს ის გარემო, რომელიც მხედველობითი სახეების წყაროს წარმოადგენს. ამის მსგავსად *ატმანი* მხოლოდ მოწმეა ყველა ცვლილებისა დროსა და სივრცეში.

ჯივი, ანუ პერსონიფიცირებული უმეცარი, თავისი მოქმედებების ნაყოფს აგემოვნებს, ცუდისაც და კარგისაც, კეთილისაც და ბოროტისაც. *ჯივი* თვითონ ჭედავს თავისთვის ჯაჭვს ეგოიზმის ჩაქუჩით და ბორკილებს ამსხვრევს სულიერი გონიერების (*ბუდჰის*) დახმარებით, რომელიც უმეცრების საპირისპირო ძალაა. გააცნობიერე, რომ გამარჯვება იმ მომენტში მოდის, როდესაც *ინდრიები* (გრძნობები – როგორც გარეგანი, ისე შინაგანი) მუშაობას წყვეტენ. აღიარე მათი მატყუარობა და მცდარობა და უარი თქვი მათზე; *მანასში* გააზავე ისინი. *მანასი ბუდჰიში* არეკლვ, *ბუდჰი* კი, ინდივიდუალური სულიერი გონიერება, კოსმოსურ გონში (ჰირანიაგარბჰაში) გააზავე. როდესაც *სადჰანას* ამ სტადიას მიაღწევ, გააზავე *ატმატატვაში* (თავდაპირველ სულიერ არსში) კოსმოსური გონი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მისი – *ატმატატვას* – გამჟღავნება. მაშინ შენ შეაბიჯებ *ნირვიკალპა-სამადჰის* მდგომარეობაში – ერთიანი აბსოლუტის სრულყოფილი აღუშფოთველი სიმშვიდისა, რაც სწორედ შენს ჭეშმარიტ ბუნებას წარმოადგენს. აი საიდუმლოება, რომელის ამ უპანიშადამ გამოაცხადა იმ მტკიცებასთან ერთად, რომ მთელი ქმნილება პროლიფერაციაა (ზრდა გამრავლებისა და ახალწარმოქმნის გზით) *ნამასი* და *რუპასი* – სახელისა და ფორმისა.

მირაჟით ხართ დაბრმავებული და ვერ ხედავთ, რომ გარშემო მხოლოდ შიშველი უდაბნოა. გველის შეგეშინდათ, რადაც გზაზე დადებული თოკი მიიღეთ, და ვერ გაგირკვევიათ ჭეშმარიტი რეალობა. იღუზია, რომელიც *ჯივის* კვალდაკვალ მიჰყვება, უნდა უკუივლოს.

უპანიშადას მე-14 *მანტრას* *ჯივი* საუკუნო ძილიდან გამოჰყავს და მიზნისკენ გზას უხსნის მას.

„*ატმანი* შაბდას, *სპარშას*, *რუპას*, *რასას* და *განდჰას* (ხმის, შეხების, ფორმის, გემოს, სუნის) ზღვრებს გარეთაა; მისთვის უცნობია დასაწყისი და დასასრული. გრძნობები ობიექტებზე გარე სამყაროზეა მიჯაჭვული. *ატმანი* ყოველგვარი მოღვაწეობისა და შეცნობის თავდაპირველი ინსტრუმენტია,

ყველა მოვლენის შინაგანი აღმკვერელი ძალაა. აუცილებელია მრავალფეროვნების, დანაწევრების, მრავალსახეობის, სიმრავლის ილუზია მოვსპოთ. იგი უმეცრების, *აჯნიანას* მიერაა შობილი. „ბევრი“ მხოლოდ და მხოლოდ მირაჟია, რომელიც „გარემოებებმა“ გამოიწვია. წარმოდგენა, რომ შენ ერთიანისგან განსხვავებული ხარ, მიზეზია მოჩვენებითი დაბადებებისა და სიკვდილებისა, რომლებიც ვითომდა ინდივიდუუმიისთვისაა დამახასიათებელი“. ამის შემდეგ, ნაჩიკეტასას ეჭვები რომ გაეფანტა, იამამ მას *ბრაჰმანის* ბუნება გააცნო.

„ბოლით დაფარული ცეცხლივით მუდამ ანათებს პურუშა, რომელიც ბერა თითის ზომისაა (ანგუშტამატრა). როგორც წვიმის ნაკადები აწედება კლდეს და ათასი ნაკადულის სახით დაბლა მიექანება, ასევე *ჯივიც*, დაჰყვა რა სიმრავლისა და განსხვავებების შეგრძნებებს და მათ მიერაა დაბლა მიზიდული, ცხოვრებას ფუჭად ხარჯავს“. ეს უპანიშადა აცხადებს, რომ არაფერია *ატმანზე* უფრო მაღალი ან თანაბარი მაინც. ჩვენ ვერ ვხედავთ ხის ფესვებს, ისინი მიწაშია დაფარული. მათი ძალა ყვავილებშია გამჟღავნებული, რომლების მხედველობისთვისა ხელმისაწვდომია, ხომ ასეა? ამაშია საიდუმლოება ცხოვრების ხისა – *სამსარაერიკშასი*. „ამ მაგალითიდან გამომდინარე, - თქვა იამამ, - შენ უნდა გაიაზრო, რომ არსებობს ფესვი, *ბრაჰმანი* – როგორც საყრდენი ხისათვის და მისი სასიცოცხლო ძალების წყარო“.

*სამსარას*¹ (სიკვდილთა და დაბადებათა „წრებრუნვა“, ამქვეყნიური ცხოვრება, ყოველივე სასრული, ცვალებადი) ხე ფაკირის მანგოს ხეს ჰგავს, იგი ილუზიაა და მეტი არაფერი. ვინც საკუთარი გონიერების (*ბუდჰის*) გაწმენდა შეძლო, მას უნარი აქვს სხეულის სიცოცხლეშივე დაინახოს მასში, როგორც სასწაულებრივ სარკეში, *ატმანი*. *ბრაჰმანი* არის ის, რაც ცნობილია ცოდნის მაძიებლისთვის (*ჯნეიათ*); იგი არის ის, რასაც მიღწევისაკენ მსწრაფი (*უპასიათ*) აღწევს. *ჯნეიანი* უნარს იძენს *ბრაჰმანს* უმზიროს და გათავისუფლებას იღებს, *უპასაკა* (ერთგული, თაყვანისმცემელი) კი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღწევს ბრაჰმალოკას. იგი იქ ჰირანიაგარბჰას ერწყმის, *კალპას* დასასრულს კი გათავისუფლებას თვით ჰირანიაგარბჰასთან ერთად იღებს.

ნაჩიკეტასამ უმეცდომოდ გაიგო ღვთაებრივი ცოდნის (*ბრაჰმავედიას*) არსი, რომლის შესახებაც იამამ ამცნო მას; იგი სიკვდილის მიერ გაშვებულ იქნა და მან *ბრაჰმანს* მიაღწია. თუ ცოდნა, რომლისკენაც სულიერი მაძიებელი ისწრაფის,

¹ *სამსარა* - „წრებრუნვა“, სიკვდილთა და დაბადებათა მწკრივი, ამქვეყნიური ცხოვრება, ყოველივე სასრული, ცვალებადი.

ბრაჰმავედიასთანაა დაკავშირებული, მაშინ ნებისმიერი ძალისხმევა ამ გზაზე კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, და ცოდვების ტვირთისგან ათავისუფლებს მას.

ეს უპანიშადა მრავალ ფუძემდებლურ გაგებას ხსნის, ისეთებს, როგორიცაა *პრანავასვარუპა* (ომ-ის, *პრანავას* არსობრივი ფორმა), სწავლება ღვთისმოსაობის, მართლქმედების (*შრეიას*) შესახებ, და *ბრაჰმავედია*. ბჰაგავანის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამ სწავლებების არსი აგისხნათ. ეჭვგარეშეა, ვისაც მახვილი გონება და გათავისუფლების ძლიერი სურვილი აქვს, ასეთი ადამიანებისთვის ერთი *მანტრაც* კი საკმარისია. იმათთვის, ვისი გონებაც მოდუნებული და განუვითარებელია, ვინც ამქვეყნიურ ცდუნებებსაა გამოკიდებული, ბრძნული და საქმიანი რჩევაც კი უსარგებლო აღმოჩნდება.

ატმანი ოკეანეს ჰგავს; ადამიანს რომ მის შესახებ წარმოდგენა მისცეთ, არ უნდა მოსთხოვოთ, რომ მთელი ოკეანე დალიოს, - საკმარისია ენაზე ოკეანის წყალი დააწვეთოთ. ზუსტად ასევე, თუ გინდათ უპანიშადა იცოდეთ, აუცილებელი არ არის მის ყოველ *მანტრას* მიჰყევით. გაიგეთ და პრაქტიკაში დანერგეთ ის, რაც ერთი *მანტრის* მიერ მაინცაა ნაგულისხმევი – და თქვენ უეჭველად მიაღწევთ მიზანს. ისწავლეთ და პრაქტიკაში გამოიყენეთ. ამაშია სწავლების საიდუმლოება.

თავი 4 მუნდაკა-უპანიშადა

ნათელი, ახლო მდებარე, ჭეშმარიტად
გულის სამალავში დაფარული – ასეთია
ღიადი სამყოფელი.
მასში თავმოყრილია ყოველივე მოძრავი,
მსუნთქავი და მოციმციმე.
იცოდეთ: იგი არსებული და არარსებულია,
ყველაზე უფრო სასურველია, ის, რაც
ადამიანთა გაგებაზე მადლაა.

მუნდაკა უპანიშადა, ||, 2-2

უპანიშადა იწევა მიგების *მანტრით* ღმერთისგან მადლის თხოვნით - გამოგზავნოს საჩუქარი: მხოლოდ კარგი დავინახოთ, მხოლოდ კარგი ვისმინოთ და ცხოვრება ღმერთის მზერას მივუძღვნათ. ამ უპანიშადას სწავლება *ბრაჰმავედიას* განეკუთვნება იმიტომ, რომ მასში არის უწყება ჰირანიაგარბჰას, მიზეზობრივი *ბრაჰმანის* მისიის შესახებ, და იმიტომ, რომ ეს

მისია *ბრაჰმანის* სახელს განადიდებს. უპანიშადა *ბრაჰმავედიას* წარმოგვიდგენს როგორც საიდუმლოებას, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ თავგადაპარსულებისთვის და იმათთვის, ვინც განდობილია რიტუალში „ცეცხლის გადმოსვლა გადაპარსულ თავზე“¹ (ეს ცეცხლი იმყოფება იმ ადამიანის გონებაში, ვინც ცოდნაშია განდობილი, ანუ „თავგადაპარსული *ბრაჰმანის*“ გონებაში). ამიტომაც ატარებს უპანიშადა სახელწოდებას მუნდაკა - „გადაპარსული თავი“. ამის მიუხედავად უპანიშადას პატივს სცემენ როგორც სხვა უპანიშადებს შორის სიბრძნის გვირგვინს, რადგან მასში *ბრაჰმაჯნიანის* თვით არსია განხილული. იგი მეოთხე ვედას, ათჰარვანას ერთვის.

ეს ცოდნა ფარულ საუბარში მასწავლებლის მიერ მოსწავლეს გადაეცემოდა, გამოცდილებაში მდიდრდებოდა და მყარდებოდა; როდესაც ლაპარაკია იმ **სხვაზე**, რაც ატრიბუტების არქონის პრინციპთანაა დაკავშირებული, მას *პარავედი*, ჰქვია, თუ ცოდნა ატრიბუტების მქონესთან, მატერიალიზებულ პრინციპთან, *საგუნასთანაა* დაკავშირებული, მაშინ იგი ატარებს სახელწოდებას *ა-პარავედი* – *ბრაჰმანის* იმანენტური (და არა ტრანსცენდენტული) ასპექტი. აი ორი ძირითადი პრინციპი, რომელსაც ეს უპანიშადა შეიცავს. ტექსტი აცხადებს, რომ სწავლება მათ შესახებ შაუნაკასაგან² ანგირასას³ გადაეცემოდა. ვედები და ვედანგები⁴ დაკავშირებულია *ა-პარავედიასთან* (ვედები *ა-პარავედიას* მიეკუთვნება, რადგან ორობითობას გულისხმობს: ღმერთების და ღმერთის თაყვანისმცემელი და თაყვანისცემის ობიექტი). უპანიშადები *პარავედიასთანაა* უშუალოდ დაკავშირებული. მაგრამ აი რა არის ყურადსადები: *ა-პარავედი* თან იტაცებს *პარავედიას* – *ბრაჰმანის* ცოდნას, რაც საბოლოო მიზანს წარმოადგენს.

ობობა თავისი თავიდან უშვებს სუბსტანციას, რომლის დანიშნულებაც ჩინებულ ქსელად ქცევაა. ამის მსგავსად *ჯაგატი* (მოძრავი, ცვალებადი სამყარო) მიზეზობრივი *ბრაჰმანიდან*

¹ ეს ცეცხლი განლაგებულია, ცოდნაში განდობილი ადამიანის („თავგადაპარსული *ბრაჰმანის*“) გონში.

² შაუნაკა – ძველი წმინდანი ბრძენი, აღწერა ღვთაებები, რომლებსაც რიგვედას ჰიმნები და ცალკეული ლექსები მიეძღვნა; ათჰარვავედას მოძღვარი.

³ ანგირასა - ღვგენდარული დიადი *რიში*, ღმერთებსა და ადამიანებს შორის შუამავალი, ბრაჰმას მესამე ვაჟი, მას მიეწერება „რიგვედას“ მრავალი ჰიმნის შედგენა.

⁴ ვედანგები - სამეცნიერო სახელმძღვანელოები ცოდნის ექვს დარგზე (ფონეტიკა, რიტუალისტიკა, გრამატიკა, ეტიმოლოგია, პროსოდია და ასტრონომია), რომლებიც განკუთვნილია ვედური რიტუალის რეალიზაციისა და გამოკვლევისათვის, ასევე ვედური ტექსტების განმარტებისა და დაცვისათვის.

⁵ ვედები მიეკუთვნება *ა-პარავედიას*, რადგან ორობითობას გულისხმობს: ღმერთებისა და ღმერთის თაყვანისმცემელს და თაყვანისცემის ობიექტს.

მუღავნდება. ჯაგატი, ანუ სამსარა შემქმნელი-შემოქმედების კომპლექსის წარმოებულია. იგი რეალურია, ნამდვილი და სასარგებლოა მანამდე, სანამ ადამიანს წარმოდგენა არა აქვს რეალობის შესახებ. ზღვარი იმისა, რისი მიღწევაც ადამიანს ამქვეყნიურ ცხოვრებაში შეუძლია, ამასთან ასრულებს რა ღვთისმოსავ და მართლქმედით ქცევებს, არის ის, რომ იგი ადგილს იმსახურებს ზეცაში (*სვარგაში*), სადაც ცხოვრება უფრო ხანგრძლივია, მაგრამ მაინც აქვს დასასრული. ამიტომ ჭეშმარიტების ნამდვილ მაძიებელს სრულიად არ გააჩნია მისწრაფება ზეცაში მოხედეს; იგი უახლოვდება გულმოწყალებით აღვსილ ბრძენ მასწავლებელს, რომელიც მას სულიერ დისციპლინას ამცნობს, რასაც *ბრაჰმანის* შეცნობასთან მიჰყავს.

ყველა არსება *ბრაჰმანი* და მხოლოდ *ბრაჰმანია*. ისინი *ბრაჰმანიდან* წარმოიშვებიან. ნაპერწკლები ცეცხლის მიერაა წარმოქმნილი; როგორც სხეულისაგან გარეგნულად განსხვავებული თმები იზრდება სხეულზე, ასევე ყველა არსებას *ბრაჰმანის* ბუნება აქვს. *ბრაჰმანი* იწვევს სივრცეში მზის, მთვარის, პლანეტებისა და ვარსკვლავების ბრუნვას; *ბრაჰმანი* განსაზღვრავს ცოცხლი არსებების მიერ შესრულებული ყოველი მოქმედების შედეგებს. *ჯივი* და *იშვარა*, ინდივიდუალური და საყოველთაო, ორი ფრინველია, რომლებიც ერთ ხეზე, ანუ ადამიანის სხეულზე სხედან. *ჯივი* მოქმედებებს ასრულებს და მათი შედეგების მოსავალს იმკის. *იშვარა* მშვიდად ზის როგორც მეორე ფრინველის მოქმედებებზე გარეშე დამკვირვებელი. როდესაც *ჯივის* მზერას *იშვარაზე* გადააქვს და აცნობიერებს, რომ თვითონ ის მხოლოდ *იშვარას* ანარეკლი, გამოსახულებაა და მეტი არაფერი, იგი ტანჯვებს და ტკივილს ემშვიდობება. როდესაც გონება *იშვარას* შეცნობისკენ ისწრაფის, ყველა დანარჩენი მიწიერი სურვილი ქრება. ასეთი სახით მიიღწევა *ატმანის* ცოდნა. უპანიშადას უკანასკნელი *მანტრა* გვამცნობს თავისი მიზნის შესახებ – ადამიანი აიძულოს ამ სიბრძნეს (*ჯნიანას*) ჩასწვდეს. „მუნდა“ ნიშნავს „თავს“, შეიძლება ითქვას, რომ ეს უპანიშადა ყველა უპანიშადას „თავია“. ამიტომ *ბრაჰმასუტრა*ც კი უძღვნის ორ თავს ამ უპანიშადას *მანტრების* დაწვრილებით ახსნას.

მასში სამი განყოფილებაა, ყოველ მათგანში ორ-ორი ნაწილია. პირველი განყოფილება მიძღვნილია *ა-პარავედიას*, მეორე კი – *პარავედიას*, აგრეთვე მათი დაუფლების ხერხებს. მესამე განყოფილებაში გახსნილია ჭეშმარიტების ბუნება და გადაბადებებისგან (*სამსარებისგან*) გათავისუფლების გზა არის ნაჩვენები. *მანტრებში* ხაზგასმულია ღვთისმოსაური მოღვაწეობის

(*კარმის*) როლი, რომელიც *ბრაჰმანის* მიღწევაში ეხმარება ადამიანს. ამიტომ უპანიშადას პატივს სცემენ როგორც განსაკუთრებით წმინდას.

როგორც უკვე ითქვა, ობობა გარედან ყოველგვარი დახმარების გარეშე მუცლიდან ქსელს უშვებს. მას აგრეთვე უნარი აქვს გაბმული ქსელი უკან შეიწოვოს. ამის მსგავსად შექმნაც, რის შედეგადაც სამყარო გაჩნდა, ხორციელდებოდა ყოველგვარი „გარე“ დახმარების გარეშე. ბუნება, ანუ *პრაკრიტი*, მხოლოდ და მხოლოდ ტრანსფორმაციაა თავისი საფუძვლისა – *ბრაჰმანისა*, როგორც თიხაა ქოთნის საფუძველი, ბამბაა ტანსაცმლის საფუძველი, ოქროა სამკაულის საფუძველი. ამიტომ *ბრაჰმანს* სხვაგვარად ჰქვია *პრაკრიტის უპადანა-კარანა* (მატერიალური მიზეზი). იგი ასევე არის *ნიმიტანა-კარანა*, ანუ ნამდვილი მიზეზი. რადგან ეს სამყარო შეიძლება შობილი იყოს მხოლოდ უმაღლესი გონის მიერ, გონისა, რომელიც ყოვლისმომცველია, *ხარვაჯნია*. „ზეციური სამოთხე“ ის უმაღლესი დონეა, რომლის მიღწევაც *კარმის* დახმარებით შეიძლება. *კარმათა* სახეებს შორის ცეცხლის თაყვანისცემის რიტუალების (*აგნიხოტრას*) შესრულება უმნიშვნელოვანესად ითვლება. ასეთი რიტუალები გონების გაწმენდას უწყობს ხელს. მსგავსი გაწმენდა აუცილებელი წინასწარი საფეხურია *პარავედიასკენ*. სამსხვერპლო ცეცხლიდან ამოსული ენები მიესალმებიან რიტუალის მონაწილეს და მოუწოდებენ ჩასწვდეს უმაღლეს რეალობას, *ბრაჰმანს*. ვინც რიტუალს ასრულებს და სამსხვერპლო ძღვენს სწირავს, ვისაც ღრმად სწამს *მანტრების* სიძლიერისა, იმას უნარი აქვს მზიურ **ჩინებულებას** მიაღწიოს; მსხვერპლის გაღების მეშვეობით იგი ისწრაფის ინდრას, ღმერთების მბრძანებლის, სამეფოსკენ („**ზეცისკენ**“).

ვედები აუცილებელ *კარმათა* ორი ტიპის რეკომენდაციას იძლევა – *იშტას* და *პურთჰას*. *აგნიხოტრას* რიტუალები, სიმართლისადმი ერთგულება, ასკეტიზმი, ვედების შესწავლა (*ვედა-ადჰიანა*), სახლში მოსული სტუმრის პატივისცემით მსახურება – ეს ყველაფერი *იშტა-კარმას* მიეკუთვნება; ტაძრების, ქარვასლების, მოხეტიალეთათვის საგზაო თავშესაფრების აგება, ხელოვნური წყალსაცავების შექმნა, გზების გასწვრივ ხეების დარგვა და ა.შ. – ასეთ მოქმედებებს *პურთჰა-კარმა* შეიცავს. ამ *კარმის* შედეგები უდავოდ სასარგებლოა, მაგრამ რამდენადაც ყველა მსგავსი მიზეზ-შედეგობრივი მწკრივი დროებითია, ისინი არასრულყოფილი და საფუძველში არასავსეა.

მოთელი ქმნილება სახელთან და ფორმასთანაა დაკავშირებული და ამიტომ არარეალურია. მისი აღწერა სიტყვების დახმარებით შეიძლება და ამიტომ ინტელექტით და

გონებითაა შემოფარგლული. მხოლოდ პარამაპურუშა, უმაღლესი არსებაა მარადიული და სუფთა. იგი მოქმედებებისკენ უბიძგებს და მის შედეგებს „ნიშნავს“. მაგრამ იგი თვალისთვის დაუნახავია, ინტელექტისთვის ხელმიუწვდომელია. როგორც თვლის მანები, რომლებიც ღერძზეა მიმაგრებული და ცენტრში იყრის თავს, ასევე მთელი ქმნილება **მისგან** გამოსულ სხივებს ჰგავს.

ცენტრალურ ღერძთან რომ მივიდეთ და გავარკვიოთ, მანები სად მაგრდება, ინსტრუმენტად გონებას ვიყენებთ. *ბრაჰმანი* სამიზნეა, რაზედაც დამიზნებული უნდა იყოს ისარი – გონება. მოკრიბეთ გონება სამიზნეზე და, გამოიყენებთ რა ისრად უპანიშადების სწავლებას, შეუპოვრად და გაბედულად მიაღწევთ მიზანს – *ბრაჰმანს* და მასწავლებელს. შეიძლება ითქვას, რომ *პრანავა*, ანუ **ომ** თქვენი ისარია, მიზანი კი *ბრაჰმანია*.

ბრაჰმანი ჯივის ანათებს თავისი ნათებით, რომელიც შინაგან ცნობიერებაში – *ანტაჰ-კარანაში* – აირეკლება. საჭიროა მხოლოდ ცნობიერება გარე სამყაროს ობიექტებს, იმასთან კონტაქტს მოაცილოთ, რაც გონებას სვრის. როდესაც ეს გაკეთებულია, ყურადღების უკიდურესი მოკრებით მიაჩვიეთ თქვენი შინაგანი ცნობიერება **ომ**-ზე აწარმოოს მედიტაცია. მედიტაცია აწარმოეთ *ატმანზე*, *ჯივისგან* დამოუკიდებელზე, რომელიც მასში და მასთან ერთად იმყოფება და რომელიც *ჯივის* მოქმედებისკენ უბიძგებს. მედიტაცია აწარმოეთ *ატმანზე*, რომელიც თქვენს გულში ცხოვრობს, საიდანაც ყველა მიმართულებით გამოდის ურიცხვი *ნადი* – ფაქიზი ენერგეტიკული არხები. თუ ამ წესს განუხრებლად დაიცავთ, *ჯნიანას*, სიბრძნეს შეიძლება მიაღწიოთ.

სამყარო ინსტრუმენტია ღმერთის სიმძლავრის დიდებისათვის. ამის მსგავსად ანათებს ღმერთის სადიდებლად ცის თაღიც, რომელიც ადამიანის გულშია დაფარული. იგი სუნთქვის სუნთქვაა. რამდენადაც **მას** გარკვეული ფორმა არ გააჩნია, მისი აღწერა სიტყვებით შეუძლებელია. მის საიდუმლოს შეუძლებელია ჩასწვდე გრძნობათა სხვა ორგანოების დახმარებითაც. მისი დაუფლება არც ასკეტიზმით შეიძლება, არც ვედური რიტუალების ჩატარებით. მისი შეცნობა მხოლოდ იმ გონებით შეიძლება, რომელიც მიბმულობებისა და სიძულვილისგან, ეგოიზმისა და საკუთრების გრძნობისგანაა გათავისუფლებული. მხოლოდ *ჯნიანას* შეუძლია თვითრეალიზაცია მოგცეთ. *დჰიანა* (მედიტაცია) უნარისა და კონცენტრაციის განვითარებას უწყობს ხელს; კონცენტრაციის დახმარებით შეგიძლიათ *ჯნიანას* დაეუფლოთ, და ამასთან ფიზიკურ სხეულში დარჩეთ. *ბრაჰმანი* ხუთი სასიცოცხლო დენის (*პრანების*) მეშვეობით სხეულს აქტიურს ხდის. **იგი** წყალობის

ღირსად გვხდის და ამ სხეულში შემჩნეული ხდება მაშინ, როდესაც შინაგანი ცნობიერება ამისათვის აუცილებელ სისუფთავეს აღწევს. რადგან ატმანი იმანენტურია გრძნობებისა, შინაგანისა და გარესი, როგორც სიცხე საწვავისა, როგორც კარაქი რძისა. ცნობიერება ნედლ შეშას ჰგავს, რომელმაც გრძნობების, სურვილებისა და ცრუ იმედების უმოძრაო ყურეს ნესტი აიღო. როდესაც თქვენი გულის ტბა ყლარტის ყოველგვარი შრისაგან გასუფთავდება, ატმანი მთელი თავისი პირველარსებული ჩინებულებით გაბრწყინდება. ის, ვინც ატმანის ცოდნას დაეუფლა, პატივისცემის ღირსია, რადგან ჭეშმარიტად გათავისუფლებულია. იგი შეერწყა ბრაჰმანს, იმას, რომლის შეცნობაც და საკუთარ თავშიც გახსნაც ასე სწეუროდა.

თავი 5 მანდუკია-უპანიშადა

ეს ყველაფრის მეუფეა,
ეს ყოვლისმცოდნეა,
ეს შინაგანი დამტკერია,
ეს ყველაფრის მიზეზია,
ეს ქმნილების დასაწყისი და დასასრულია.

მანდუკია-უპანიშადა,
მეექვსე მანტრა

ეს უპანიშადა ვედანტას გულია; შინაარსის მხრივ იგი სხვა უპანიშადებთან შეუდარებელია. იგი ასევე ყველაზე მთავარს წარმოადგენს, სხვა უპანიშადებიდან გამოირჩევა იმით, რომ მხოლოდ ერთი მისი შეცნობა ითვლება საკმარისად გათავისუფლების მისაღწევად. ეს უპანიშადა ძალიან მოკლეა და მხოლოდ 12 მანტრისაგან შედგება! იგი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი, პირველი მიძღვნილია პრანავას (ომ) ახსნას – საიდუმლო სწავლებას, რომელიც თვითრეალიზაციის გასაღებს წარმოადგენს. მეორე ნაწილში განიხილება და უარყოფილი ხდება დუალისტიკური დოქტრინა – ძირითადი დაბრკოლება გათავისუფლების გზაზე. მესამე ნაწილში ქადაგებულია ადვაიტა – არაორბითობის, ერთიანობის ფილოსოფია. ბოლო ნაწილი მიძღვნილია განხილვას და კრიტიკას ურთიერთსაწინააღმდეგო ფილოსოფიური სისტემებისა, რომლებსაც საფუძველში ვედების სწავლება არ უდევს.

ბგერა **ომ** ყველა ხმას შეიცავს. ყველა ხმა **ომ**-იდან არის წარმოქმნილი და წარმოადგენს მხოლოდ მის სახეცვლილებას. *ბრაჰმანიც* **ომ**-ია. *ბრაჰმანი* **ომ**-ის იგივეობაა და **ომ**-ის დახმარებითაა შეცნობადი. შეცნობისთვის მიუწვდომელი *ბრაჰმანი* შეცნობადი ფორმით მუდავნდება როგორც *ატმანი*.

განსხვავებები ცნობიერების სამი მდგომარეობისა – მღვიძარობის, სიზმრებისა და ღრმა ძილის (*ვიშვას*, *ტაიჯასას* და *პრაჯნას*) ფაზებისა – მხოლოდ გარე საფარველებია, რომლებიც *ატმანს* ფარავს; *ატმანი* ადამიანის არსებობის ამ სამი სტადიისაგან უცვლელი, ხელშეუხებელი რჩება. ეს კვლავ ის *ატმანია*, რომელსაც ჩვენი „მე“-ს არსად ვთვლით. „მე“, ანუ *ატმანი* თევზის მსგავსია წყალში – თევზისთვის სუღერთია, საით მიცურავს, ერთი ნაპირისკენ თუ მეორისკენ, თუმცა თვითონ წყალი ნაპირებითაა შეზღუდული და მიმართული. ღრმა ძილის ფაზაში ყველა იმპულსი (*ვასანები*) გამორთულია და, მართალია ისინი პოტენციურად არსებობს, მაგრამ მათი აქტიურობა არ ვლინდება. სიზმრების ფაზაში ადამიანი თავის იმპულსებს მიჰყვება და როდესაც სასურველს აღწევს, დაკმაყოფილებას განიცდის. ყოველივე ის, რაც ადამიანს იტაცებს და შეგრძნების სამყაროზე აბამს, და აიძულებს გარე სამყაროს ობიექტებისაკენ ისწრაფოს, მღვიძარობის ფაზისა და სიზმრების ფაზის დროს იბადება. გონება აღგზნების მდგომარეობაში იმყოფება, ეს კი საუკეთესო ნიადაგია იმპულსების გაჩენის, მათი გამრავლებისა და გამყარებისათვის. არსებითად, სწორედ აღგზნებული გონება წარმოადგენს ქმნილების მიზეზს, გონება დგას ყველა გამუდავებული ობიექტების (*სრიშტების*) უკან.

თუმცა არსებობს მეოთხე სტადია, რომელიც ამ სამისგან განსხვავებულია, მას *ტურიია* ჰქვია! ეს ფაზა არ შეიძლება სიტყვებით აღიწეროს, იგი გონების წარმოდგენის ზღვრებს მიღმაა, რადგან *ბუდჰისა* და *მანასის* შესაძლებლობებს აღემატება. მისი განცდის გამოცდილება არაადეკვატურადაა აღწერილი როგორც *შანტამ*, *შივამ*, *ადვაიტამ* – სიმშვიდე, მადლი, ერთიანობა - და მორჩა, სულ ეს არის! მოცილებულია გონების ხეტიალი, ანუ გონება, როგორც ასეთი, არ არსებობს. ეს გონების დამორჩილებაა, მისი უარყოფაა, „არა-გონების“, *ა-მანასკას* სტადიაა. როგორი გამარჯვებაა! ღრმა ძილის ფაზაში გონება ინერტულია, სიზმრების ფაზაში გონება აღგზნებული და მღელვარეა, მღვიძარობის სტადიაში იგი აქტიურია და მოქმედებისკენ აღძრავს ადამიანს. ყველა სამ სტადიაში ჭეშმარიტება შეუცნობადი რჩება. ობიექტური სამყარო მხოლოდ აღგზნებული გონების მიერ მოტყუებაა – თოკია, რომელიც შეცდომით არარსებულ გველად იქნა აღქმული. სამყარო არ

იბადება, ისევე როგორც არ კვდება. იგი თქვენი უმეცრების მიერაა გაჩენილი, იგი კვდება მაშინ, როცა თქვენთან სიბრძნე მოდის.

ომკარას ბგერებიდან **ა**, **უ**, **მ**, რომლებიც ასახავს *ვიშვას*, *ტაიჯასას* და *პრაჯნას* – ადამიანის არსებობის მღვიძარობის, სიზმრებისა და ღრმა ძილის სტადიებს, - ყოველი მათგანი გარკვეულ როლს თამაშობს *სადჰანაში*. *უპასანა*, რომელიც ბგერა **ა**-ს უპირატეს თაყვანისცემასთანაა დაკავშირებული, სურვილების ბუნების შეცნობასთან მიჰყავს ადამიანი; ბგერა **უ**-ზე კონცენტრაცია სიბრძნეს, *ჯნიანას* ამდიდრებს; როდესაც თაყვანისცემის ობიექტად არჩეულია ბგერა **მ**, შედეგს წარმოადგენს სულის შერწყმა უმაღლეს რეალობასთან. *პრანავას* თაყვანისმცემელს ასევე სამყაროს ქმნილებაზე ჭეშმარიტების ცოდნა ეხსნება. ასეთი ადამიანი საყოველთაო პატივისცემას იმსახურებს.

პრანავაში ბგერები **ა**, **უ** და **მ** ერთმანეთს ნარნარით მიჰყვება, და ბოლოს და ბოლოს გადადის *ა-მანტრაში* – ჟღერადობაში, რომელსაც გრაფიკული ანალოგი არ გააჩნია და თანდათან მღუმარებას ერწყმის. ეს მღუმარება სიმბოლოა *შანტამ*, *შივამ*, *ადვაიტამ* (სიმშვიდე, მარადიულობა, ერთიანობა), ინდივიდუალური სულის დაძირვაა საყოველთაოში სახელისა და ფორმის შემზღუდველი ფაქტორების გაქრობის შემდეგ. გარდა ამისა, ამ უპანიშადას 24-29 ლექსებში (*კარიკებში*) *პრანავა* განდიდებულია როგორც ქმნილების მიზეზი. **ომ**-ს ხოტბას ასხამენ როგორც ყველა უბედურების მომსპობს. რატომ არის ეს ასე? ვინც ბგერა **ომ**-ზე ღრმა ფიქრშია ჩაფლული, ვინც მუდამ მის უდიდეს მნიშვნელობაში თავს ანგარიშს აძლევს, მას შეუძლია გულდაჯერებით იაროს წინ – მოჩვენებითი არარეალობის უკან რეალობის გაცნობიერებისაკენ, ანუ თვით *პარამატმა-ტატვას* ჩაწვდომისაკენ.

უპანიშადას პირველ ნაწილში გადმოცემულია საერთო გაგება *ატმანისა* როგორც ერთადერთისა და არაორობითისა, *ადვაიტას* არსის შესაბამისად. მეორე ნაწილში, როგორც უკვე ითქვა, ნაჩვენებია ცდომილება და ცვალებადობა ორი არსის ურთიერთდაპირისპირებისა – სამყაროსი და ღმერთისა. განყოფილებაში, რომელიც სპეციალურად *ადვაიტასა*ა მიძღვნილი, სწავლების საფუძვლები მოსაზრებებითა და მტკიცებულებებითაა გამაგრებული. თავდაპირველად სამყარო მშვიდ და გაუმჟღავნებელ მდგომარეობაში იყო; ბრაჰმა (შემქმნელი) შედეგია და არა მიზეზი, ამიტომ შედეგის „არსში“ ჩაწვდომის მცდელობები რაიმეს ბუნების შეცნობასთან არ მიგვიყვანს. მაგრამ ბრაჰმა, რომლის შესახებაც ამ უპანიშადაშია

ლაპარაკი, არ წარმოადგენს შედეგს; იგი გამოდის როგორც თავდაპირველი მიზეზი (პირველმიზეზი). იგი არადაბადებული და უსაზღვროა, იგი არ იშლება უამრავ ნაწილებად.

ატმანი, აკაშას, ეთერის მსგავსად, ყოვლის გამსჭვალავია. იგი მხოლოდ შეიძლება გარკვეულ ჩარჩოებში მოთავსებული ჩანდეს (როგორც ჰაერი ჭურჭელში ან ოთახში) და ამ გაგებით მასზე ლაპარაკია როგორც ინდივიდუალური თვისებების მქონეზე. მაგრამ ამ შეზღუდვაში ჭეშმარიტება არ არის. სხეულიც ჭურჭლის მაგვარია, რომელიც მოჩვენებით ზღვრებს ქმნის ზეცისთვის მის შიგნით. თუმცა არსებითად არ არის განსხვავება ქოთანში ცასა და მის გარეთ ცას შორის. როგორც კი შემზღუდველ ფაქტორს მოვაცილებთ, ისინი ერთიანი ხდება. როდესაც სხეული კვდება, ჯივა საყოველთაო სულს – *პარამატმანს* - ერწყმის. მხოლოდ შეზღუდვები აიძულებს ადამიანს სხვადასხვა თვისებები მიაწეროს *ატმანს*; როგორც კი შეზღუდვებს მოვსპობთ, *ატმანი* თვით *პარამატმანი* ხდება. ჯივა არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ როგორც *პარამატმანის* „ნაწილი“ (*ავაიავა*), როგორც მისი წარმოებული ან მოწყობილობა (*ვიკარა*).

სრულიად არარეალურია *ჯივას* როგორც დაბადება და სიკვდილი, ასევე მისი მოგზაურობა ერთი სამყაროდან (*ლოკადან*) მეორეში. ეს ყველაფერი მოჩვენებითია, არარეალობაა. უფრო ღრმად დაფიქრდით ამ საკითხზე და გაიგებთ, რომ *დვაიტა* არ ეწინააღმდეგება *ადვაიტას*. წინააღმდეგობები არსებობს მხოლოდ *დვაიტას* სხვადასხვა რელიგიურ და ფილოსოფიურ სწავლებებს შორის. *ადვაიტას* მომხრეებისათვის ყველაფერი *პარაბრაჰმანია*, და მისთვის არ არსებობს წინააღმდეგობები. *დვაიტას* მიმდევარი მუდამ პირადი მიდრეკილებების, ყალბი სიამაყისა და სიძულვილის ატმოსფეროშია, რადგან იქ, სადაც არის „ორი“, მუდამ იმყოფება შიში, მიბმულობა და, მაშასადამე, მის მიერ შობილი სხვა ემოციებიც. *ადვაიტა* უმაღლესი ჭეშმარიტებაა; *დვაიტა* გარკვეული გონებრივი წყობაა. ამიტომ დუალიზმი შეიძლება მანამდე გიტაცებდეთ, სანამ გონება აქტიურია. ძილში ან *სამადჰიში* წარმოადგენს „ორზე“ ქრება. როდესაც *ავიდი*ა ჭარბობს, მრავალფეროვნება შეუკავებლად იზრდება. *ვიდიას* გამარჯვება ერთიანობას ბადებს. ამიტომ არ არის არც წინააღმდეგობა, არც მტრობა *დვაიტასა* და *ადვაიტას* შორის. თოკი („გველად აღქმული“) ყველა ცდომილებისა და ილუზიის მიზეზია. *ბრაჰმანი* ყველა მცდარობისა და იმ ილუზიის მიზეზია, რომლის შედეგადაც *სიტყვა* და გამჟღავნებული სამყარო, *ჯაგატი* გაჩნდა.

არასწორი იქმებოდა იმის მტკიცება, რომ *პარამატმანი* გამჟღავნდა როგორც *ჯაგატი*, რადგან როგორ შეიძლება შეცვლილ იქნას განუყოფელი არსი რისაც არ უნდა იყოს, *სებაჰავა*? სიმრავლე არ წარმოადგენს *პარამატმა-ტატვას* თვისებას. ეს არაერთჯერ ცხადდება შრუტებში (მოსმენილ საღმრთო წერილებში, მათ შორის ვედებშიც). უფრო მეტიც, საღმრთო წერილები კიცხავენ იმათ, ვინც *პარამატმა-ტატვას* მრავალფეროვნებას მიაწერს. გონებას არასოდეს შეუძლია შეიცნოს ის, ვინც **მოწმეა** გონების ყველა ცვლილებისა და, ბოლო ჯამში, მისი გაქრობისა. მხოლოდ ეს **მოწმეა** მარადიული, უცვლელი, იგი არც დროს ემორჩილება, არც სივრცეს. ეს **მოწმე** არის *ატმა-ჩაიტანიაშ სატიაშ* (უმაღლესი „მე“-ს ცნობიერება, ჭეშმარიტება). ყოველივე დანარჩენი არარეალურია.

უარი თქვით მიბმულობაზე, გამოიყენეთ განსხვავების უნარი და გონება შეგრძნებათა სამყაროს მოაცილეთ. და მაშინ თქვენ *ა-მანასკას* სტადიას, ანუ არაგონებრივ გამოცდილებას მიაღწევთ. ამასთან ერთად აუცილებელია კიდევ ერთი რამ გახსოვდეთ: მთელი თქვენი მცდელობა გონება ალაგმით ამაო და დროის ფუჭად ხარჯვა აღმოჩნდება, თუ გრძნობითი სამყაროს ბუნებას ნათლად არ წამოიდგენთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან გაგიჭირდებათ მღელვარების მოცილება, და მიბმულობა არ გაქრება.

პირველი შესაძლებლობისთანავე ისინი განახლებული ძალით გაიზრდება! აუცილებელია იმის მიღწევა, რომ დროებითი ინერტულობის მდგომარეობა, რომელშიაც გონება ღრმა ძილის დროს იმყოფება, მუდმივი პასიურობის სტადიაში გადავიდეს. როდესაც თქვენი დარწმუნებულობა, რომ მთელი გრძნობითი განცდები არარეალურია, საბოლოო და სრული გახდება, გონება შეწყვეტს ყურადღების გადატანის ფაქტორის როლში ყოფნას. იგი უძღური გახდება, როგორც სხეულის პარალიზებული ნაწილი. რა მშვიერიც არ უნდა იყოს ადამიანი, არასოდეს გაუჩნდება სურვილი ექსტრემენტებს გემო გაუსინჯოს, ხომ ასეა?

იმის, გასაცნობიერებლად, რომ *ატმანს*, რომელიც რეალიზაციის მიზანს წარმოადგენს, არ ახასიათებს არც ძილი, არც დაბადება, არც სახელი, არც ფორმა და ა.შ., რომ იგი მარადიული თვითგამოსხივებაა (*ნიტიასვაიამპრაკაშა*), აუცილებელია გონების ხეტიალის დაძლევა. თუ განსხვავების უნარი განვითარებული არ არის, ყოველგვარი მცდელობა გონება ალაგმით და მიაღწიოთ ჭეშმარიტებას საგნობრივი, გრძნობითი სამყაროს არარეალულობის შესახებ, უნაყოფო და ისეთივე უაზრო აღმოჩნდება, როგორიც ბალახის კონით ოკეანის დაშრობის მცდელობაა. განმტკიცდით რწმენაში, რომ სამყარო მითია, და

მაშინ შეძლებთ დაეუფლოთ უმაღლეს სიმშვიდეს და უშიშრობას – *პრამანტის* და *აბჰაიას*.

ნებისმიერი მოვლენის – დაბადების ან შექმნის – საფუძველში აღმძვრელი ძალა უნდა იდოს, იქნება ეს *სატ*, *ასატ* თუ *სატ-ასატ* (ჭეშმარიტება, არაჭეშმარიტება, ჭეშმარიტება-არაჭეშმარიტება), ხომ ასეა? მაშ რა ტრანსფორმაცია ხდება სინამდვილეში? მიზეზი (*კარანა*) ცვლილებას (*ვიკარას*) განიცდის და ამ ცვლილებების დროს შედეგად (*კარიად*) იქცევა. მაგრამ *სატ-ს* (ჭეშმარიტ ყოფიერებას) არა აქვს ცვლილებები (*ვიკარები*), და ამიტომ *სატ* არ შეიძლება იყოს დაბადების მიზეზი. *ა-სატია* (არა-ჭეშმარიტება) ეს რაღაც არარსებულება, და ამიტომ მისგან შეუძლებელია რაიმე გაჩნდეს. შეთავსება *სატ-ასატ* უბრალოდ უაზრობაა. ამიტომ, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, შეუძლებელია რაიმეს დაბადება ან შექმნა. *კარანას* არ შეუძლია *კარია* გახდეს.

როდესაც ცეცხლზე ფიქრობთ, მის სიმხურვალეს არ შეიგრძნობთ. ამ სიმხურვალეს მაშინ გრძნობთ, როცა ცეცხლს ხელით ეხებით. ამის მსგავსად, ობიექტები განსხვავებულია მათ შესახებ ცოდნისგან (*ჯნიანასგან*). ცოდნა ერთია, გამოცდილება – სულ სხვა. უფრო მეტიც, პირველმიზეზის ძებნა უსასრულო პროცესია. რადგან როცა გველის ხსენებაც კი არ არის, იგი უბრალო თოკში გვეჩვენება. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი წარმოდგენის თამაშია. ჩვენ სიზმარს ვხედავთ და სამყაროს გარე სიჭრელით შობილ ყველა სიხარულსა და მწუხარებას განვიცდით, როგორც სინამდვილეში, გონების მოსაზრებები, ხრიკები და ეშმაკობები არ საჭიროებს არც საყრდენს, არც ახსნას. უსაფუძვლო მსჯელობები არარეალურ სამყაროზე გონებას მანამდე შეაწუხებს, სანამ იგი ჭეშმარიტების ნათებით არ გაბრწყინდება. ილუზიის წყვდიადი იმათი ხვედრია, ვინც უმეცრებაში ჩაეფლო.

უპანიშადა მთელი სიმტკიცით აცხადებს, რომ ჭეშმარიტი ყოფიერება (*სატ*) არასოდეს შეიძლება იყოს შედეგის (*კარიას*) მიზეზი, ანუ *ასატ*. გარე სამყარო შექმნილია ჩვენი საკუთარი გონებით (*ჩიტათი*), როგორც დანთებული კეთილსურნელებიდან გამოსული ბოლი. ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენება, ანარეკლი, მსგავსებაა, რაღაც არარსებული, მაგრამ ჩვენ მიერ შეცდომით მიღებული რეალობაა (*ადჰიასა*, *აბჰასა*). უმეცრების (*აჯნიანას*) ატმოსფერო საუკეთესო ნიადაგია ამ ილუზორული გამოსახულებების წარმოქმნისა და გამრავლებისათვის. ასეთი შეცდომის შედეგია *სამსარა*, რომელსაც ახასიათებს განვითარება მისი დუალისტური საფუძველით – წარმოქმნითა და მოშლით.

რამდენადაც *პარამატმანი* არის *სარგა-ატმა-სვარუპა* (*ატმანის* ყოვლისმომცველი ფორმა), მას არ შეიძლება ახასიათებდეს შემდეგი ტიპის დამოკიდებულებები: „მიზეზი-შედეგი“, „სურვილი-შესრულება“, „მიზანი-მიღწევა“. ვინც *ატმანის* ხილვას დაეუფლა, მისთვის ყველაფერი *ატმანია*. ილუზიით (*მაიათი*) მოწამლული თესლი *მაიათი* მოწამლულ ხედ იზრდება. ერთიც და მეორეც მოტყუებითია, წარმავალია. ამის მსგავსად, ცოცხალი არსების (*ჯივა*) როგორც დაბადებას, ასევე სიკვდილს, ჭეშმარიტებასთან არავითარი შეხება არა აქვს, ეს მხოლოდ სიტყვებია, რომლებიც არაფერს ნიშნავს. ნუთუ ყოველივე ის, რასაც ჩვენ სიზმარში ვხედავთ, მძინარისგან განსხვავებულია? სიზმრების სამყარო შეიძლება სიზმრების მხილველის მიმართებით მხოლოდ ჩანდეს გარეშედ და მისგან განსხვავებულად, მაგრამ სინამდვილეში იგი მძინარის ნაწილს წარმოადგენს და მისი საკუთარი ცნობიერების მიერაა გაჩენილი. ჭეშმარიტ **მოწმეს** არ გააჩნია არც დასაწყისი, არც დასასრული. იგი დამოკიდებული არ არის არც ვალზე, არც ვალდებულებებზე, მას არ ეხება არც სიკეთე, არც ბოროტება. თუ თქვენ ეს ცოდნა გაგეხსნათ და მასში გამყარდით, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ბორკილებისგან განთავისუფლდით. *ჩიტას* აღგზნება საგანთა წარმოქმნის მიზეზია.

თავი 6 ბრიჰადარანიაკა-უპანიშადა

ჭეშმარიტად ეს *ატმანი* ყველა არსების მბრძანებელია, ყველა არსების მეუფეა, როგორც მანები თვლის მორგვითა და ფერსოთია დაკავებული, ასეთივე სახით არსებები, ღმერთები, სამყაროები *პრანები*, ეს *ატმანები* ამ **ატმანშია** დაკავებული.

ბრიჰადარანიაკა-უპანიშადა, ||, 5-15

ბრიჰადარანიაკა-უპანიშადა შეკლა-იაჯურვედას ერთვის; მასში ექვსი განყოფილებაა, ყველა ეს განყოფილება, გარდა მესამისა და მეოთხისა, მიძღვნილია *უპასანას*, ანუ თაყვანისცემას, რომელიც დაკავშირებულია *კარმასთან*, ანუ წეს-ჩვეულებითს მოქმედებასთან. მესამე და მეოთხე განყოფილებები აშუქებენ

სწავლებას სულიერ ჭეშმარიტებაზე, რომელიც მეფე ჯანაკას ბრძენმა იაჯნავალკიამ უბოძა. ამ ბრძენის განსაკუთრებული ინტელექტუალური ძლიერება ამ უპანიშადაში გამსაკუთრებით ნათლად ვლინდება. იმ მოსწავლეებისათვის, ვინც გათავისუფლების მიღწევისკენ ისწრაფის, ბრიჰადარანიაკა საუკეთესო მეგზურს წარმოადგენს. მისი შესაბამისი განყოფილებები ცნობილია როგორც იაჯნავალკია-კანდა. ცნობილი ათი უპანიშადადან ეს ბოლოა. თავისი მოცულობის გამო იგი ატარებს სახელწოდებას ბრიჰატი, ანუ დიდი, ხოლო რამდენადაც მისი შესწავლა ტყის (*არანია*) სიჩუმეში ჯობია, ამიტომ იგი ასევე ტყისაცაა (*არანიაკა*); იგი ასწავლის უმაღლეს სიბრძნეს, *ბრაჰმაჯნიანას*, ამიტომაც კლასიფიცირდება როგორც უპანიშადა.

სწავლულები ამ ტექსტის პირველ ორ განყოფილებას განსაზღვრავენ როგორც მადჰურა-კანდას, მეორე ორს – როგორც მუნი-კანდას, და ორ უკანასკნელს – როგორც ქჰილა-კანდას. *ქჰილა* ნიშნავს დამატებას, და დასახელება სავსებით შეესაბამება შინაარსს. პირველ განყოფილებაში ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ძირითად პრინციპებზე, მეორეში მტკიცდება პრაქტიკაში მათი გამოყენების ჭეშმარიტება; მესამე განყოფილება გვიჩვენებს, რა სახით უნდა განხორციელდეს ეს პრაქტიკა და მასში სრულყოფილების მიღწევა. პირველ განყოფილებაში შეისწავლება სიბრძნე (*ჯნიანა*), რომელიც სულიერი განვითარების არსს წარმოადგენს; ეს ცოდნა ეხება მოღვაწეობას და თავგანისცემას (*კარმას* და *უპასანას*) და არ წარმოადგენს, ამგვარად, მშრალ თეორიულ დისციპლინას.

ვინც *ჯნიანას* შეცნობისკენ იღწვის, მათს განკარგულებაშია ოთხი ინსტრუმენტი, ანუ საშუალება. ესენია: *პადა*, *ბიჯა*, *სანქჰია* და *რეჟჰა*. *პადა* (საყრდენი, საფუძველი) ნიშნავს ოთხ ვედას, აგრეთვე წმინდა წერილებს (*სმრიტებს*), რომლებიც მათს ახსნას ცდილობენ. *ბიჯა*¹ *მანტრების* მთელ კრებულს მოიცავს, რომლებსაც უშუალოდ *გურუ* შეასწავლის. *სანქჰია*² არსებობს ორი სახის – *ვაიდიკა* და *ლაუკიკა*. *ვაიდიკა-სანქჰია* სხვადასხვა *მანტრების* განხილვა და რაოდენობრივი ანალიზია, *ლაუკიკა-სანქჰია* მიმართავს რიცხვებს, მათს შინაგან კავშირებსა და

¹ *ბიჯა* - „თესლი“. *ბიჯა-მანტრები* – სიტყვები ან ბგერები, რომლებიდანაც სხვა *მანტრები* აღმოცენდება (*ჰუმ, ჰუმ, დუმ, აიმ, ბრიმ* და ა.შ.). მიუხედავად იმისა, რომ *ბიჯა-მანტრებს* ამ მძლავრი სიტყვებისა და ბგერების შესატყვისი თარგმანი არა აქვს, განდობილებმა და ბრძენებმა მაინც განსაზღვრეს მათი ფაქიზი და მეტაფიზიკური აზრი. *მანტრები ბიჯებით* ყველაზე უფრო ძლიერია, მაგრამ წარმატების მიღწევისათვის მოსწავლემ *მანტრა* უნდა მიიღოს გამოცდილი *გურუს* მეშვეობით, რომელიც სინამდვილეში მოსწავლეს *მანტრის* ენერგიას გადასცემს.

² *სანქჰია* – ფიქრი, გამოთვლა. ძველი ინდოეთის ერთ-ერთი კლასიკური რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლა.

შესაბამისობებს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შეეხება გარე სამყაროს და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებს. *რექტას* ასევე ორი კატეგორია აქვს: *ვაიდიკი-რექტა*, რომელიც ნაწილია *უპასანასი* – ვედებში აღწერილი თაყვანისცემის წესებისა, და *ლაუკიკა-რექტა* – სამყაროს მათემატიკის ნაწილი.

მადჰურა-კანდა აღწერს *ბრაჰმა-ტატვას*, ანუ *ბრაჰმანის* პრინციპს იმ კატეგორიათა შუქზე, რომლებიც წმინდა წერილებში ავტორიტეტულად ითვლება. პურუშა თავდაპირველი არსებაა, რომლისგანაც ან რომელზედაც ფორმებისა და სახელების მთელი მრავალფეროვნება იბადება. აშვამედჰა-იაგაში (ცხენის მსხვერპლად შეწირვაში) ცხენი სიმბოლოა თვით პრაჯაპატისა (კაცობრიობის შემქმელისა და პირველმშობლისა). პურუშას ნებით ცხენში ხორციელდება პრაჯაპატის (ბრაჰმას) თვისებები და ატრიბუტები, და პურუშას ვალია სამსხვერპლო რიტუალის ნაყოფი იგემოს. ეს ნაწილი ასევე ცნობილია როგორც აშვა-ბრაჰმანა. ამის მსგავსად ცეცხლიც, მსხვერპლის შეწირვის მთავარი მომქმედი ძალა, უნდა შეიგრძნობოდეს და თაყვანი ეცეს როგორც პრაჯაპატი; ამ განყოფილებაში არის აღწერები, რომლებიც ცეცხლს (*აგნი*) პრაჯაპატის თვისებებს აძლევს. ამიტომ მას ასევე ჰქვია აგნი-ბრაჰმანა.

ეს სამყარო (*ჯაგატი*), რომელსაც მოტყუებულები ჭეშმარიტ სამყაროდ მიიღებენ, მხოლოდ და მხოლოდ სახელებისა და ფორმების უწყსრიგო ნარევია, მას არ გააჩნია სიმყარე და მუდმივობა, რომლებსაც მხოლოდ *ატმანი* ფლობს. ამის გამოა სამყაროს მიმართ მტრობა და ზიზღი და მისგან განდგომის სურვილი. გონება თავისუფლდება გრძნობითი სიამოვნებების ობიექტებისაგან და *ბრაჰმანისაკენ* ბუნებრივ მისწრაფებას ავლენს. ყველა ხმა სახელებია; ხმა, ანუ *ვაჩ*, მათს დაბადებას უწყობს ხელს. *რუპა*, ანუ ფორმა, მხედველობის ან ხედვის, ანუ თვალის წყალობითაა გაჩენილი. *კარმისთვის* მსგავსი წყარო სხეულია, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ხმისა და სხვა ინსტრუმენტების საცავს. ამ ჭეშმარიტებებზე ღრმა ფიქრი დაგეხმარებათ *ატმანის* შეგნების პროცესში წარმატებას მიაღწიოთ.

პრანა, ანუ ცოცხალი სუნთქვა; *შარირა* (სხეული) *პრანას* ადგილ-სამყოფელია; *შირას* (თავი), სადაც თავმოყრილია ინსტრუმენტები ცოდნის შესაძენად; ძალა, რომელიც საკვებითაა დაცული, - ეს ყველაფერი უპანიშადაშია განხილული.

როგორც თაფლი შეიცავს ათასობით ყვავილის სიტკბოს, ასევე *ჯაგატიც* იკრებს თავის თავში ბუნების ელემენტებს. *დჰარმა*, *სატია* (მორალური კანონი, ჭეშმარიტება) და სხვა აბსტრაქტული პრინციპები, ადამიანები და სხვა ცოცხალი

არსებები, ვირატ-პურუშა (კოსმოსური სული) და სხვა კონცეფციები – ყველა ისინი წარმოებულეობა ერთიანი *ბრაჰმატატვასი*, სხვაგვარად – უკვდავი, უცვლელი *ტატვასი* (არსისა). *ბრაჰმაჯნიანა*ა სწორედ იმის გაცნობიერება, რომ ეს *ტატვა* ყოველ ინდივიდუუმში იმყოფება.

ჯანაკამ, ძველი სამეფოს ვიდეჰას მეფემ, საზეიმო მსხვერპლის შეწირვა მოაწყო, და საჩუქრების სახით უზარმაზარ განძეულობებს არიგებდა. ამ *იაგაზე* მრავალმა *ბრაჰმანმა* მოიყარა თავი კურუ-პანჩალადან. მეფემ ბრძანება გასცა ოქროს ბრასლეტებითა და გულსაკიდებით მორთული ათასი ძროხა მოეყვანათ. მან გამოაცხადა, რომ ძროხებს ის მიიღებს, ვინც მას *ბრაჰმანის* შეცნობაში დაეხმარება. მრავალი *ბრაჰმანი*, მართალია, თავისი საქმის დიდი მცოდნე იყო, ვერ ბედავდა ძროხებზე უფლების განცხადებას იმის შიშით, რომ ამოცანას თავს ვერ გაართმევდა. მაგრამ იაჯნავალკია თავის ცოდნაში იმდენად იყო დარწმუნებული, რომ მოსწავლეებს უბრძანა ძროხები თავის *აშრამაში* წაეყვანათ! დანარჩენმა *ბრაჰმანებმა* ასეთი თავხედობის გამო აღშფოთება გამოხატეს და მისი გამოცდილებისა და სწავლეულობის გამოცდა დაიწყეს.

პირველი ჯანაკას სამეფო კარის ქურუმი გამოვიდა გამომწვევად წინ. მის კითხვებზე ბრძენმა გასცა პასუხები, რომლებიც სასიცოცხლო ენერგიის ნაკადებში მოთავსებული *ატმანის* მიღწევის მეთოდს ხსნიდა, *კარმა-იოგას* და *ბჰაქთი-იოგას* შეერთების გზით. *იაჯნას* პროცესში *რიტვიკის* (ვედური ჰიმნების მაგალობელი *ბრაჰმანის*) ხმა ცეცხლს (*აგნის*) სიმბოლიზირებს, დრო (*კალა*) ქარის (*ვაიიუს*) სიმბოლოა, *იაჯნას* მომწყოების გონება არის ჩანდრა (მთვარე). ასეთია წესი, რომლის დახმარებითაც შეიძლება რიტუალის მნიშვნელობის გაგება და იმ სისუსტეებისგან განთავისუფლება, რომლებიც მოკვდავებისთვისაა დამახასიათებელი.

შემდეგ ბრძენს ბჰუჯიუმ მიმართა; მან ჰკითხა, არის თუ არა არსება სახელად პურუშა, რომელსაც გრძნობები მართავენ და *სამსარას* ნაკადი იტაცებს? თუ ასეთი პურუშა არ არის? და თუ იგი არსებობს, რა განმასხვავებელი თავისებურებები აქვს მას?

იაჯნავალკიამ ასე უპასუხა: შენი *ატმანი* სწორედ ის არსია, ვის შესახებაც შენ კითხულობ; იმის მსგავსად, ხის იარაღს, რომელსაც დამოუკიდებლად მოქმედების უნარი არ გააჩნია, როგორ მართავს შინაგანი ან გარეშე ძალა, ან როგორც ამ ხელს შეუძლია იმოძრაოს, თუ მასზე რაღაცა ნება ახდენს ზემოქმედებას, ასევე სხეულიც, და სასიცოცხლო სუნთქვაც ვერ შეძლებს ფუნქციონირებას, თუ ზესულიერი ძალა არ უხელმძღვანელებს მათ. *ატმანი* მხედველობის ფუნქციას

მხოლოდ უთვალთვალეს. მას ესმის, და არა ყურს. ეს ზეცნობიერება (*ჩეტანა*), რომელიც ხედავს, გრძნობს და რომელსაც ესმის, სხვა არა არის რა, თუ არა გონებაში არეკლილი *ატმანი*. *ჩეტანა* მხედველსაც კი ხედავს! სინამდვილეში ხდება შემდეგი: გონებაში არეკლილი ზეცნობიერება (*ჩეტანა*) გრძნობით ორგანოებში გამოდის და მათი მეშვეობით ხუთი ელემენტისგან შემდგარ გარე სამყაროს მოიცავს, ამასთან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თვითონ ავლენს აქტიურობას. არსებითად, იგი ყოველგვარ აქტიურობას მოკლებულია.

ეს ზეცნობიერება (*ჩეტანა*) არის *ატმანი*, იგი გრძნობებისთვის მიუწვდომელია, ფაქიზი და მიზეზობრივი სხეულების ზემოთ და მათს ზრვრებს გარეთ იმყოფება. მისი გაგება მხოლოდ სულიერი გამოცდილებით შეიძლება, რომლის შედეგადაც სრულ განგომამდე შეიძლება მიღწევა. მიბმულობები ბავშვებზე, სიმდიდრეზე, ცოლზე და ა.შ. – ეს ყველაფერი უნდა გადაილახოს. ამ მიბმულობებს ბადებს *კამა*, ანუ სურვილი. ნებისმიერი აქტიურობა – ჩვეულებრივიც, რიტუალურიც, თაყვანისცემასთან დაკავშირებულიც – ხომ *კამას* ნაყოფია. ნაყოფის სურვილი ღვთისმოსავ მოქმედებათა გზასაც (*კარმა-სადჰანას*) ახასიათებს. ამის უარყოფა არ შეიძლება. ამიტომ მსგავსი მოღვაწეობა ჭეშმარიტი *სანიასის* (განდგომილის) გზასთან შეუთავსებელია.

სინათლე და სიბნელე არ შეიძლება იყოს ერთად ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე დროს. ასევე *კარმასთან* დაკავშირებული მოქმედებები არ შეიძლება *ატმა-ჯნიანასთან* ერთად არსებობდეს. *სანიასი* სრულად განდგომილია ყველა მოქმედებისგან (*სარვაკრიია-პარიტივაგა*)¹, ანუ იმ მოქმედებებისგან, რომლებსაც შედეგები მოაქვს, ანუ შესრულებულს შედეგის მიღების მიზნით). სამოწყალოს შეგროვებაც *კარმაა*, ეს კი *სანიასის* სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. ძველი დროის *ბრაჰმანებმა* იცოდნენ ამის შესახებ; მათ უარი თქვეს მიბმულობებზე, *ნივრიტის*, ანუ წუთისოფლისგან განშორების გზა, განვლეს და თავიანთი რეალობა შეიცნეს. *ბრაჰმანი* მხოლოდ ის შეიძლება ითვლებოდეს, ვინც განშორდა ყველა იმ გზას, რომელსაც *ატმანის* მიღწევის მიზანი არა აქვს. პიროვნების სხვა თვისებები მეორეხარისხოვნად ითვლება.

ამ უპანიშადაში *ატმანი* აღწერილია როგორც ყველაფრის განუყოფელი შინაგანი არსი. მიწა წყალთან შეერთების წყალობით ხდება დასახლებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიფანტებოდა, როგორც ბრინჯის ფქვილის გროვა. გარგიმ

¹ ანუ იმ მოქმედებებისგან, რომლებსაც შედეგები მოაქვს, ანუ შესრულებული შედეგის მიღების მიზნით.

ვაჯნავალკიას ჰკითხა, რაზეა დედამიწა დამყარებული. შეკითხვამ და მასზე გაცემულმა პასუხმა განგვიმარტა ჩვენ, რომ მიწა, წყალი, ქარი, მზე, მთვარე, მთვარის 27 სახლის *ნაქშატრა* (მთვარის სახლი; მთვარის ზოდიაკის 27 „სახლიდან“ (თანავარსკვლავედიდან) ერთ-ერთი), ღმერთები (*დევები*), ღმერთების მეფე ინდრა, შემქმნელი პრაჯაპატი, ღვთაებრივი სამყარო (*ბრაჰმანდოკა*) – ყველა ისინი, თანამიმდევრობით ერთმანეთისაგან გამოდიან, და მოქსოვილებია *პარამატმა-ტატვადან* – პრინციპიდან, რომელიც არის ქმნილების საფუძველი და მასალა, მისი ქსოვილი და საფარველი. ეს ჭეშმარიტებათა ადამიანის წარმოდგენის ზღვრებს მიღმაა¹. ისინი განათებული გონების მიერ შეიძლება აღქმულ იქნას მხოლოდ საღმრთო წერილებიდან, *შასტრებიდან*.

იაჯნავალკიამ გარგის მოსაზრებები უარყო, რადგან მისი კითხვები არ შეიძლება ახსნილიყო ინტელექტის გაწაფული ხერხებით, მათი ახსნა მხოლოდ *გურუს* ხელმძღვანელობით განვითარებული ინტუიციის გზით შეიძლება. მიწას ჰაერი (*გაიიუ*) მოიცავს და იცავს. ინდივიდუალიზირებული სამყარო, რომელმაც ეს ინდივიდუალობა შეიძინა ცხოვრებისეულ გამოცდილებებზე შთაბეჭდილებების შედეგად წინა განსხეულებებში, დაკავშირებულია ჩვიდმეტ ინსტრუმენტთან: ხუთ *კარმა-ინდრიასთან* (მოქმედების ორგანოებთან), ხუთ *ჯნიანა-ინდრიასთან* (შეცნობის ორგანოებთან), სასიცოცხლო ძალის ხუთ ნაკადთან (*პრანებთან*) და ინტელექტთან, ანუ სულიერ გონიერებასთან (*ბუდჰისტან*). კონკრეტული სხეული მიწის ევოლუციის შედეგს წარმოადგენს; იგი ჰაერითაა შევსებული. მასში შეიძლება აღმოვაჩინოთ მიწის 49 ნაწილი (*ანგი*), რომლებსაც ჰაერი იცავს და ერთ მთლიანში აერთიანებს, იმის მსგავსად, როგორც ძაფი მასზე ასხმულ მარგალიტის მარცვლებს აერთიანებს. როდესაც სხეულს ჰაერი სამუდამოდ ტოვებს, *ანგი* განცალკევდება და მოუწესრიგებელი ხდება, სხეული კი ხრწნას იწყებს. თუმცა საცხოვრებელ კომპლექსში, სხეულის სადგომში, იმყოფება მუდმივი სული, *ანტარიათი* – საიდუმლოება, რომელიც, არის რა ამ კომპლექსისთვის მიუწვდომელი, მისი ყველა იმპულსისა და აღმძვრელის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს; ეს *ანტარიათი* არ კვდება; იგი არის *ატმანი*.

¹ იაჯნავალკიამ თქვა: „ნუ მეკითხები, გარგი, მეტისმეტად ბევრს, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს დაკარგავ. შენ მეტიმეტად ბევრს მეკითხები ღვთაებაზე, რომლის შესახებაც ძალიან ბევრი არ უნდა შემეკითხო. ნუ მეკითხები, გარგი, მეტისმეტად ბევრს“ (ბრიჰადარანიაკა-უპანიშადი, III, 6-1).

გარგიმ მეორე კითხვა დასვა მას შემდეგ, რაც შეკრებილებისგან თანხმობა მიიღო, რადგან თავხედობა იქნებოდა საყოველთაო ნებართვის გარეშე მსგავსი პრობლემების წამოწევა. სად იმყოფება ამ ორობით სამყაროში *ატმანი* (შინაგანი არსი) – როგორც წარსულში, ასევე აწმყოსა და მომავალში? გარგის უნდოდა იაჯნავალკია დაეხსია, რადგან იგი იძულებული იქნებოდა ეღიარებინა, რომ „მარადიული ყოფიერება სიტყვიერი გამოსახვის ზღვრებს მიღმაა და აღწერას არ ექვემდებარება“. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ გარგი კარგად გაცნობიერებული იყო *ბრაჰმაჯნიანაში*. აქედან შეიძლება დავსკვნათ, რომ *ბრაჰმავედიას* სფეროში სქესს მნიშვნელობა არა აქვს.

„*ბრაჰმავედიები*, ანუ *ბრაჰმული* სიბრძნის მატარებლები, დეკლარირებენ, რომ *პარაბრაჰმანი* მუდმივად იმყოფება გაუმჟღავნებელ *აკაშაში*“, - თქვა იაჯნავალკიამ, და ამით რთულ სიტუაციას დააღწია თავი, რომელშიაც გარგის უნდოდა იგი ჩაეყენებინა; რის შემდეგაც მან ასე აღწერა ამ მარადიული ყოფიერების (*აკაშარას*) ბუნება: „მას არ ახასიათებს არც უხეში, არც ფაქიზი ცვლილებები, არ გააჩნია ისეთი მატერიალური თვისებები, როგორიცაა ფერი, სუნი, ფორმა და ა.შ., არ არსებობს საშუალება, რომლის დახმარებითაც მისი გაგება იქნებოდა შესაძლებელი. დრო მისი ნების მხოლოდ გამოვლინებაა. რა საჭიროა შემდგომი განხილვა? მზე და ხუთი ელემენტი მის ნებას ადასრულებენ“. გარგიმ შეკრებილებს მოუწოდა იაჯნავალკიას წინაშე ქედი მოეხარათ და მისი უპირატესობა ეღიარებინათ. ამით დისკუსია დასრულდა.

ატმანი ბუნებით სხივმფენია, როგორც მზე. ადამიანები ამბობენ, რომ *ატმანს* და მის ნათებას „ხედავენ“. მაგრამ სინამდვილეში ამის დანახვა შეუძლებელია. მის ზღვრებს იქით არაფერი არსებობს, რადგან მას „მეორე“ არ გააჩნია. იგი უხილავიცაა, და თვით მასაც არ შეუძლია დანახვა. არ გააჩნია მხედველობის და ყნოსვის ორგანოები. მასში არაფერია ისეთი, რასაც რაიმე ფუნქციის შესრულება შეეძლებოდა.

ყოველი ნაბიჯი, ყველაზე უფრო პრიმიტიული სიხარულიდან უმაღლეს *ბრაჰმანანდამდე*, არის გრძნობების სრულყოფის პროცესი. ისეთი სიტყვები, როგორიცაა „*პარამანანდა*“, მხოლოდ *ანანდას* სტადიას მიანიშნებს. არსებითად *ანანდას* ყველა ტიპი

პირველი წყაროდან – *ბრაჰმანანდადან* - წარმოიშვა. ეს ყველაფერი იაჯნავალკიამ ჯანაკას აუხსნა, და უდიდეს სიხარულს განიცდიდა იმის გამო, რომ მეფეს თავის ცოდნას გადასცემდა.

როგორც ერთი ციციქნა თესლიდან ხე იზრდება, ასევე იზრდება სხეულიც, მაგრამ თესლი ნაყოფში სხვა ხეს აძლევს სიცოცხლეს, სხეული კი, როგორც მომწიფებული ნაყოფი, მიწაზე ვადება. *გაჩ* (მეტყველება) და სხვა ინდრიები მას მიჰყვება; სუნთქვა თავის წყაროს ერწყმის. მხოლოდ *ატმანი* რჩება ხელშეუხებელი, არც ერთ გზას არ ეკვრის. როგორც ყოველთვის, იგი უძრავი და აუღელვებელი რჩება.

ცოდვიანი მოქმედებები ცოდვას ბადებენ, მართლქმედითი საქმეები ღვთისმოსაობას ბადებენ – ამგვარად გროვდება *კაპა* და *პუნი*, სიკეთე და ბოროტება. ისინი ახალი სხეულისთვის იმპულსებს ქმნიან და ახალი *შარირასთვის* მთავარ აღმძვრელად გამოდიან. *ატმანი* ძველ სხეულს ტოვებს და წინასწარ გრძნობს ახალ სხეულს, მან რომ უნდა დაიკაოს, ბღუნძელას მსგავსად, რომელიც უკანა ფეხებს მაღლა წევს, იმ დროს როცა წინები მაგრად არის ჩაჭიდებული ახალ ადგილს. მაგრამ *ატმაჯნიანი* თავისუფალია ფიზიკური მოქმედებების იმპულსებისაგან, და ამიტომ *ატმანი*, მოცემულ შემთხვევაში, სულაც არ იღწვის ახალი სხეულისაკენ. *ჯნიანამარგა* (სიბრძნის გზა) არის იმ *ბრაჰმავიდი*ს გზა, ვინც *ბრაჰმანი* შეიცნო.

კარმული გზის მომხრეები გულმოდგინენი არიან *ტაპასში*, მაგრამ *ატმაჯნიანი* თავისუფალია *კამასგან*, სურვილისგან, და ამიტომ მისმა გონებამ არ იცის რა არის მღელვარება და ვნებითი მისწრაფებები, რომლებიც *ტაპასს* ახასიათებს. იგი ხდება *ვიშვაკარტა* – სამყაროს მშრომელი, ჭეშმარიტი ოსტატი, რომელიც შექმნის (*ვიშვას*) თანამონაწილეს. ვინც *ბრაჰმანის* სამეფოს ხედვას დაეუფლა, მას აღარ სჭირდება საითმე სწრაფვა, რაიმეზე ზრუნვა, აღარაფერი აქვს შესაცნობი და საძებნი.

ღარიგებები, რომლებსაც ამ უპანიშადაში იაჯნავალკია თავის მეუღლეს, მაიტრეიას აძლევს, წარმოგვიდგენს *ატმაჯნიანას*, რომელიც შასტრების შესწავლის შემდეგ გვეხსნება *ტარკასთან* (დაფიქრებასთან) მჭიდრო და მუდმივი თანამეგობრობით. მათში ასევე აღწერილია *სანიასის* პრინციპები – ამ *ჯნიანას* მიღწევის ხერხები. შეგრძნების მთელი სამყარო, აგრეთვე გრძნობები, უნდა

შეფასდეს როგორც სიზმრები და მეტი არაფერი; უაზროა მათი გაფრთხილება, როგორც ერთადერთი არსებულისა და რაიმე ღირებულებისა.

მხოლოდ *ატმანია* სიყვარულის ღირსი, ყოველივე დანარჩენის ყვარება მხოლოდ *ატმანის* გულისთვის შეიძლება. თუ *ატმანი* შეიცანით, ესე იგი თქვენ ყოველივე დანარჩენიც შეიცანით. ყველა შედეგი მიზეზითაა განპირობებული. ოკეანე ყველა წყლის საბოლოო მიზანია; ყოველივე ის, რასაც გემო გააჩნია, თავის დანიშნულებას ენაზე პოულობს; ყველა ფორმა თავის თავს თვალში ავლენს; ყველა ხმა ყურისკენ ისწრაფის; ყველა განხილვის მიზანი გონებამდე მიღწევია. ამის მსგავსად მთელი *ჯაგატი* ბოლოს და ბოლოს *ბრაჰმანის* მიერ შთაინთქმევა.

ბჰუჯიუს შეკითხვის პასუხად იაჯნავალკია ხსნის თავის ცოდნას სამყაროს ევოლუციის პროცესზე – *ბრაჰმანა-ნირმანაზე*. იაჯნავალკიამ გარგის ორ შეკითხვას მოუსმინა, და ბრძენებს *ბრაჰმანის სვარუპას* საიდუმლო გაანდო, რომელიც გამოდის როგორც *აპარაკოშა*. *საკალიაბრაჰმანში* იაჯნავალკია უმაღლესი სულის საიდუმლოებების დარგში თავისი ერუდიციით გვაოცებს. მეფე ჯანაკას დარბაზში მან გამარჯვებას მიაღწია როგორც ამ მხარის ბრძენთა შორის ყველაზე უფრო ბრძენმა. მან ეს მხარე თავისი სწავლებით განწმინდა. მან უპასუხა ცბიერი ბჰუჯიუს რთულ შეკითხვებს და კიდევ უფრო რთულ შეკითხვებს, რომლებიც გულწრფელმა მაძიებელმა, გარგიმ დაუსვა, - ერთნაირი სიმშვიდითა და ოსტატობით. განდობილებს შორის იგი უბრწყინვალეს მარგალიტად გამოაცხადეს. რა თქმა უნდა, თვითონ იაჯნავალკია ბრძენებთან შეხვედრისას მათს ღიღებულებას აღიარებდა. იგი საკმაოდ კეთილშობილი იყო, რომ იმ მასწავლებლების მაღალი სიბრძნე შეეფასებინა, რომლებიც ჯანაკას სულიერი მოძღვარნი იყვნენ. მოგვიანებით იაჯნავალკიამ შეიგრძნო, რომ მას აღარაფრის მიღწევა და სწავლა აღარ სჭირდება და მონასტერში წავიდა. მას ესმოდა, რომ მის მეუღლესაც, მაიტრეიას, სწყურია რეალიზაციის მიღწევა და მისი მოძღვარი გახდა *ბრაჰმაჯნიანაში*, რადგან ქალები იმ დროში მამაკაცების თანასწორად პატივცემულნი იყვნენ, ისინი ღირსნი იყვნენ დასდგომოდნენ ცოდნის გზას (*ჯნიანა-მარგას*), რომელსაც ადამიანი გათავისუფლებისკენ მიჰყავს.

ღრმად იფიქრეთ ამის შესახებ, რომ ცნობიერების უმაღლეს დონეზე – *ტურიიაზე* – ახვიდეთ. და მაშინ *ნამა, რუპა, ვასტუ, ბჰავა* (სახელი, ფორმა, გარე სამყარო, ემოციები) – ეს ყველაფერი ერთიან ყველგან გამსჭვალავ ყველგან მსუფვე *ატმანს* შეერწყმის!

ეს უპანიშადა მოკლე ფორმით ხსნის ფილოსოფიის უღრმეს ფორმებს. იგი არავითარი სახით არ აღძრავს *კარმის* საკითხებს და ყოველივე იმას, რაც მასთან არის დაკავშირებული. იგი მთლიანად *ატმატატვას* სწავლებას ეძღვნება.

თავი 7 პრაშნა-უპანიშადა

თაყვანი უნდა ეცეს ამ ყველასახიანს,
ყოველივე ცოცხალის მცოდნეს,
ყველაფრის უმაღლეს მიზანს,
ნათებას, ერთადერთ ჩირადდანს.
იმყოფება რა ასობით სხვადასხვა ადგილას,
ეს მზე ამოდის, მთელი ქმნილების სუნთქვა.

პრაშნა-უპანიშადა, 1-8

პრაშნა-უპანიშადა ათჰარვავედას ეკვრის. მას ასეთი დასახელება იმიტომ აქვს, რომ კითხვებისა (*პრაშნა*) და პასუხების ფორმითაა აგებული. ამის წყალობით იგი უფრო დეტალურად ხსნის იმ თემების მთელ რიგს, რომლებიც მხოლოდ გაკვრივითაა განხილული მუნდაკა-უპანიშადაში. ამით იგი უკანასკნელის ერთგვარი კომენტარი ხდება.

მუნდაკაში, მაგალითად, ნათქვამია, რომ არსებობს *ვიდიას* ორი სახე – *პარა* და *აპარა*, და რომ *აპარავიდი*ა მოიცავს *კარმას* და *უპასანას*. მეორე და მესამე *პრაშნა* ამ უპანიშადაში მიძღვნილია *უპასანას*. რამდენადაც *კარმის* შესწავლით მთლიანად *კარმა-კანდა*ა დაკავებული, აქ ეს თემა არ მუშავდება. როდესაც *კარმა* და *უპასანა* ისე სრულდება, რომ საბოლოო შედეგზე არ არის დამოკიდებული, ისინი თვითგანდგომასა და მიბმულობებზე უარის თქმას უწყობს ხელს. ასეთია დასკვნა,

რომელიც პირველი პრაშნადან გამოდის. ამიტომ, თუ პრაშან-უპანიშადა მუნდაკას შემდეგ შეისწავლება, მაშინ მისი შინაარსი უფრო ნათელი ხდება.

ორი არსიდან - *პარაბრაჰმანიდან* და *აპარაბრაჰმანიდან* - *აპარაბრაჰმანს* არ გააჩნია უნარი ადამიანს უწყალობოს მიღწევა *პურუშართჰებისა* (სასიცოცხლო მიზნებისა), რომლებსაც არაწარმავალი ღირებულება აქვს. როდესაც მოსწავლე ამას იგებს და აღვსილია სურვილით მარადიულ *პარაბრაჰმანს* მიაღწიოს, იგი უახლოვდება ბრძენ მასწავლებელს (*პიპალადას*). სიტყვა „მაძიებელი“ (*ანეეშამანა*), რომელიც აქ არის გამოყენებული იმისათვის, რომ მოსწავლის მდგომარეობა აღნიშნოს, გვიჩვენებს, რომ იმას, ვინც *აპარაბრაჰმანზეა* (დაბალ „მე“-ზე, რომელსაც ზესულთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს) მიბმული, არ შეუძლია თავისი ჭეშმარიტი ბუნება *ატმანთან* გააიგივოს. სწორედ ამიტომ აგრძელებენ ასეთი ადამიანები მის ძებნას გარე სამყაროში, და არა საკუთარი არსების შიგნით! *პარაბრაჰმანის* მარადიული და უბადლო პრინციპის მიღწევა მხოლოდ შასტრების დახმარებით შეიძლება, რომელთა შესწავლას პირადად *გურუ*, მასწავლებელი ხელმძღვანელობს.

მაძიებელმა *გურუს* უნდა მიმართოს „სამიტ-ჰანას“ სახით, ანუ იმით არ უნდა შემოიფარგლოს, რომ უბრალოდ საწვავი შეაგროვოს წეს-ჩვეულებისთვის და სამსხვერპლო ცეცხლი შეინარჩუნოს. მოსწავლეს ასევე მართებს ღირსეული, შესაქები მსხვერპლის შეწირვა შეასრულოს. მაძიებლები პიპალადას ხედებიან და იგი ეუბნება მათ: „ძვირფასი სწავლება, რომელიც დაკავშირებულია სამყაროს მთავარ საიდუმლოებასთან და ადამიანის „მე“-სთან და ცნობილია როგორც *ბრაჰმავიდი*, არ შეიძლება არაგანდობილებს გადაეცეს. მოსწავლეები თავიდან კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ და მათ ერთი წლის განმავლობაში გამოსაცდელი ვადა უნდა გაიარონ“.

როდესაც ერთი წელი გავიდა, კატაიაიანამ პიპალადას ჰკითხა: „რა მიზეზით იბადებიან ცოცხალი არსებები?“ „პრაჯაკამები, - პასუხობს მასწავლებელი, - არიან ისინი, რომლებიც იღწვიან, რომ შთამომავლობა ჰყავდეთ. არსებითად, მათ იმედი აქვთ თავიანთი თავი შთამომავლობაში „განაგრძონ“, ანუ სამუდამოდ დაიმკვიდრონ თავი. პირანიაგარბჰა, რომელიც *პარაბრაჰმანისგან*

განუყოფელია, თვით პრაჯაპატი. ჰირანიაგარბჰას¹, არის რა პრაჯაპატი, შთამომავლობა სურს. მას ოთხი აპარავიდია აქვს, რომლებიც მას წინა თაობებმა გადასცეს და რომლებიც მასში ამ სურვილს არძრავს“. ასეთი იყო გურუს პასუხი.

სურია, ანუ მზე, ყველაფერ ცოცხალს ასხივებს ყველა ათ სფეროში. სურია პრაჯაპატის თვით არსია, და ამიტომ უმაღლეს და უდაბლეს სამყაროებში არსებული არსებები, სურიას მიერ განათებულნი, პრაჯაპატის თვით არსები ხდებიან. სიტყვა „პრანა“ შეეხება თვით ადიტიას, მზეს, რადგან ადიტია იძლევა პრანას (სასიცოცხლო სუბსტანციას), რამდენადაც ყველა არსებას საკვების მიღების და ა.შ. წყალობით შეუძლია სიცოცხლე. მზეს ასევე ჰქვია ვიშვანარა². მთელ სამყაროს მისი ბუნება აქვს, ამიტომ მას ვიშვარუპასაც³ უწოდებენ. წელიწადი (სამეატსარა) დროის მიმნიშნებელს წარმოადგენს მზის მდგომარეობის შესაბამისად. დრო მხოლოდ და მხოლოდ დღისა და ღამის მონაცვლეობაა, და ეს ფაზები მზეზეა დამოკიდებული. მთვარის ფაზების (ტიტჰების) ცვლა მთვარის ბრუნვითაა გამოწვეული. ორობითი, განუყოფელი ძალები – მთვარე და მზე – პრაჯაპატის მიერაა შექმნილი, და, შესაბამისად, დროს, რომელსაც ჩვენ ვუკავშირებთ ხანგრძლივობას, სიგანეს, სეზონების ცვლას, თვეებს და ა.შ., იგივე წარმომავლობა აქვს. პრაჯაპატის ასევე ჩრდილო და სამხრეთი ციკლები აქვს.

პრაჯაპატის ჩაწვდომა და თაყვანისცემაა მის ამ უნივერსალურ ასპექტში სწორედ ჯნიანა (სიბრძნე). ვინც ჯნიანას ფლობს, ვინც გრძნობებს მბრძანებლობს და ვედების რწმენა შეიძინა, იგი შეიძლება ადვილად დარწმუნდეს, რომ თვითონ წარმოადგენს ატმანს. როდესაც უტარამარგას გზით (უმაღლესი, ანუ „ჩრდილოეთის“ გზით) მიდის, იგი იმ სტადიას აღწევს, რომელიც ცნობილია როგორც სურიალოკა. ეს ლოკა ყველა ცოცხალი არსებისთვის თავშესაფარს წარმოადგენს. მაგრამ ამ ლოკაში მხოლოდ იმათ შეუძლიათ შესვლა, რომლებიც თავის ყოველდღიურ ვალდებულებებს თვინიერად

¹ ჰირანიაგარბჰა – სამყაროს „ოქროს ჩანასახი“, გაიგივებულია ღმერთ-პირველმშობელ, შემქმნელ ბრაჰმასთან, იგივე პრაჯაპატი – ყველა არსების პირველმშობელი.

² ვიშვანარა - „სრულიად ადამიანი“, „ის, ვინც ადამიანებს იცავს“.

³ ვიშვარუპა – ყველა ფორმის მფლობელი, უნივერსალური, სამყაროებრივი ფორმა.

ასრულებენ და ამასთან შრომის ნაყოფის მიღების სურვილი არა აქვთ.

სეზონები, რომლებიც *ვასანტას*, გაზაფხულის მსგავსია, წარმოადგენს მზის, დროის სიმბოლოს „ტერფებს“; თორმეტი თვე მისი ინდივიდუალური თვისებებია; მზე სამყაროების მიზეზია, - ასეთია ჭეშმარიტებები, რომლებიც მე-4 და მე-6 *მანტრებშია* გამოსახული. წვიმები ასევე მზით არის გამოწვეული, ამიტომ მზე მესამე *ლოკას* (*დიაუ-ლოკას*), ციური სამყაროს მეუფესაც წარმოადგენს.

აკაშა, *ვაიუ*, *აგნი*, *ჟალა*, *ბჰუმი* (ეთერი, ჰაერი, ცეცხლი, წყალი, მიწა) ელემენტებია, რომლებითაც სხეულია შედგენილი. მათ თავისი მაკონტროლირებელი ღვთაებები ჰყავს. გრძნობათა მოქმედ ორგანოებს, ისეთებს, როგორიცაა მეტყველება, და შემცნობს, როგორიცაა თვალი, ასევე თავისი ღვთაებები ჰყავს, რომლებიც მათში იმყოფებიან და რომლებიც მათს ფუნქციებს სტიმულს აძლევენ; გონებას და ინტელექტს თავისი ღვთაებები ჰყავს; ყველა ისინი საყრდენებს წარმოადგენენ, ცოცხალ არსებებს ინარჩუნებენ და სხეულის სტრუქტურას დაშლისგან იცავენ.

სხეული კომპლექსია, რომელიც ხუთი ელემენტის შეთავსებითაა შედგენილი. *ჟნიანა-ინდრიები* ამ შეთავსებების შედეგს წარმოადგენს. ამგვარად, სხეული წარმოადგენს მიზეზებისა და შედეგების ნაკრებს. ისინი *პრანას* ცენტრშია დამაგრებული, როგორც ბორბალში მალეები. ამის მსგავსად, *რიჩებიც*, რიგვედას *მანტრებიც*, სამავედას *მანტრები*, *იაჯნებიც*, სადაც ეს *მანტრები* იხმარება, *ბრაჰმანული* ძალაც, რომელიც *იაჯნას* წმენდს, *ქშატრიებიც*, რომლებიც ადამიანებს ხიფათისაგან იცავენ, - ყველა ისინი *პრანას* ბუნების მატარებლებია. როდესაც პრაჯაპატი ღრუბელი ხდება და წვიმის სახით მოდის, ცოცხალ არსებებს უხარიათ, რადგან სიცოცხლის უნარს იძენენ. „ყველაფერი ის, რაც ბედნიერებას უწყობს ხელს, შენთან არის დაკავშირებული, ამიტომ დედასავით გვიმფარველ. შენ გვაძლევ სიმდიდრეს და კეთილდღეობას, რომლებიც სულიერ და ფიზიკურ დაცვას წარმოადგენს. მოგვეცი ეს სიმდიდრე და ეს სიბრძნე“. ეს ლოცვა პრაჯაპატისკენაა მიმართული. რიგვედას, იაჯურვედას, სამავედას *მანტრები* *ბრაჰმანების* სიმდიდრეა; მატერიალური სიმდიდრე კი *ქშატრიების* ხვედრია. ასე

დეტალურად და სათუთად სწავლობს უპანიშადა *პრანა-პრაჯნაპატი* და მის ფუნქციებსა და ატრიბუტებს.

შემდეგ პიპალადა ბჰარგავას შეკითხვას უბრუნდება, ამის შემდეგ კი კაუსალია აშვალაიანა მასწავლებელს *პრანას* შესახებ ეკითხება. და პიპალადა ამბობს: „ჩემო ძვირფასო ბიჭუნავ, იმის მსგავსად, ადამიანი ღანდს როგორ ქმნის, *ატმანიც* *პრანას* ბადებს. *პრანა* თავის თავს *ატმანს* უძღვნის *მანასის* *სანკალპას* (ნების) მეშვეობით. როგორც მეფე ზრუნავს თავის სამფლობელოებზე, ასევე უმაღლესი *პრანაც* მიაწერს სხვადასხვა *პრანებს* გარკვეული ფუნქციები შეასრულონ და ყოველ მათგანს „მოქმედების სფეროს“ შეუჩივს. *მუქშია* *პრანას*, ანუ უმაღლეს *პრანას*, თავის განკარგულებაში ჰყავს ადიტია და სხვა ღმერთები მამოძრავებელი ძალების სახით. ცეცხლის ენებიდან გამოვარდნილი ნაპერწკლების მსგავსად მოუშლელი *პარამატმანიდანაც* ჩნდებიან ცოცხალი არსებები. ისინი ამავე ცეცხლში უჩინარდებიან“. მის შესახებ ნახსენებია მუნდაკაშიც (2-1-1).

შემდეგ პიპალადა გარგის შეკითხვას ასე პასუხობს: „ჩამავალი მზის სხივები თვით მზის მიერვე შთაინთქმება; როდესაც მეორე დღეს მზე ამოდის, ისინი კვლავ მისგან გამოდიან. ასეთივე სახით სიზმრების დროს გრძნობათა სამყარო ზავდება გონებაში, რომელიც ცნობიერებას ირეკლავს, და როცა თქვენ იღვიძებთ, სენსორული შთაბეჭდილებები კვლავ ჩნდება და თავის ბუნებრივ ფორმას იძენს. აი ჭეშმარიტი „მე“, ანუ *პურუშა* რატომ ვერ ისმენს, ვერ ხედავს, ვერ შეიგრძნობს, არ ხარობს. იგი არ დადის და არ ლაპარაკობს“.

ატმანი, რომელიც სუფთა ცნობიერებაა, სიზმრების ფაზაში ხედავს, ესმის და იმპულსების (*ვასანების*) სახით შეიცნობს კიდევ ყოველივე იმას, რასაც მღვიძარობის დროს ხედავს, ისმენს და შეიცნობს. როდესაც ამბობენ, რომ „*ატმანი* ყოველი საგნის საფუძველია“, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველა საგანი მისგან განსხვავდება. მაგრამ განსხვავება, რომელიც თითქოს არსებობს „ყველაფრის საფუძველსა“ და ინდივიდუალურ სულს (*ჯივას*) შორის, რომელიც ამ საფუძველზეა დაფუძნებული, მხოლოდ ცხოვრებისეული გარემოებებით გამოწვეულ ილუზიას წარმოადგენს, ეს არის განსხვავება მენტალური ბუნებისა, და არა ფუნდამენტურისა. პიპალადამ აგრეთვე თქვა, რომ ნებისმიერ

ლოკას შეგვიძლია მივაღწიოთ, თუკი ამ ლოკას ღვთაებას ვცემთ თაყვანს *პრანავას* თაყვანისცემის მეშვეობი.

შემდეგი შეკითხვა მასწავლებელს დაუსვა სუკეშამ, ბჰარადვაჯას ვაჟმა, და პასუხი ასე ჟრერდა: „*პურუშა*, რომლის შესახებაც შენ კითხულობ, თვით სხეულშია მოთავსებული და წარმოადგენს გულის, შინაგანი ზეცის, მკვიდრს. სწორედ გულში მისი თანდასწრების წყალობით ანათებთ თქვენი ინდივიდუალობისა და მიღწევების მთელი ბრწყინვალეობით. ისინი *პურუშადან* გამოდიან და *პურუშას* მიერ შთაინთქმებიან. როგორც მიწების აღმნიშვნელი ბოძები ერთმანეთზეა დამოკიდებული, ასევე ყველა ოთხი პრინციპი – მიწა, ღურგა (*შაქტი*), საკვები და *პურუშა* ერთმანეთისაგან იბადებიან; ეს ტაიტირიის მეორე განყოფილებას ეთანხმება. წყარო შეიძლება თვალისთვის შეუმჩნეველიც იყოს; *ჟნიაანა-ინდრიებისა* და *კარმ-ინდრიების* წყაროები უკვე იყო აღწერილი, *პურუშას* ბუნება კი ისეთია, როგორც უკვე იყო ნათქვამი. ყველა მდინარე ზღვას ერთვის და ამასთან ერთად ფორმას და სახელს კარგავს. ამის შემდეგ მდინარეებს უკვე ზღვა ჰქვიათ. ასევე ბოლოში მხოლოდ *პურუშა* რჩება. იგი ყოველგვარი შენაძენის, ცვლილებისა და ახალი თვისებების გარეშე იმყოფება. იგი მარადიული და უსასრულოა. სულ ეს არის, რაც მე *ბრაჰმანის* შესახებ ვიცი და რაც მის შესახებ უნდა ვიცოდე“, - უთხრა პიპალადამ კაბანდჰის და სხვა მოსწავლეებს.

უპანიშადა მთავრდება იმით, რომ მოსწავლეები ღრმა პატივისცემას გამოხატავენ მასწავლებლის მიმართ. მამა მხოლოდ სხეულს იძლევა. პიპალადამ მათ *ატმატატვა* შეასწავლა და ამით *ბრაჰმაშარირა* (ღვთაებრივი სხეული) მისცა. ექვსმა მოსწავლემ – კაბანდჰიმ, ვაიდარბჰიმ, კაუსალიამ, სურიანიმ, სატიაკამამ და სუკეშამ მხოლოდ ექვსი შეკითხვა დაუსვა. ამ კითხვებმა და პასუხებმა მუნდაკას აზრი გამოავლინა და ამ მოკლე ტექსტისთვის კარგი კომენტარები შექმნა. აი ეს კითხვები:

1. რა არის *პარა* და *აპარა*?
2. ვინ იცავს და მფარველობს ცოცხალ არსებებს?
3. როგორ იბადება *ჰირანიაგარბჰა პარამატმანიდან*?
4. რა სახით ჩნდება ქმნილება *პარამატმანიდან*?
5. რა სახით შედის *პრანა* (*ჩაიტანიათი* აღვსილი პრინციპი) სხეულში და ხუთ არხში აღწევს?

6. რა გრძნობებია „ამოქმედებული“ სამ ფაზაში – მღვიძარობის, სიზმრების და ღრმა ძილისაში? აი რიგი შეკითხვებისა, რასაც ეს უპანიშადა პასუხობს.

თავი 8

კენა-უპანიშადა

თუ ამ სამყაროში იციან იგი,
მაშინ ჭეშმარიტება აქვთ; თუ ამ სამყაროში
არ იციან იგი, მაშინ ბევრს კარგავენ.
ბრძენები, ფიქრობენ რა ყველა არსებაზე,
როდესაც ამ ქვეყნიდან მიდიან,
უკვდავნი ხდებიან.

კენა-უპანიშადა, ||-5

კენა-უპანიშადა მიეწერება სამავედას და მის შტოს – ტალავაკარას, ამიტომ მას ხშირად ტალავაკარა-უპანიშადას უწოდებენ. დასახელება „კენა“ წარმოშობილია უპანიშადას პირველი განყოფილების ლექსის საწყისი სიტყვიდან:

*„კენაშიტამ პატატი პრეშიტამ მანაჰ,
კენა პრანაჰ პრატჰამაჰ პრატიიუკტაჰ,
კენეშიტამ ვაჩამ იმამ ვადანტი,
ჩაქშუჰშროტრამ კაუდევო იუნაქტი?“*

„ვინ შთააგონებს გონებას ობიექტამდე დავიდეს? ვინ აიძულებს მაცოცხლებელ ძალას მოქმედება დაიწყოს? ვისი ბრძანებით ლაპარაკობენ ადამიანები? რა გონიერი საწყისი მართავს მხედველობას და სმენას?“

ყურს, კანს, თვალს, ენას, ცხვირს – გრძნობათა ამ ხუთ ორგანოს უნარი აქვს შესაბამისად გაარჩიოს ხმა, შეხება, ფორმა, გემო და სუნი; ცოდნის ობიექტები შეცნობილი ხდება მხოლოდ ამ ხუთი ორგანოს დახმარებით ხდება. სამყარო შეიცნობა ამ „ინსტრუმენტების“ წყალობით, რომლებიც შუამდგომლებს წარმოადგენენ შემცნობსა და შესაცნობს შორის. ობიექტების

გაგების შინაგან უნარს გონება, ანუ *მანასი* ჰქვია. *ჯნიან-ინდრიების* გავლით *მანასი* გარეთ ისწრაფის და, ერთვება რა ობიექტებს, მაშინვე, შეხების მომენტში, ობიექტის ფორმას იღებს. ამ მოვლენას ჰქვია *ვრიტი*, ანუ ფუნქცია. *მანასი* არის *აჰეტანა*, ანუ არაშეგნებული, და ამიტომ მთელ მის ცვლილებებსა და მანიპულაციებს (*ვიკარებს*) ასევე ჰქვია *აჰეტანა*, ანუ არაგონიერი და სიცოცხლის არამატარებელი. ხის თოჯინა შედგება მხოლოდ ხისაგან, შაქრის თოჯინა – მხოლოდ შაქრისაგან. არაგონიერ *მანასს*, *აჰეტანას*, არ შეუძლია ჩასწვდეს *ჰეტანას*, ანუ უმაღლეს გონს, რომელიც მთელ სამყაროს მოიცავს.

გონების არმქონე ეტლი მეეტლის მიერ იმართება; არაგონიერ *მანასს* ასევე უნდა მართავდეს ეტლში მჯდომი მეეტლე, რომლისთვისაც *მანასი* მხოლოდ გადამზიდი საშუალებაა. მამოძრავებელი ძალა, რომელიც აქტიურობას აძლევს შინაგან ინსტრუმენტებს – შემცნობ და მომქმედ გრძნობებს, ხუთ *პრანას*, - ეს ძალა არის ღმერთი. ზემოთ ნახსენები კითხვა გულისხმობს, რომ ეს ძალა გრძნობებისაგან განსხვავებულია. ამიტომ ბუნებრივია, რომ გრძნობების მთელი ნაკრების ძრავი *მანასისაგან* უნდა განსხვავდებოდეს, ხომ ასეა? ისინი, ვინც მარადიულის შესახებ იციან და მისკენ ისწრაფიან, დარწმუნებულნი იმაში, რომ ყოველგვარი მოქმედება და ყოველგვარი აქტიურობა ეფემერულია, მღელვარებას სამუდამოდ მოიცდილებენ.

ეს მარადიული ერთიანი ვნების გარეშეა, და მასზე გავლენას არ ახდენს სამობითი (სამი *გუნასაგან*¹ შემდგარი) სამყაროს რხევები. იგი გრძნობებს ბრძანებებს არ აძლევს აკეთოს ეს თუ ის. მაშინ ჩნდება კითხვა: „ასრულებენ თუ არა *მანასი*, *პრანა*, ხმა, თვალი, ყური და ა.შ., თავის ფუნქციებს, რომლებიც მიზეზებისა და შედეგების კანონითაა ნაკარნახევი? თუ ისინი შეგნებული ძალის ნებით მოქმედებენ?“ აი რა იწვევს ეჭვს.

ყურს აქვს უნარი განასხვავოს ხმა, თვალი აღჭურვილია „შეძლებით“ ფორმა გაარკვიოს. გრძნობათა სხვა ორგანოებიც შესაბამისი ფუნქციების მატარებლები არიან. როდესაც *მანასი*, შემცნობი ორგანოების მეშვეობით, ობიექტებისკენ ისწრაფის და

¹ სამი *გუნა* – სამი „ძაფი“, სამი თვისება, რომლებიც ბუნების ბოჭკოს ქმნის – *სატვა* (სიწმინდე, წონასწორობა, სიკეთე), *რაჯასი* (აქტიურობა, მოღვაწეობა, მღელვარება, ვნებიანობა), *ტამასი* (ინერცია, ჩამორჩენილობა, სიზარმაცე, უმეცრება).

მათ მოიცავს, თქვენ ამ ობიექტების შესახებ ცოდნას იღებთ. ამრიგად, ხუთი გრძნობა და *მანასი*, შეცნობის ერთადერთ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ. მაშ როგორ ახერხებენ ისინი ამ გონიერი ფუნქციის განხორციელებას, თუ თვითონ გონების გარეშე არიან?

პასუხი ასეთია: ეს შესაძლებელი ხდება *ატმანის* თანდასწრების წყალობით, ინდივიდუალურ ცნობიერებაში - *ანტაჰ-კარანაში* - *ატმანის* ნათების არეკვლის წყალობით. მზე სამყაროს ანათებს და ენერგიას გადასცემს. ასევე *ატმანიც* თავისი სხივებით სამყაროს ააქტიურებს და ანათებს. შეცნობის ყველა ინსტრუმენტი *ატმანის* წყალობით ხდება აქტიური. ელექტრული ენერგიის ნაკადს მოქმედებაში მოჰყავს მანქანები და სხვადასხვა ოპერაციას ასრულებს – ბეჭდვას და ა.შ., ხოლო თვითონ დენი კი უხილავი და შეუხებელი რჩება. ელექტრული ენერგია არის მოძრაობის ძრავი, მანქანის **მანქანა**. ამის მსგავსად *ატმური* სხივები (*ტაჯახი*) არის ყურის **ყური**, თვალის **თვალი**. ეს არის გამააქტივებელი ნაკადი.

მაგრამ აი რა არის საკვირველი: *ატმანი* არააქტიური და ყოველგვარ ნიშნებს მოკლებულია. მას არაფერი ესაქმება *მანასთან* და გრძნობათა ორგანოებთან. აქტიურობას მათ *ატმანის* მხოლოდ თანდასწრება აძლევს! მზის სხივებმა არ იციან, რა მოქმედებას იწვევენ ისინი. *ატმანიც* არ არის პასუხისმგებელი გრძნობათა ორგანოების აქტიურობაზე. ამას ასწავლიდა ვარუნა თავის ვაჟს, ბჰრიგუს.

ატმანის სხივმოსილი ბრწყინვალეობით განათებულ თვალს უნარი აქვს ფორმა აღბეჭდოს – ეს მისი სფეროა, მაგრამ იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ შესძლებს *ატმანი* გაანათოს, რომელიც თავის თავს თვითონ ანათებს. ღამპა საგნებს ანათებს, მაგრამ საგნებს არ შეუძლია ღამპა გაანათოს. *ვაჩს* უნარი აქვს ისეთი დამახასიათებელი განსაკუთრებულობები აღწეროს და აღნიშნოს, როგორიცაა სახელი, ფორმა, *გუნა*, *კრიია* და ა.შ. მაგრამ შეიძლება განსაზღვრება მიეცეს *პარამატმანს* – იმას, რასაც არავითარი განმასხვავებელი ნიშანი არა აქვს? სიტყვების დახმარებით თქვენ ვერ აღწერთ სიტკბოს ან მსგავსი გემოს შეგრძნებებს. ასევე *ატმანიც* არ ექვემდებარება აღწერას. გონების არმქონე *მანასს* არ შეუძლია გონება შეიცნოს. არ არსებობს ისეთი შემცნობი, ყოვლის მცოდნის შეცნობა რომ შეეძლოს. ეს

უკანასკნელი რომ შეცნობილი ყოფილიყო, იგი აღარ იქნებოდა ყოვლის მცოდნე, ანუ თვითონ **ცოდნა**.

ბრაჰმანი თვით ცოდნა ან სიბრძნეა (*ჯნიანა*), და, შესაბამისად, შეუძლებელია შემცნობის მიერ ოდესმე მისი შეცნობა. შეცნობის პროცესში შეიძლება შეცნობილ იქნას სხვა რამეები, მაგრამ არა თვითონ ცოდნა. ლამპამ რომ თავის თავი დაინახოს, ამისათვის სხვა ლამპის სინათლე არაა საჭირო, ისევე როგორც მას საკუთარი სინათლე არ ადევლებს. მას აქვს სინათლე, იგია სინათლე, და მორჩა. იგი სხვა საგნებს ჰფენს შუქს, და არა თავის თავს. ზუსტად ასევე თქვენ სინათლე ხართ, თქვენ *ატმანი* ხართ. *ატმანი* თქვენში იმავე ბუნებისაა, რა ბუნებისაც არის *ატმანი* ყველა ცოცხალ არსებაში. ეს არის ერთადერთი რეალობა, და მას არ გააჩნია არავითარი ზღვარი, არავითარი ნიშანი, არავითარი მახასიათებელი.

შასტრების ღრმად შესწავლა და მასში ჩადებულ მითითებებს მიყოლა *ატმანის* შეგნებაში დაეხმარება ადამიანს. ის, რისი აღწერაც შეუძლებელია სიტყვებით, მეტყველებით, გრძნობებით, და რაც თვითონ ანათებს სიტყვასაც, მეტყველებასაც, გრძნობებსაც, *ბრაჰმანია* სწორედ, ანუ *ატმანი*. ამ უპანიშადას პირველი *კანდა* ნათლად გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია *ბრაჰმანის* რაიმეთი შეზღუდვა, შეუძლებელია მასზე უარის თქმა, მისი უგულებელყოფა.

ვინც აცხადებს, რომ *ბრაჰმანი* უნახავს, მისთვის, მიუხედავად ამისა, *ბრაჰმანი* შემდგომი შესწავლისა და ჩაწვდომის საგანი უნდა გახდეს. მან აქ საბოლოო სტადიას ვე მიაღწია, რადგან მისი ცოდნა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ჭეშმარიტ *ჯნიანას*, იგი მხოლოდ ილუზიაა. *ატმანი* ადამიანისა, რომელიც ნამდვილ ცოდნას ფლობს, თვით *ბრაჰმანია*, ასეთია ვედანტას უდავო ჭეშმარიტება, ხომ ასეა? ცეცხლს არ შეუძლია თავისი თავი დაწვას, როგორ უნდა შეიცნოს *ატმანმა ატმანი*, როგორ უნდა შეიცნოს ცოდნამ ცოდნა? შესაბამისად, მტკიცება „*ბრაჰმანი* შევიცანი“ მხოლოდ ილუზორულზე მიუთითებს, და არა ჭეშმარიტ ცოდნაზე.

ამბობენ, რომ *ბრაჰმანი* რიგ გასაგებ და აღსარიცხავ ფორმებს შეიცავს, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ შეზღუდულ აღქმას, რომელიც სახელითა და ფორმით განისაზღვრება. თავის თავად აბსოლუტს არ გააჩნია არც ხმა, არც სუნი, არც გემო, არც

შეხებითი ან მხედველობითი ფორმა. იგი მარად არსებობს. მოღვაწეობის რა სახითაც არ უნდა იყოს დაკავებული, თუ **მისი** თანდასწრების შესახებ იცით, ნებისმიერი მოქმედება *ბრაჰმანის* ასპექტი იქნება. რა საკითხებიც არ უნდა იხილებოდეს და წყდებოდეს შასტრებში, ამ საკითხებიდან ნებისმიერი ამ კონკრეტულ შასტრასთვის *ბრაჰმანის* ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს. ცნობიერება (*ჩაიტანია*), რომელიც თავის თავს მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს, როცა იგი გარკვეული ჩარჩოებით ან საცავებითაა შეზღუდული, - ეს ცნობიერებაა *ბრაჰმანი*. *ჩაიტანია* არაფერზეა მიმაგრებული, არაფერთანაა დაკავსირებული. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეიქმნას, რომ იგი, ფიზიკურ სხეულთან შეერთებული, რაღაცით არის შეკრული. როდესაც ტბის ზედაპირი აღელვებულია, მზის ანარეკლიც წყალში კანკალებს და ირხევა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ცაზე მდებარე მზეც კანკალებს! მზე და წყლის ზედაპირი ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. მათ საერთო არაფერი აქვს. როდესაც სხეული ზრდის, ჭკნობის, მოშლის და ა.შ. პროცესში იმყოფება, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველ ამ სტადიას *ატმანიც* გადის. მაგრამ *ატმანი* არაფერზე არ რეაგირებს. *ბრაჰმანი* ინტელექტუალური მაძიებლის მიწვდომის ზღვრებს იქით იმყოფება. მას შეიძლება მხოლოდ ის მიუახლოვდეს, ვინც ინტელექტი გადააგდო როგორც უსარგებლო იარაღი. სულიერი გამოცდილება წარმოადგენს ერთადერთ მეთოდს, რომელიც ამ მიახლოებას უწყობს ხელს, მტკიცებულებებს წარადგენს და შედეგებს იძლევა. საბოლოო სტადია, *ბრაჰმაჯნიანა*, არის ყოველგვარი კვლევის, ყოველგვარი ძიების შეწყვეტა. სწორედ მაშინ ხორციელდება ჭეშმარიტი რეალიზაცია (*საქშატკარა*). უმაღლესი სტადია მიიღწევა *სამადჰიში*, როდესაც ცნობიერების ყველა დონეზე აღგზნება ჩაქრება, თუმცა, ცხადია, წინასწარი საფეხურები, ისეთები, როგორიცაა *შრავეანა*, *მანანა* და *ნიდიდჰიასანა* დკავშირებულია ინტელექტთან (*ბუდჰისტთან*). თქვენ *სატიასვარუპას* დაეუფლებით, თუ *ატმანის* ბუნებას გაიგებთ, და თუ ამას ვერ შეძლებთ, მაშინ, ეჭვგარეშეა, დიდი კარგვები გელით. *ჯნიანი* ყოველ ცოცხალ არსებაში და ყოველ საგანში ყველგან მსუფვეი *ატმანის* არსებობას იცნობს, და როცა იგი ამ ქვეყანას ტოვებს, დაბადებისგანაც თავისუფლდება და სიკვდილისგანაც.

ბრაჰმაჯნიანა ადამიანის მემკვიდრეობაა. ადამიანს მასზე უფლება აქვს. თუ მან ამის შესახებ იცის, ძალისხმევას არ იშურებს და ზემოაღნიშნულ მეთოდებს იყენებს, უმაღლეს ცოდნას (*ბრაჰმაჯნიანას*) იძენს, მაშინ ამ ქვეყანაზე მისი ყოფნა ამო არ არის. და თუ ეს ასე არ ხდება, მისი ცხოვრება ფუჭად გადის. ცნობიერებაში წარმოქმნილი *ატმანი* იელვებს; ერთ წამში ვლინდება მისი ელვარება და სხივმოსილება; შეუძლებელია მის ძლიერებაში სრულად ჩაწვდომა. *მანასი* გარსია, *ატმანის* საფარველია, იგი თითქოს ზღუდავს *ატმანს* ან, უფრო სწორად, მოჩვენებითობას ქმნის, რომ ამას აკეთებს. ამიტომ გვეჩვენება, რომ გონება *ატმანთან* ძალიან ახლოსაა, შეიძლება ვიფიქროთ კიდევ, რომ აღწევს მას, მაგრამ სინამდვილეში ამის განხორციელების უნარი მას არ გააჩნია. იმის გამო, რომ *მანასი* ასე მჭიდროდ ეკვრის *ატმანს*, *სადჰაკა* წარმოიდგენს, რომ მისი გონება ჩასწვდა *ატმანს*, და ისევ და ისევ ისწრაფის ამ გამოცდილებისაკენ. ეს, ცხადია, კარგია, რადგან ხელსაყრელ პირობებს ქმნის *ბრაჰმანთან* შერწყმის გზების ძებნისათვის.

ბრაჰმაჯნიანისთვის არ არსებობს წინააღმდეგობა *დჰარმას* და *ადჰარმას* შორის, ღირსეულსა და უღირსს შორის. მართლქმედითი ცხოვრება სიკვდილის შემდეგ მაღალ *ლოკას* სთავაზობს, არამართლქმედით ცხოვრებას კი უდაბლეს *ლოკაში* მიჰყავს ადამიანი. მაგრამ ეს ორივე გზა დაბრკოლებათ *სადჰაკასთვის*, რომელიც შეცნობისკენ ისწრაფის, რომლის ხედვაც მიმართულია იმისკენ, რომ უმეცრება გაიფანტოს და ჭეშმარიტების რეალიზაცია მოხდეს. იგი უნდა ცდილობდეს დაამსხვრიოს ბორკილები, რომლებიც მის გულს ობიექტურ სამყაროსთან აბამს. და ამიტომ მას სურს პასუხი გასცეს კითხვას, რითაც ეს უპანიშადა იწყება: ვისი დახმარებით მოიცავს გონება საგნებს და ა.შ.? *ბრაჰმანის* ცოდნის მიღწევის გზაზე კარგ დამხმარეებს წარმოადგენენ *ტაპასი*, თვითდისციპლინა, ვედური რიტუალები, ღვთაებრივი ხატების თაყვანისცემა. *ჯნიანის* ადგილსამყოფელს *სატი*ა წარმოადგენს. ეს უპანიშადა იძლევა ყოველივე იმას, რაც ღვთაებრივი ცოდნის გზების მაძიებელს სჭირდება. იგი მიძღვნილია *ბრაჰმანს*, რომელიც არის ჭეშმარიტება, სიბრძნე და უსასრულოება (*სატიამ, ჯნიანამ, ანანტამ*).

თავი 9 ჩჰანდოგია-უპანიშადა

ეს ატმანი ჩემს გულში ბრინჯის მარცვალზე,
ქერის მარცვალზე, მდოგვის თესლზე,
ფეტვის მარცვალზე, ფეტვის მარცვლის
გულზე უფრო მცირეა.
ეს ჩემი ატმანი ჩემს გულში დედამიწაზე
უფრო დიდია, სივრცეზე დიდია,
ზეცაზე დიდია, ყველა სამყაროზე დიდია.
ყოვლის აღმსრულებელი, ყოვლის მსურველი,
ყოვლის მყნოსავი, ყოვლის დამგემოვნებელი,
ყოვლის მომცველი ეს სამყარო, სიტყვის გარეშე,
საზრუნავის გარეშე, ეს ჩემი ატმანია ჩემს გულში,
ეს ბრაჰმანია. მასში შევალ მე ამ ქვეყნიდან წასვლისას.
ვისაც ეს სჯერა, მისთვის ეჭვი აღარ რჩება.

ჩჰანდოგია-უპანიშადა. ||, 14, 3-4

ეს უპანიშადა სამავედასთან არის მიერთებული. მასში 8 განყოფილებაა, პირველი ხუთი განყოფილება იდეალთან (*უპასანებთან*) მიახლოების სხვადასხვა გზებსაა მიძღვნილი, ბოლო სამი კი იმ ხერხს ხსნის, რომლის დახმარებითაც ჭეშმარიტი ცოდნა შეიძინება. ცნობიერების სიწმინდე უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს *უპასანასთვის*¹. *ბრაჰმანის* შეცნობისათვის აუცილებელია უკიდურესი მიზანსწრაფვა, რომლის მიღწევაც *კარმისა* და *უპასანას* საშუალებით შეიძლება, ასეთი სახით შეიძინება *ბრაჰმაჯნიანა*. აი *შასტრებში* რატომაა აღწრილი *კარმა* პირველი, *უპასანა* – შემდეგი, *ჯნიანა* კი – ბოლო.

ჩჰანდოგიას პირველ თავში დაწვრილებითაა გარჩეული *უპასანა*, რომელიც სამავედას ნაწილს შეადგენს. მეორე თავში აღწერილია *სამანების* სრული რიტუალი, მესამეში

¹ *უპასანა* – სულიერი პრაქტიკა, რომელიც ღვთაებრივი ფორმების თაყვანისცემითა და პატივისცემით გამოიხატება; ცხოვრების სახე, სადაც ყოველი მოქმედება, სასიცოცხლო ციკლის მოვლენა, მთელი ყოველდღიურობა თაყვანისცემისა და ღვთისმოსაობის სულისკვეთებით იწმინდება.

წარმოდგენილია უპასანა (თაყვანისცემა) სურიას, ცნობილი როგორც მადჰუვიდია, გაიატრი უპასანა და სანდილია ვიდია. მეოთხე თავში შეისწავლება სამვარგა ვიდია¹ და ბრაჰმავიდია, რომელიც 16 საფეხურისაგან შედგება; მეხუთეში ზედმიწევნით განიხილება ვიდიას სამი სახე – პრანა, პანჩაგნი და ვიშვანარა.

უდალაკა თავის გაუს, შვეტაკეტუს, იმ სიბრძნეს ასწავლიდა, რომლის ჩაწვდომაც ყველაფრის ცოდნას იძლევა. თუ თიხასა და ოქროზე გვაქვს წარმოდგენა, მაშინ ყველა ქოთანსა და ქილაზე, სამაჯურსა და ყელსაბამზეც გვექნება წარმოდგენა. თიხა და ოქრო მოუშლელი ჭეშმარიტებაა, და მათი ყველა მოდიფიკაცია და გარდაქმნა დროებითია, ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმები და სახელებია. ასევე სამყაროც – როგორც ქოთანი ან სამაჯური – მხოლოდ შედგება, მიზეზი კი არის სატ. „სატ“ („is-ness“ - „უმაღლესო ყოფიერება“, „სუფთა ყოფიერება“) ნიშნავს „უმაღლეს ყოფიერებას, რომელიც ყველაფრისთვისაა დამახასიათებელი“. ქოთანი „არის“ („is“), სამაჯური „არის“ („is“). „სუფთა ყოფიერება“ თავის თავს ქოთნებთან და ქილებთან, სამაჯურებთან და ყელსაბამებთან კავშირის მეშვეობით ამჟღავნებს. თვითონ „უმაღლესი ყოფიერება“ არ შეიძლება უხეში განხილვის საშუალებით იქნას გამოვლენილი; მისი შეგნებისათვის საჭიროა აღქმის განსაკუთრებული სიფაქიზე. ვარდისფერი, რომელიც თავის თავს ვარდში ამჟღავნებს, „არის“ („is“) და ყვავილის არარსებობის დროსაც კი არსებობს.

ასეთივე სახით, ეს „უმაღლესი ყოფიერება“, რომელიც ყველაფრის უნივერსალურ მახასიათებელს წარმოადგენს, საგანთა არარსებობის დროსაც კი განაგრძობს არსებობას. სწორედ ის - „სუფთა ყოფიერება“ - არსებობდა სამყაროს შექმნამდე. ეს არ იყო „არაფერი“, სიცარიელე, რადგან ყველგან იყო „სუფთა ყოფიერება“. როდესაც ეს ყოფიერება მაიაში ან პირველქმნილ ენერგიაში აისახა, ამ აქტის შედეგი იყო იშვარას წარმოქმნა, რომელიც მაიას ენერგიის დახმარებით გამჟღავნდა როგორც სამყარო მისი სამი ელემენტით – ცეცხლით, მიწით და ქარით. მთელი ქმნილება მხოლოდ ამ სამი ელემენტის გარდაქმნაა.

¹ სამვარგა-ვიდია უპანიშადაში გადმოცემულია ბრძენ რაიკვას მიერ. სამვარგა – შთანთქმა, საყოველთაო შთანთქმა: „ჭეშმარიტად სუნთქვა შთანთქმის ყოველივე ამას“.

უდალაკას მოდგმის წევრები მუდამ ვედების სწავლებაში იყვნენ ჩაფლულნი, და ამიტომ გაითქვეს მათ სახელი როგორც უმაღლესი მოდგმის ოჯახმა. მაგრამ შვეტაკეტუ, უდალაკას ვაჟი, ძვირფას წლებს კარგავდა *უპანაიანების* შემდეგ უსაქმურობაში, როდესაც არ იყენებდა მათ ვედურ სწავლებებში. ამან უდალაკას მწუხარება გამოიწვია, რადგან ის, ვინც *ბრაჰმანად* არის დაბადებული და ვედების სწავლებაზე ამბობს უარს, არ იმსახურებს ამ წოდებას და შეიძლება იწოდებოდეს მხოლოდ *ბრაჰმანა-ბანდჰუდ*, ანუ იმად, ვისაც *ბრაჰმანები* ჰყავს ნათესავეები! უდალაკამ აიძულა თავისი ვაჟი გონს მოსულიყო და მასწავლებელთან გააგზავნა. შვეტაკეტუმ სწავლებაში 24 წელი დაჰყო, და ინტელექტის ვარჯშის შემდეგ ოთხი ვედის ცოდნას დაეუფლა. ამის შემდეგ სახლში დაბრუნდა, ამაყი, გაფხორილი, თავაწეული, ეგოიზმით სავსე და განაცხადა, რომ მას სწავლულობასა და მართლქმედებაში ბადალი არ ჰყავს. უდალაკამ, სურდა რა რომ მისი სიამაყე მოესპო, ერთხელ ჰკითხა: „შენ ქედმაღალი გახდი, რადგან თვლი, რომ სწავლებაში და ზნეობაში შენზე უფრო მეტად წარმატებისთვის არავის მიუღწევია. მაგრამ მითხარი, ეძებდი თუ არა შენს მასწავლებელთან ჭეშმარიტ ცოდნას, რომელიც აბსოლუტს ხსნის, მიხვდი თუ არა, რომ მხოლოდ პრაქტიკაში დანერგილ *შასტრებს* შეუძლია მიგიყვანოს ჭეშმარიტებასთან, რომელიც, მისი შეგნების შემთხვევაში, შესაძლებლობას გაძლევს ყველაფერს ჩასწვდე, რაც კი ხელმისაწვდომია? შეისწავლე ეს თუ არა? ეს ცოდნა შენ გაგიხსნიდა *ატმანს* – ყოველგვარი სწავლების საბოლოო მიზანს“.

ატმანი ყველა ინდივიდუალობის საყრდენია, შვეტაკეტუს მაგვარისა. ინდივიდუალობათა სხვადასხვაობა სუფთა ცნობიერების შეზღუდულობის მოჩვენებითობას ქმნის. ღრმა ძილში ეს სხვადასხვაობა ქრება, და ყოველი ინდივიდუუმი კვლავ ამ „სუფთა ყოფიერებაში“ იძირება. და მაშინ ქრება ყველა ინდივიდუალობისა და გამოცდილების მრავალფეროვნება, რომლებიც, მაგალითად, ისეთ განსაზღვრებებში გამოიხატება, როგორიცაა „მე რანგა ვარ“, „მე განგა ვარ“, „მე მამა ვარ“, „მე შვილი ვარ“ და ა. შ. უამრავ ყვავილთა სიტყბო და არომატი თავლის ერთიან სიტყბოში იყრის თავს, რომელშიაც ყველა განსხვავება და სიტყველუ გაზავდა. მდინარეები განგა, კრიშნა,

ინდ სახელებს მაშინ კარგავენ, როცა ზღვას ერწყმიან. ახლა მათ ყველას ჰქვია „ზღვა“.

ინდივიდუალური სული, *ჯივა*, რომელიც მარადიული და უკვდავია, კვლავ და კვლავ იბადება როგორც წარმავალი მოკვდავი. იგი აგრძელებს აქტიობის დაგროვებას, რომელიც წარსულ ცხოვრებათა იმპულსებითაა გამოწვეული, და ამ აქტიობას მოაქვს შედეგები, რომლებიც *ჯივიმ* (განსხეულებულმა) მხრებზე უნდა შეიწყოს და რომლებიც მას ტანჯვებს მოუტანს. იშლება და კვდება სხეული, და არა *ჯივა*. ლედვის თესლი, ფეხითაც რომ გათელონ, მაინც მოგვცემს ნაზარდს. წყალში გახსნილ მარილს ხელში ვერ დაიჭერ, გემოთი კი იცნობ!

უმეცრებით დაბინდულ ინდივიდუალურ სულს არ შეუძლია თავისი რეალობა შეიცნოს. მაგრამ განსხვავების უნარს ახლოს მოაქვს ჭეშმარიტება. მოტაცებული და ჯუნგლებში მიგდებული მილიონერი ბოლოს მაინც პოულობს გზას და სახლში ბრუნდება. ასევე *ჯივიც* კვლავ იძენს განძეულობას. მოვა დრო, და თავის ჭეშმარიტ მდგომარეობას მიაღწევს *ჯივი*, ცვლილებებისა და შემთხვევითობებისაგან თავისუფალი, რომლებიც *სამსარაში*, დროისა და სივრცის, ფორმებისა და სახელების ნაკადში იტაცებენ მას. და თუ ამ სტატუსს არ მიაღწევს, მაშინ, დაიბადება თუ არა, კვლავ დაღუპვისა და სიკვდილის სამყაროში შევა, იმის მსგავსად, ღრმა, ტკბილი ძილიდან გამოსვლის შემდეგ ადამიანი როგორ ხვდება მღელვარებებითა და გაწამაწიებით სავსე დღეში.

ბრაჰმანი ხასიათდება როგორც *ეკამევა-ადვიტიამ* – ერთიანი და სხვა არაფერი; მთელი ხილული სამყარო წარმოადგენს *ტატ-სვარუპას*, *ბრაჰმანის* ფორმას; ამის გააზრება შეიძლება *სავუნა-უპასანას* (კონკრეტული, გარკვეული ღვთაებრივი ფორმის თაყვანისცემის) დახმარებით, იმის მსგავსად, როგორც ამას სატიაკამა¹ და სხვა მასწავლებლები აკეთებდნენ. *ბრაჰმა-უპასანას* გზას ასევე უწოდებენ *სუშუმრა მარგას*². ყველგან მსუფვეი *ბრაჰმანი* გულის ცის თაღში შეიძლება იყოს მოთავსებული და აღმოჩენილი! გულში მისი სამეფო ტახტია. რამდენადაც ის იქ

¹ სატიაკამა – თქმულება სატიაკამაზე, ჭეშმარიტების მაძიებელზე, იმყოფება უპანიშადას მე-4 ნაწილში.

² იგულისხმება *კრიია* ანუ *კუნდალინი-იოგა* (*ჩაკრების* გახსნის რთული ტექნიკა; ეს *ჩაკრები* განლაგებულია ცენტრალური ენერგეტიკული არხის – *სუშუმნას* – გასწვრივ; აგრეთვე ღვთაებრივი ენერგიის კუნდალინის აწევის ტექნიკა).

იმყოფება, გულს ჰქვია *ბრაჰმვეშმა*, ანუ *ბრაჰმანის* სახლი. ამ თაღს, ცხადია, არ შეუძლია უსაზღვრო *ბრაჰმანი* შეზღუდოს ან ზღვარი დაუდოს მას!

იოგებს, რომლებმაც მატერიალურ სამყაროს ზურგი აქციეს, შეუძლიათ *პარაბრაჰმანს* მიაღწიონ ჭეშმარიტი ცოდნის მთელ სიღიადეში, თავიანთ გულთა სუფთა და უღრუბლო ცაში. სამყაროები, როგორც მანები ბორბალში, *ბრაჰმანის* ცენტრიდან გამოდიან. დაცემა, ჩაქრობა და სიკვდილი მასზე არ ბატონობს. როგორც უმაღლეს არსს მას შეუძლია ყველაფერს მიაღწიოს, რასაც კი მოისურვებს, და ამიტომ მას უწოდებენ *სატიაკამას* და *სატიასანკალპას*. და მაინც, რას წარმოადგენს *პარაბრაჰმანი*? ამის გაგება ერთადერთი ტესტის დახმარებით შეგვიძლია. ის, რაც უარყოფის ხანგრძლივი პროცესის („ეს არა“, „ეს არა“) ბოლოს რჩება, *ბრაჰმანია*.

სწორედ ამ ჭეშმარიტებას ეძებს ყველა სულიერი მაძიებელი. მისი დაუფლების შემდეგ ისინი ძლიერები ხდებიან, როგორც მეფეები და საითაც უნდათ იქითკენ შეუძლიათ ისწრაფონ. სუფთა რეალობაში გამყარებული *ჯნიანი* მის გულში გამოღვიძებულ ყველა სურვილს იხილავს როგორც მხოლოდ ამ ჭეშმარიტების გამოსახვას.

ატმანი ყველა სამყაროს გამსჭვალავს და აღემატება. იგი განადგურებას არ ექვემდებარება. ის, ვინც მხოლოდ *ატმანი* იცის, მუდამ კურთხეულია. *ბრაჰმაჩარიას* სტადია მნიშვნელოვანი ნაბიჯია *ატმური* სიბრძნის მიღწევაში. მსხვერპლის შეწირვის რიტუალები, მარხვები და აღთქმის დაცვაც ეხმარება ამას. მზის ენერგია სხეულის უთვალავ ნერვში მიედინება; სიკვდილის მომენტში გრძნობები გონების მიერ შთაინთქმება. *ჯივა*, რომელიც აცნობიერებს, რომ ეს ყველაფერი ასეა, ჯერ კიდევ გონების ჩარჩოებში მყოფი, თავშესაფარს ეძებს და ნერვული არხების მეშვეობით ისწრაფის *პრიდაიაკაშაში*, სულიერი გულის სივრცეში. როდესაც სიკვდილი მოდის, *ჯივა სუშუმნას* მეშვეობით ხვდება მზის სხივებში და აქედან – თვით *სურიალოკაში*. მაგრამ მისი გზა ამით არ მთავრდება. ეს გზა *ბრაჰმალოკამდე* გრძელდება.

თუმცა *ჯივა*, რომელიც უმეცრების (*აჯნიანას*) ჭაობშია ჩათრეული და თავის თავს გონებასთან და მის კაპრიზებთან აიგივებს, სხეულიდან გადის ყურის, ან თვალის, ან გრძნობათა

სხვა ორგანოს მეშვეობით და ხვდება *ლოკაში*, სადაც *კარმა* მეფობს. კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობები, რომლებიც ღრმა ძილში შეიგრძნობა, *აჯნიანას* მოქმედების შედეგია, რომელიც ინდივიდუუმზე ბატონობას აგრძელებს.

*ჩიტა*¹ ყველა გადაწყვეტილების წყარო და საყრდენია. ყველა გადაწყვეტილება, ვადებულება და გეგმა *ჩიტას* პროდუქტია; ისინი *ჩიტას* ფორმაა, ისინი აქ იბადებიან, ისინი აქვე მყარდებიან. ამიტომ, როდესაც სიკვდილი მოდის სწავლულთან, რომელმაც *მანტრები* კეთილსინდისიერად შეისწავლა, იგი ხდება ჩვეულებრივი მოკვდავის ტოლი, მისი ბედი კი – უმეცარი ადამიანის, *აჯნიანის* ბედისგან განუსხვავებელი. *ჩიტა ბრაჰმანისაკენ* სწრაფვით უნდა იყოს გაჯერებული. *სანკალპას* ბორკილებისგან თავისუფალი, მხოლოდ მაშინ იქცევა იგი გათავისუფლების იარაღად. გონებას და ყოველივე იმას, რაც მისი თანამგზავრია, არ შეუძლია თავისი თავი თვითონ გაათავისუფლოს, როგორც ეს *ჩიტას* შეუძლია. *ჩიტა* გადაწყვეტილებებს შორის არჩევანს აკეთებს, ანაწილებს მათ საჭიროდ და არასაჭიროდ, ამის შემდეგ კი ამ კლასიფიკაციას საჭირო სახით ამყარებს. როდესაც არჩევანი გაკეთებულია, სიტყვა ამცნობს მის შესახებ, სახელი კი მას მნიშვნელოვნობას ანიჭებს. სპეციალური ბგერითი ფორმულები (*მანტრები*) საბოლოოდ ამტკიცებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გაწმენდილ *ჩიტას* მიერაა მიღებული როგორც აუცილებელი; წეს-ჩვეულებები *მანტრებს* ერწყმის. *ჩიტას* გარეშე საჭირო *კარმა* ვერ იქნება.

ახლა *დჰიანას* (მედიტაციის) შესახებ, რომელიც *ჩიტაზე* მაღლა დგას. *დჰიანა ბუდჰის* კონცენტრაციაა ღვთაებრივზე, როცა იგი ისეთ დაბალ დამხმარე საფეხურებს გასცდება, როგორიცაა ღმერთების გამოსახულებები, ხატები და ქანდაკებები. *ტამაგუნას* (და *რაჯაგუნასიც* კი) ძალის ზემოქმედების შედეგად ყოველივე ის, რაც შექმნილია: წყლები, ბორცვები და მთები, ვარსკვლავები და პლანეტები, თავის თავში ღვთაებრივის მატარებელი ადამიანები, - ეს ყველაფერი არამდგრადია და ცვლილებებსა და რხევებს ექვემდებარება.

¹ გონების სუბსტანცია, შეცნობის ინსტრუმენტი, *ჩიტა* გონი, ცნობიერების საფუძველი, მესიერება, ქვეცნობიერება და ა.შ.

დჰიანაში ყველა მღელვარება წყდება, ყველა სახეცვლილება შეუმჩნეველი ხდება.

ვიჯნიანა¹ უკეთესია, ვიდრე დჰიანა. შასტრებში ღრმა ჩაწვდომაზე დაფუძნებული ჯნიანა სწორედ ვიჯნიანა. იგი დჰიანას დახმარებით მიიღწევა, ამიტომაც აქვს მას დიდი ღირებულება.

ვიჯნიანაზე მაღლა დგას ბალა - ძალა, მდგრადობა, სიმძლავრე. ბალა მატერიალურ სამყაროს აშუქებს, იგი ინტუიციას (პრატიბჰას) ამახვილებს. ინტუიცია ძალაა, რის დახმარებითაც თქვენ შეგიძლიათ ცნობიერი საწყისი აღიქვით შეცნების ყველა ობიექტში. მაგრამ არის ის რაღაც, რაც ინტუიციას აღემატება, სახელდობრ ანა – საკვები, არსებობის საშუალება. იგი სიცოცხლის შენარჩუნებას უზრუნველყოფს; ათი დღის განმავლობაში მის გარეშე დარჩენილი ადამიანი იმდენად უძლური ხდება, რომ უკვე არაფრის მიღწევა აღარ შეუძლია. სწორედ სხეულის სიცოცხლე აძლევს ადამიანს შესაძლებლობას ისწავლოს, მასწავლებელთან იაროს, მის საუბრებს უსმინოს, იმაზე იფიქროს, რასაც ის ასწავლიდა, და დაიმსახუროს ტეჯასი (გონების განათება).

ტეჯასი, გონების განათება, უფრო მაღლა დგას, ვიდრე ინტუიცია და საკვები. ეს ცეცხლი და შუქია. ტეჯასი წყალს ქმნის, წყალი საკვებს აწარმოებს. ტეჯასით ჰაერიც კი ბრწყინდება. იგი ელვარებს და ქუხს.

აკაშა (ეთერი) ტეჯასზე მაღლაა, გახსოვდეთ ეს! მისი წყალობით ბგერები გადაიცემა და სმენადი ხდება. სიყვარული და თამაში მისი წარმოებულებია. მისი დახმარებით თესლები აღმოცენდება.

გაითვალისწინეთ ახლა, რომ სმარანა, მეხსიერება, აკაშაზე მაღლაა. მის გარეშე ნებისმიერი გამოცდილება უაზროა, ნებისმიერი ცოდნა ამაოა, ნებისმიერი ძალისხმევა უსარგებლოა. მისი დახმარების გარეშე არაფერი შეიცნობა. თუ იგი არ არის, მაშინ აკაშას მაგვარი ელემენტები არ შეიძლება გაგებულ იქნას. შეიძლება ითქვას, რომ მეხსიერება ქმნის აკაშას და სხვა ობიექტებს.

¹ ვიჯნიანა - „პრაქტიკული სიბრძნე“, შეგნებული ცოდნის შესატყვისი ცხოვრება, მთლიანი ცოდნა.

ანალიზებს რა ამგვარად საგნებისა და ძალების ღირებულებას და შედარებით მნიშვნელობას, ადამიანმა აღარ უნდა გააიგივოს თავისი „მე“ ფიზიკურ სხეულთან; მან თავისი ნამდვილი რეალობა უნდა გააცნობიეროს. ასეთი ადამიანი ადის *უტამაპურუშას* სიმაღლემდე, ადამიანთა შორის უმაღლესისა, რომელიც იცინის, თამაშობს, მოძრაობს, და ყურადრებას არ აქცევს ხელსაყრელ პირობებსა და სხეულის მოთხოვნილებებს. თავის სხეულზე მიბმული ადამიანი *სამსარას* მარწუხებში იმყოფება, ხოლო ვინც მისი ბატონობისგან თავისუფალია, მისთვის მოქმედების არეს წარმოადგენს *სვასვარუპა*. ქარს, ელვას და ქუხილს მუდმივი ცხოვრება არ გააჩნიათ; ისინი ცაში ჩნდება და ცის მიერ შთაინთქმება, როცა წვიმების სეზონი დგება. ასევე ცალკეული *ჯივაც* რაღაც დროით ჩნდება – თითქოსდა დამოუკიდებელი – *ბრაჰმანის* ფონზე, მაგრამ საბოლოოდ მის მიერ შთაინთქმება.

აშტადჰიაიე (მერვე განყოფილება) უპანიშადა მოიცავს სწავლებას რიგი არსებების ევოლუციის პროცესების შესახებ, დაწყებული *ჰირანიაგარბჰადან* *კაშიაპა-პრაჯაპატი*თ, *მანუთი* და *მანუშიათი* (ადამიანით) დამთავრებული. ამ დიადი გენეალოგიისა და მისი მუდმივი დიდების ცოდნა კაცობრიობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მას უნდა გადასცემდეს მასწავლებელი მოსწავლეს, მამა შვილს.

თავი 10 აიტარეია-უპანიშადა

ჭეშმარიტად, *ატმანი* იყო ეს,
დასაწყისში ერთადერთი.
სხვა არაფერი იყო,
რომ ეციმციმა. იგი ფიქრობდა:
„შევექმნი მე ახლა სამყაროებს“.

აიტარეია-უპანიშადა, |, 1

ეს უპანიშადა რიგვედას შემადგენლობაშია. ძვირფას თვლებივით ბრწყინავს მისი ექვსი თავი, სადაც აბსოლუტური *ატმური* საწყისია აღწერილი. ამიტომ იგი ცნობილია როგორც

ატმა-შატაკა, ანუ ატმური ექსიანი. ატმანის ხედვა, რომელიც ილუზიისა და არცოდნის მოსპობის შედეგად მოდის, სწორედ ამ უპანიშადას წყალობით ხდება შესაძლებელი სულიერი მაძიებლისთვის. მის დასახელებას ორი აზრი აქვს: *ვიაეაჰარა*¹ და *ვიშიშტა*. *ვიაეაჰარას* აზრში ნახმარი, იგი მიუთითებს ჯივიზე, ყოველ ჯივიში ატმანი თავის თავს გარე სამყაროში ავლენს აღქმის ორგანოების, ანუ *ჯნიანა-ინდრიების* დახმარებით. თვით სიტყვა „ატმანი“ წარმოიქმნება ძირისგან „ატ“, რომელიც, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გავრცობის, შთანთქმის, მოძრაობის შესახებ მოწმობს. შესაბამისად, სიტყვა ატმანი ნიშნავს საყოველთაო იმანენტობას, საყოველთაო შთანთქმას და მუდმივ მოძრაობას. და სწორედ ეს არის *ბრაჰმანი*.

მღვიძარობის მდგომარეობაში ატმანი ყველა ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებას აღიქვამს; სიზმრების სტადიაში აღქმისა და მოქმედების ორგანოთა აქტიურობა ჩახშობილია, მაგრამ ატმანი თავის საკუთარ ფორმებსა და სახელებს გამოცდილებისა და იმ შთაბეჭდილებების საფუძველზე ქმნის, რომლებიც გარე სამყაროდან მოდის; ღრმა ძილის სტადიაში ატმანი ყველაფრისთვის იმანენტური და ყოვლისმომცველი ხდება და თავის მთავარ როლს თამაშობს – სუფთა ნეტარებას, და ანგარიშს არ უწევს არაფერს, რაც კი შიგნით ან გარეთ იმყოფება. სამყაროს არსი შეესაბამება ადამიანის მდგომარეობებს ამ სამ სტადიაში. გარემოებების, სივრცისა და დროის ილუზორული ჩარჩოებით შეზღუდული ატმანი ასევე შეიძლება აღქმულ იქნას როგორც შეზღუდული და პირობებზე დამოკიდებული, მაგრამ ეს არ არის მისი ჭეშმარიტი ბუნება. მას არც ბოლო გააჩნია, არც საწყისი. იგი უცვლელია; მისთვის ყველაფერია ცნობილი. მას შეუძლია ყველაფერს მიაღწიოს; მას არ გააჩნია ნიშნები. იგი მარადიული, უბიწო, შეგნებული, თავისუფალია. მას ბადალი არ ჰყავს. იგი ერთადერთი, ერთიანი და განუყოფელია.

გარე სამყაროს შეგნება ხდება უშუალო შეგრძნებების გზით, ანუ ყოველივე ის, რაზეც შეიძლება მიეთითოს „ეს“, „ის“, აგრეთვე რაც ფორმით და დასახელებით განსხვავდება,

¹ *ვიაეაჰარა* – პრაქტიკული თანაფარდობა, კავშირი; საგნების ემპირიული ჭეშმარიტება, რომელსაც გრძნობათა ორგანოები შეიცნობენ; *ვიშიშტა(დვაიტა)* – ორობითობისაგან განსხვავებული.

მიეკუთვნება გაგებას „ქმნილება“, ანუ *ხრიშტი*. ქმნილება ნიშნავს აქტს და მის შედეგს; მაშ რა იყო ამ აქტამდე? „*იღამ აგრე, ატმა ევა ასიტ*“ - „მანამდე მხოლოდ *ატმანი* იყო“. სამყარო, ანუ *ჯაგატი*, ეს რაღაც პროდუქტია, რომელიც დასაწყისში ფარულ მდგომარეობაში იყო, მოგვიანებით კი ცხადი გახდა. ფარულ მდგომარეობაში ყოფნისას იგი არ აჩენდა თავს *ატმანში*. ხოლო როდესაც სიმრავლის განზრახვა დაიბადა, მაშინ მრავალი სახელი გაჩნდა, და მთელი ეს მრავალფეროვნება გარჩევადი გახდა. ამგვარად, გამჟღავნებული სამყაროს კრიტერიუმი გრძნობათა ორგანოებით მისი აღქმის უნარია.

სახელი ბგერაა, რომელიც სიტყვაშია გამჟღავნებული. როდესაც ფრაზაში „ეს რანგა“, წარმოითქმება ხმა „რანგა“, მისი შემსმენელი იმ ადამიანისკენ ბრუნდება, რომელზედაც მას მიუთითებს, და რანგას სახელთან აკეთებს მის იდენტიფიცირებას. სიტყვა და მისი მნიშვნელობა განუყოფელია. არც ერთი, არც მეორე არ არსებობდა ქმნილებამდე. ამიტომ *ატმანი* და არაგამჟღავნებული *ჯაგატი* მიუწვდენელია გონებისათვის, რომელიც სამყაროს ფორმებს ქმნის. ქმნილების აქტის შემდეგ, როცა სახელი და ფორმა ამ სამყაროს არსი გახდა, ყველაფრის განსაზღვრა შეიძლება სიტყვებისა და მათი მნიშვნელობების დახმარებით. ის არაორობითობა, რომელიც იყო, არის და იქნება, *ატმანია*. სიმრავლისა და მრავალფეროვნებების გამჟღავნება სახელებსა და ფორმებში *ჯაგატი*ა. მაგრამ ყველაფრის საფუძველში დევს მხოლოდ ერთიანი სუბსტანცია – *ვასტუ*.

ერთიანი ოკეანე ზოგჯერ წარმოგვიდგება როგორც ქაფი, როგორც მძაფრი დუღილი, როგორც დიდი ან პატარა ტალღა; ასევე ქმნილების აქტმაც წარმოაჩინა თავი უცვლელი ერთიანის ხილულ მრავალფეროვნებად. მრავალფეროვნება დაკავშირებულია *მიოპიასთან*, უმეცრებასთან. აუცილებლობას არ წარმოადგენს საფუძველში ჩავდოთ სხვა ყოფიერება, გარდა *ატმანისა*. უმეცრება (*მიოპია*), ანუ *მაია ატმანის* ნებითაა წარმოქმნილი. იგი *ატმანისგან* განუყოფელია. ძალა ძლიერი ადამიანისგან განუყოფელია, ხომ ასეა? *ატმანი* თავისუფალია განსხვავებებისაგან; იგი არ განსხვავდება იმისაგან, რაც მისი მაგვარია, იმისაგან, რაც მას „არ ჰგავს“, იგი თავისივე თავისგან არ განსხვავდება. იგი ნათლად და გადამწყვეტად ცხადდება როგორც *ევა ევა* – მხოლოდ ერთი.

თუმცა ერთიანის გაგება უცებ არ ხდება. ეს იდეა იმ თოკს ჰგავს, რომელსაც აღიქვამენ როგორც გველს, ანუ ცრუ მირაჟს. თვითონ *ატმანს* მივყავართ არასწორი გზით, და იგი სამყაროდ წარმოგვიდგება. ეს ყველაფერი მეფოკუსეს ტრიუკებია, რომელსაც აბსოლუტის ნება მართავს. თოკი ნამდვილი მიზეზია ილუზიისა, რომლის ძალითაც მას გველად აღვიქვამთ. *ატმანი* გრძნობებისთვის მიუწვდომელია; მას არ გააჩნია არც სხეული, არც მისი ნაწილები. მხოლოდ ერთ ახსნას, სახელდობრ, რომ ეს ყველაფერი არარეალური ილუზიაა, შეუძლია დააკმაყოფილოს კრიტიკოსი, რომელიც სვამს შეკითხვას: როგორ შეეძლო სამყაროს წარმოქმნილიყო *ატმანიდან*, რომელიც მხოლოდ სუფთა ცნობიერებაა?

ყველაფერი *ატმანია*, *მაიაც* კი, რომელიც მრავალფეროვნების ილუზიაა. იგი იმდენად ძლიერია, რომ ისეთი ინსტრუმენტების დახმარებით ახდენს მოქმედებებს, როგორიცაა სენსორული ორგანოები. თქვენ შეიძლება განაცხადოთ, რომ ეს თქვენი ნება და ძალა ახდენს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგრამ სინამდვილეში მას ახდენს ილუზიის ძალა, რომელიც *ატმანის* მიერაა წარმოშობილი.

ამგვარად შექმნილი სამყარო ცნობიერების გარეშეა და ამიტომ მას უნდა მოვეპყროთ როგორც *იანტრას* (დამხმარე საშუალებას, სიმბოლოს). ნუთუ შეუძლია მანქანას მისი დამზადებისა და დადგმის შემდეგ მექანიკოსისა და მემანქანის გარეშე იშუაოს? ღმერთმა *ვირატ-პურუშა* ხუთი ელემენტისგან შექმნა; მან იგი თავით და ნაწილებით აღჭურვა. როგორც მეთუნე ძერწავს თიხის ფიგურას მიწისგან, რომელიც მან ამოთხარა, ასევე ღმერთმაც შექმნა *ვირატ-პურუშა* ელემენტებისგან. *ლოკაპალები* (გრძნობათა ორგანოები) ამ პურუშას ნაწილებისგან იქმნებოდა, და ამის შემდეგ ყოველი მათგანი გამოყოფილ და შესაბამის ღვთაებას გადაცემულ იქნა. წინა მხარეს – სახე და პირი ღვთაებისა აგნი, მეტყველებაზე (*ვაჩ*) „პასუხილმგებლისა“, რომელიც (მეტყველება) არის პირის, ცხვირის და თვალების ფუნქცია; ასეთი სახით შეიქმნა გრძნობათა ორგანოები და მათზე პასუხისმგებელი ღვთაებები დაინიშნენ.

ეს ღვთაებები გრძნობებს წმენდენ, რომ ისინი სწორად ფუნქციონირებდნენ. თვალის, ცხვირის ან ყურის გარეგნობა შეიძლება სრულიად ნორმალური იყოს, მაგრამ

მაკონტროლირებელი ღვთაების დახმარების გარეშე ეს ორგანოები ვერ შეძლებდნენ მოქმედებას. ძროხა და ცხენი წყლებისგან იქნენ შექმნილნი და ღმერთებს შეეთავაზათ, მაგრამ ისინი უკმაყოფილონი დარჩნენ; ამიტომ მათი თხოვნის პასუხად შექმნილ იქნა *პურუშა ვირატ-პურუშას* ხატად და მსგავსად. და რამდენადაც ამ *პურუშას* ჰქონდა განსხვავების უნარი (*ვივეკა*), ღმერთები კმაყოფილები დარჩნენ. ყველა სხეული, გარდა ადამიანის სხეულისა, წარმოადგენს მხოლოდ ინსტრუმენტს მოქმედების შედეგების გამოყენებისათვის. ადამიანის სხეული ერთადერთი ინსტრუმენტია გათავისუფლებისათვის.

სხეულში დაბინავებული უფალი ის ძალა ხდება, რომელიც გრძნობებს და გონებას ობიექტურ სამყაროსთან აერთებს. როგორც მსახიობი, იგი გარე სამყაროსთან შედის კონტაქტში და წინა დაბადებების მთელ გამოცდილებას იყენებს. ღმერთის თანდასწრებით მოცეკვავე-ბუღჭი გრძნობების რიტმთან უნისონში ცეკვავს და ერთი ობიექტიდან მეორეზე ხტება.

მაშ ასე, უფალი *ჯივის* ფორმის მეშვეობით ანათებს ყველაფერს. *ჯივატმანის* ჩარჩოებში მყოფ *პარამატმანს* სამი გამოსასვლელი აქვს გარე სამყაროში: თვალები, ყელი და გული. თვალები განსაკუთრებული ელვარებით ბრწყინავს, როცა *ბრაჰმანის* რეალიზაცია მიიღწევა ან მაშინაც კი, როცა ამის მცდელობა ხდება. ეს აშკარა ფაქტია. როდესაც თავისი რეალობის ცოდნას მიაღწევს, *ჯივიმ* შეიძლება ვერ შეიძინოს უნარი გამოხატოს მისთვის გახსნილი ჭეშმარიტება: „*ატმანის* გარდა ყველაფერი არის არაფერი“; მაგრამ იგი იძენს ცოდნას, რომ ირგვლივ ყველაფერი მხოლოდ *ბრაჰმანის* ფორმებია. ის, ვინც ღრმად სწვდება იდეას *ჯივის* და *ბრაჰმანის* ერთიანობის შესახებ, უდავოდ ცხოვრების მიზანს იძენს; ამაში არავითარი ეჭვი არ არის.

მღვიძარობის, სიზმრებისა და ღრმა ძილის სტადიებს *ატმანთან* არავითარი კავშირი არა აქვს. ისინი მხოლოდ ფიზიკურ, სენსორულ მიზეზებთან და შედეგებთანაა დაკავშირებული. ყოველ ადამიანურ არსებას ორი სხეული აქვს: თავისი საკუთარი და გვარისეული. სწავლის, ცოდნის შეძენის, ღმერთის სახელის ხსენების ვალდებულებები და საკუთარ თავზე აღებული ამოცანები მამის სიკვდილის მომენტში მამიდან შვილს გადაეცემა. შვილი, გახდა რა მამის წარმომადგენელი და სცემს

რა პატივს მის ხსოვნას, ამ ვალდებულებებს კისრულობს. მამა ტოვებს თავის სხეულს და იძენს სხვა სხეულს, რაც უფრო მეტად შეესაბამება შესრულებულ მოქმედებებსა და ტენდენციებს, რომლებიც წინა ცხოვრებაში იქნა გამყარებული. და ეს მამის მესამე დაბადებაა. პირველი სამი *მანტრა* მხოლოდ ორ დაბადებაზე ამბობს, ფიზიკურზე და სულიერზე. მათ ახლა მესამეც ემატება – შვილის მიერ განგრძობილი.

ვამადევა *რიშიმ ატმა-სვარუპა* სწორედ ამ ფორმაში შეიგნო და ობიექტური სამყაროს მუდმივი ცვლილებებისგან თავისუფალი გახდა.

თავი 11 ტაიტირიია-უპანიშადა

ომ. ბრაჰმანის მცოდნე უმაღლესს
აღწევს.

ამის შესახებ ითქმება: „ვინც იცის
ბრაჰმანი როგორც ჭეშმარიტება, ცოდნა და
უსასრულო, როგორც გულის სამაღალეში
და უმაღლეს ზეცაში შეძენილი,
იგი ყველა სურვილის შესრულებას აღწევს
ყოვლისმხილველ *ბრაჰმანთან* ერთად“.

ტაიტირიია-უპანიშადა, ||, 1-1

ბრაჰმავედიია ამ უპანიშადას მთავარ თემას წარმოადგენს. მასში სამი ნაწილია: შიქშა-ვალი, ანანდა-ვალი, ანუ ბრაჰმა-ვალი, და ბჰრიგუ-ვალი. ბოლო ორი ძალიან მნიშვნელოვანია იმათთვის, ვინც ღვთაებრივ ცოდნისკენ ისწრაფის. შიქშა-ვალიში დაწვრილებით არის გადმოცემული ის მეთოდები, რომელთა დახმარებითაც ადამიანები თავის გზაზე გადალახავენ რიგ დაბრკოლებებს, რომლებსაც უქმნიან *დევეები* (ზეცაში მცხოვრებნი) და *რიშები* და გონებრივ ძალისხმევებში მიზანწრაფვას იძენენ. ეს ნაწილი 12 განყოფილებისაგან (*ანუვაკისაგან*) შედგება. ორ დანარჩენ ნაწილში მოცემულია *ვარუნი-ვიდიია* – მითითებები, რომლებიც გათავისუფლებისკენ მიმავალ გზას ხსნის, ამიტომ ორივე ნაწილი პრაქტიკულად ერთ

მოლიანს შეადგენს, და ისინი შესწავლისთვის მოხერხებული პირობებისთვის იქნა დაყოფილი.

შიქშა-ვალის კარმასთან დაკავშირებულ ისეთ გაგებებთან აქვს საქმე, როგორიცაა *სამჭიბა*¹ (კონცენტრაცია) და *კარმასთან* დაკავშირებული *უპასანა*. ორივეს *სვარაჯიასთან*² („თავისი თავის ბატონი“) მიჰყავთ ადამიანი. თუმცა მხოლოდ მათი დახმარებით *სამსარას* მოსპობა შეუძლებელია. *უპასანა* სურვილის გვერდით არსებობს, ამიტომ მასაც კი, როგორც *კარმას*, არ შეუძლია გათავისუფლებამდე მიიყვანოს ადამიანი. მთელი ეს ცხოვრების წრებრუნვა, ეს *სამსარა* დაკავშირებულია არცოდნასთან, რომლის შედეგსაც წარმოადგენს დამოკიდებულება, ბორკილები. მხოლოდ მაშინ, როცა არცოდნა ისპობა, ბორკილები სუსტდება და გათავისუფლება მიიღწევა. ბუნებრივი მიზეზების გამო არცოდნა ჯიუტად აგრძელებს არსებობას. ეს იმას ჰგავს, როგორ იქმნება ილუზია, თითქოს თქვენი მატარებელი მოძრაობს, თუმცა სინამდვილეში იგი დგას, ხოლო მოძრაობს მატარებელი პარალელურ ხაზზე. მხოლოდ თქვენს მატარებელს უყურეთ, და სინამდვილეს გაიგებთ; თუ სხვა მატარებელს დაუწყებთ ყურებას, მოტყუებულნი დარჩებით. უსარგებლოა ამ ილუზიის მიზეზების ძებნა, უმჯობესია დაფიქრდეთ - თავიდან როგორ მოიცდილოთ იგი. უმეცრება თესლია, რომლიდანაც *სამსარა* იზრდება და რომლის მოსპობაც მხოლოდ *ბრაჰმაჯნიანას* დახმარებით შეიძლება. სხვა ხერხი არ არსებობს.

ყოველივე ის, რასაც მიზეზი აქვს, რასაც შედეგებთან მიყვავართ, ხანმოკლეა; ამის შესახებ ნათლად ამბობენ *შასტრები*, ამას გვასწავლის გამოცდილება და საღი აზრი. *შასტრები* ჭეშმარიტების მაძიებლებზე მოგვითხრობენ, რომლებიც არ კმაყოფილდებოდნენ მაღალი ზეციური სფეროებით, სადაც ისინი ხვდებიან, ვინც მითითებულ წეს-ჩვეულებებს მკაცრად ასრულებდნენ; რადგან იმათ, ვინც ზეცაში იმყოფება, უნარი არა აქვთ გათავისუფლებას მიაღწიონ. ზეცა და ჯოჯოხეთი მოქმედებათა მიერ იქნა წარმოქმნილი, ისინი შეიქმნა, და ამიტომ შეუძლებელია მარადიული იყოს, ისინი დაბადების, ზრდის, ჭკნობისა და დაღუპვის პროცესებს ექვემდებარება. ისინი

¹ *სამჭიბა* - „ერთად თავმოყრილი, ნაკრები; აქ ფონეტიკა, ვედების მეტრიკული ტექსტების, ჰიმნებისა და *შასტრების* წარმოთქმის წესები.

² *სვარაჯია* - „თავისი თავის ბატონი“, თვითკონტროლის მდგომარეობა, გრძნობების აღაგმვა.

არ არსებობდა თავდაპირველად, ისინი შექმნილ იქნა: შექმნის აქტამდე ისინი საერთოდ არ არსებობდა. ყოველივე ის, რაც ოდესმე არ ყოფილა და შემდეგში არ იქნება, აწმყოშიც კი „არაფერია“. *კარმის* ნაყოფი ამ თვისებებს ყოფს, და ამიტომ მას არ შეუძლია მარადიული სიხარულის მოცემა.

არ არსებობს ძალა, ახლანდელ დროში *აკაშას* შექმნის უნარი რომ ჰქონებოდეს. იმისგან, რაც უკვე არსებობს, არაფერი ახლის წარმოქმნა არ შეიძლება. გათავისუფლება (*მოკშა*) არსებობს, და იგი თავისთავად ცხადია. მისი ხელახალი შექმნა არავითარ *კარმას* არ შეუძლია. როდესაც *აჯნიანა*, რომელიც ამ სიცხადეს ფარავს, ქრება, იმავე მომენტში თავისუფალნი ხდებით და საკუთარ რეალობას იგნებთ. თქვენ ბორკილებისგან თავისუფლდებით. ამ დრომდეც თავისუფალნი იყავით, მაგრამ თქვენ წარმოიდგენდით, რომ შებოჭილი ხართ, და ისე იქცეოდით, თითქოს ნამდვილად ბორკილები გედოთ. მაშ როგორ უნდა მოიცდილოთ ის აზრი, რომ შებოჭილი ხართ? ყურადღებით უნდა მოუსმინოთ ვედების სწავლებას და გწამდეთ იგი. მხოლოდ ამას შეუძლია უმეცრება ამოძირკვოს. სწორედ ასეთ ამოცანას ისახავს ბრაჰმა-ვალი ამ უპანიშადაში.

უმეცრება ადამიანებს მგზნებარე სურვილს აღუძრავს შესრულებული მოქმედებებისგან უხვი მოსავალი მიიღონ – და ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. ადამიანები შემდეგ სინანულით იგნებენ, რომ ეს მათ სულ უფრო და უფრო მეტად ბოჭავს და გათავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე არ ეხმარება. ამ შედეგთა წყურვილის გადალახვა ძნელია, თუმცა ჩამოყალიბებისა და მოშლის საშინელი ცვლა ადამიანებს აძრწუნებს.

ამ უპანიშადაში სამი სიტყვა – *სატიაშ, ჯნიანაშ, ანანტაშ* (ჭეშმარიტება, სიბრძნე, უსასრულობა) – განზრახ არის მიმაგრებული *ბრაჰმანზე* იმისათვის, რომ მისი „განმასხვავებელი თვისებები“ გამოვლინდეს. ეს ცალკეული სამი სიტყვა აღნიშნავს თვისებებს, რომლებიც არჩევს ერთს მეორისაგან, ერთიან *ბრაჰმანს* იმისაგან, რაც ასევე *ბრაჰმანად* იწოდება, მაგრამ ეს ნიშნები მას არ გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ *ბრაჰმანი* არ შეიძლება აგვერიოს რაიმეში, რაც არ წარმოადგენს *სატიაშ, ჯნიანაშ, ანანტაშს*. რა ფორმაც (*რუპა*) არ უნდა ჰქონდეს საგანს ან მოვლენას, თუ ეს ფორმა უცვლელია, იგი *სატიაშს* ეკუთვნის.

თუ ცვლილებებს განიცდის, მაშინ იგი *ახატია*ს წარმოადგენს. სახეცვლილება არასიმართლის ნიშანია; მოდიფიკაციის არარსებობა ჭეშმარიტების ნიშანია.

ბრაჰმანი არის *სატია*მ, ე.ი. ცვლილებებს არ ექვემდებარება. იგი არის *ნიტია*მ, რომელიც დროს არ ემორჩილება. ყოველივე ის, რაც *ბრაჰმანი* არ არის, *ჰაგატია*, ობიექტია, რომელიც ცვლილებას ექვემდებარება. ყველა ობიექტი ემორჩილება სამმაგ პროცესს, რომელიც ინტელექტში მიმდინარეობს: შესაცნობი, შემცნობი და თვითონ ცოდნა; შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ინტელექტი, ანუ *ბუდჰი* არის *გუჰა*, გამოქვაბული, სადაც ეს სამერთიანი პროცესი მიედინება.

ტაიტირიია-ბრაჰმანში, ისევე, როგორც ამ უპანიშადაში, გულდასმით შეისწავლება *კარმა*. მას სამი ფორმა აქვს: *კამია* (სურვილთან დაკავშირებული), *ნაიმიტიკა* (მიზეზობრივი) და *ნიტია* (უცვლელი). *შასტრები* იშვიათად ჩერდება იმაზე, რომ *კარმას* დაუღალავად უნდა თვალითვადი. ამის საჭიროება არ არსებობს, რადგან *კარმა* ბუნებრივად მოდის ადამიანთან. *კამა*, სურვილი, თითქოს კარნახის როლს ასრულებს *კარმისთვის*, და ადამიანი ამის წყალობით შედეგებს იღებს. *შასტრები* მხოლოდ იმ გზებზე მიუთითებენ, რომლებისკენაც ამ ბუნებრივი აქტიურობის მიმართვაა საჭირო, რომ სასურველი შედეგების მიღწევა იყოს შესაძლებელი.

ეს უპანიშადა მოგიწოდებთ უარი არ თქვათ ვალდებულებებზე ისწავლოთ და ასწავლოთ. „ნუ განუდგებით სამართლიან საქმეს და ჭეშმარიტებას“, - ამბობს იგი. „საჭირო არ არის უარყოთ არც სამართლიანი საქმეები, არც *დჰარმა*, არც კეთილმოწყობილობა, არც კეთილდღეობა, არც ვალი ღმერთებისა და მამების წინაშე. თაყვანი ეცით დედას როგორც ღმერთს. მხოლოდ ის საქმეები მოგიტანთ სიკეთეს, რომლებიც უმწიკვლოდ იქნა შესრულებული“, - აი რას ასწავლის უპანიშადა.

მოსმენა, ფიქრი და კონცენტრაცია სამი საფეხურია რეალიზაციისაკენ. მოსმენა ეხება ვედებს, რომლებიც მოწიწებით უნდა გწამდეთ და ზეპირად სწავლობდეთ, *გურუს* კვალდაკვალ უნდა იმეორებდეთ, ამით თქვენ შეუცნობადის ცოდნას დაიმსახურებთ. *მანანა*, ანუ ფიქრი არის *ტაპახი*, რომელსაც ბჰრიგუ-ვალი ასწავლის. ამ პროცესის დახმარებით ჭეშმარიტი „მე“-ს არსი (*ბრაჰმა-ატმა-ხვარუჰა*) ცნობიერებაში ჩაიბეჭდება.

კონცენტრაცია ეხმარება ყურადღების განვითარებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ პრინციპზეა მიმართული. ორ ნაწილში, ბრაჰმა-ვალიში და ბჰრიგუ-ვალიში, ისწავლება *ბრაჰმავედი* – დისციპლინა, რომელიც *ბრაჰმანის* რეალიზაციას უზრუნველყოფს. ბრაჰმა-ვალი ასწავლის, ბჰრიგუ-ვალი პრაქტიკაში ამტკიცებს.

ვარუნა თავის გაუს ბჰრიგუს ეუბნება, რომ *ბრაჰმანი* არის საკვები, *პრანა*, გრძნობები, *მანასი*, *ვაჩი* და ა.შ. მაგრამ როდესაც ვაჟი შეიტყობს, რომ ეს ყველაფერი *ბრაჰმანი* არ არის, იგი აცხადებს, რომ *ბრაჰმანი* არის ის, რომლისგანაც ყველა ეს საგანი იბადება და რომლის წყალობითაც ისინი ცოცხლობენ და ფუნქციონირებენ. დასაწყისში იგი ფიქრობდა, რომ საკვები *ბრაჰმანია*, რამდენადაც ყველა ცოცხალი არსება საკვების წყალობით არსებობს, მაგრამ შემდეგ იგრძნო, რომ *ბრაჰმანი* რაღაც უფრო მეტს შეიცავს. და სთხოვს მამას ჭეშმარიტ რეალობას, *ბრაჰმანს* აზიაროს იგი.

ამის შემდეგ მამამ უთხრა, რომ ასკეტური მოღვაწეობაა (*ტაპასი*) *ბრაჰმანი*, რადგან *ტაპასის* მეშვეობით შეიცნობა რეალობა, მაგრამ *ტაპასის* დახმარებით ბჰრიგუმ გაარკვია, რომ *ვიჯნიანაა ბრაჰმანი*, რადგან *ვიჯნიანაში* იბადებიან ცოცხალი არსებები და *ვიჯნიანას* წყალობით ცოცხლობენ ისინი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა შესწავლის საგანსა და დისციპლინას შორის *ბრაჰმავედი* წარმოადგენს ყველაზე უფრო წმინდას, ღვთაებრივსა და საიდუმლოს. არ შეიძლება *ანას* (საკვების) მნიშვნელობა უგულვებელყოთ – ასეთი უნდა იყოს ბრძენთა დასკვნა. ცხოვრების სუნთქვაც *ანაა*. ფიზიკური სხეული *ანას* ნაბოძებია. *პრანა* სხეულს იყენებს როგორც გადაადგილების საშუალებას, ამიტომ საკვები არ უნდა უგულვებელყოთ, ეს კარგად უნდა ვიცოდეთ! ცეცხლთან შეერთების შემდეგ წყალი კუჭში საკვები ხდება. წყალი, რომელიც ზემოდან წვიმის სახით მოდის, თავის თავში ატარებს „ცეცხლს“ - გაელვებას. ამიტომ, როგორი განდიდებულიც არ უნდა იყოს წყლის ელვარე ჩინებულება (*აპოჯიოტი*), მუდამ უნდა გვახსოვდეს საკვების ძლიერება და პატივს ვცემდეთ მას. საკვები არის *გურუ*, რადგან *ბრაჰმანის* შეცნობასთან მივყავართ, მას უპატივცემულოდ არ უნდა მოვეპყროთ. მოსწავლემ ეს უნდა მიიღოს როგორც აღთქმა, როგორც უდავო ჭეშმარიტება.

რამდენადაც ფიზიკური სხეული საკვების ტრანსფორმაციას წარმოადგენს, მას გააჩნია *ანამია-კოშა* (საკვების გარსი); სასიცოცხლო სუნთქვა, *პრანა*, ქმნის სხვა გარსს, *პრანამიას*. იგი ბალანსირებს სიკეთესა და ბოროტებას შორის, სიმართლესა და სიცრუეს შორის გონების გარსის, ანუ *მანომია-კოშას* შიგნით. როდესაც გონება მიზანს ისახავს, რაიმე ნაბიჯს დგამს, ეს უკვე *ვიჯნიანამია-კოშას* (გონის გარსის) ფუნქცია ხდება. როდესაც მიღწევის სიხარული მოდის, მოქმედებს ნეტარების გარსი – *ანანდამია-კოშა*.

იმ გაგებისაკენ რომ წაიწიოთ, რომ თქვენ *ბრაჰმანი* ხართ, და არა სხეული, *პრანამია* გამოიყენება როგორც პირველი საშუალება. იგი ფაქიზი, სხეულისაგან განცალკევებული, მისგან განსხვავებულია. აქტიურდება ჰაერით (*ვაიუ*) და მით არის გაჯერებული. იგი მთელ *ანამია-კოშას* გამსჭვალავს და კოორდინაციას უკეთებს. შეიძლება ითქვას, რომ *პრანამია* *ანამიას* სულია, რამდენადაც იგი მთელ სხეულს თავიდან ფეხებამდე ფუნქციონირების უნარს ანიჭებს. საკვების გარსს (*ანამიას*) არ შეუძლია *პრანას* გარეშე იარსებოს, ეს მისი მამოძრავებელი ძალაა. *პრანას* ხუთი ნაირსახეობა აქვს: საკუთრივ *პრანა*, *აპანა*, *ვიანა*, *უდანა* და *სამანა*. როდესაც გააცნობიერებთ, რომ *პრანამია* *ანამიას* „სულია“ (*ატმანი*), თქვენ ემშვიდობებით წარმოდგენას სხეულის შესახებ როგორც რაიმე დამოუკიდებლისა. თქვენ მაღლა იწევთ – უხეშიდან ფაქიზისაკენ. *პრანა* ჰგავს გამდნარ ლითონს ტიგელში. თუ ძალისხმევას გამოიჩენთ, *პრანამია-კოშა* შეიძლება ხელმისაწვდომი და საგრძნობი გახდეს.

პრანა სუნთქვის ფორმით იჩენს თავს. *პრანა* სასიცოცხლო ძალას აძლევს თავს, *ვიანა* – სხეულის მარჯვენა ნაწილს, *უდანა* – მარცხენა, *სამანა* – ცენტრალურ და *აპანა* - სხეულის ქვემო ნაწილებს. *პრანა* მოძრაობს გულიდან სახის, ცხვირის და ა.შ. ნერვულ არხებში და თავამდე აღწევს. აქედან იგი აღძრავს სხვადასხვა ნერვულ დენებს, რომლებსაც სხვადასხვა დასახელება აქვს და რომლებიც გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს - სხეულში გავრცელდეს. მაგალითად, *პრანას*, რომელიც ჭიპის გარშემო მოქმედებს, *სამანა* ჰქვია.

იაჯურვედა *მანომია-კოშას* (მენტალური გარსის) „თავია“; *რიჩები* (რიგვედას ჰიმნები) მის მარჯვენა ფრთას აყალიბებს,

სამავედას ჰიმნები – მარცხენას; *ბრაჰმანები* მისი სულია; ადჰარვავედა მისი კუდია; იაჯურვედას *მანტრები* ფართოდ გამოიყენება მსხვერპლის შეწირვის (*იაგების*) დროს; მათ მაშინ წარმოთქვამენ, როდესაც საკვები საზეიმოდ წმინდა ცეცხლს შეეთავაზება. ამიტომ ითვლება იაჯურვედა „თავად“; მისი ჰიმნების ჰანგები წარმოშობს სხვადასხვა თანაბგერებს, რომლებიც წმინდას წარმოადგენს. აი რატომ ენიჭება სხვა ვედებსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა. მათი ყველა *მანტრა* მენტალურ გარსში გარდაქმნებს იწვევს, მათი წყალობით კი *ატმანი* მთელი თავისი ჩინებულებით ბრწყინავს. სწორედ ამიტომ შეადგენენ ვედები და მათი ბგერების საიდუმლო თვით *ატმანის* სწავლებას, თვითონ ვედები კი მარადიულ ღირებულებასა და მარადიულ სიცოცხლეს იძენენ. ადჰარვავედა განმარტავს სხვადასხვა წეს-ჩვეულებებს, რომლებიც სწავლებებისა და ბოროტი ძალების დამარცხებაში გვეხმარება, ამასთან დაკავშირებით მას ხატოვნად „კუდს“ უწოდებენ.

გარდაქმნილი *მანომაია-კოშა* ზავდება *ვიჯნიანამაიაში*, შემდეგ კი – *ანანდამაიაში*, და ბოლოს და ბოლოს სულიერი მაძიებელი, როდესაც მათაც კი გასცდება, შედის სუფთა ჭეშმარიტი ყოფიერების (*სატ-ის*) სფეროში.

თავი 12 ბრაჰმანუბჰაშა-უპანიშადი

ბრაჰმანი, რომლის შესახებაც, როგორც
ვედანტა ამბობს, შეიძლება ითქვას
მხოლოდ „ის არა“, „ის არა“, მე თვითონ ვარ.
ჩემი რეალობა *ბრაჰმანია* ჩემი გულის სიდრმეში.
სწორედ მე ვარ ის *ბრაჰმანი*.

შრუტები („მოსმენილი“, ანუ ღმერთისგან ზემთაგონებული საღმრთო წერილები) აცხადებენ: *ეკამ ევა ადვიტიიამ ბრაჰმა* (*ბრაჰმანი* ერთია, არ არსებობს მეორე), ეს ნიშნავს, რომ *ბრაჰმანის* გარდა არაფერი არ არის. ნებისმიერ პირობებში, ნებისმიერ დროში, ყველგან *ბრაჰმანი* ერთია. დასაწყისში იყო მხოლოდ სუფთა ყოფიერება (*სატ*) და სხვა არაფერი, ამბობს

ჩჰანდოგია-უპანიშადა. მანდუკია მას უწოდებს სიმშვიდეს, მადლს, ერთიანობას (*შანტამ, შივამ, ადვაიტამ*). „ორი“ არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც ვითარდება და თავის თავს ამჟღავნებს. დანახული ერთი მეორისაგან განსხვავდება, და მთელი დანახული განსხვავდება დამნახავისაგან. უფრო მეტიც, დანახული შეიძლება იყოს დამნახავის კეთილი ან არაკეთილი განწყობილების შედეგი, მისი წარმოდგენის, მისი გრძნობების, მისი აღტყინებებისა და მისწრაფებების შედეგი. როდესაც ფანარს მიიტანენ, „გველი“ ქრება და რჩება მხოლოდ თოკი, რომელიც გველად აღიქმებოდა. როდესაც სამყარო ღვთაებრივი ცოდნის შუქზე წარმოგვიდგება, ორობითობის ილუზიური სურათი ქრება, ის სურათი, რაც გვიზიდავდა და ხელს გვკრავდა.

სწორედ „ორი“ იწვევს შიშს. თუ თქვენ ერთი პირი ხართ მსმენელიც, მაყურებელიც, მკეთებელიც, გახარებულიც, მაშინ საიდან უნდა გაჩნდეს შიში? წარმოიდგინეთ თავი ძილის დროს! გარე სამყარო არ არსებობს, თქვენს თავთან მარტო ხართ, თქვენი მდგომარეობა: „მარტო, მეორის გარეშე“. ამ **ერთის** მზერა და ამ **ერთის** თაყვანისცემა, რომელსაც ერთიანობის რეალიზაციასთან მიჰყავხართ, მოგიტანთ ამ გამოცდილებას. ისევე, როგორც „სხვა“, **ისიც** თავისი თავის იმანენტურია; როგორც ცოცხალი სუნთქვა **იგი** არის *ჩიტ*, ცნობიერების, აქტიურობის, მოძრაობის საიდუმლოება.

სატ, *ჩიტ*, *ანანდა*, *პარიპურნა*, *ნიტია* (სუფთა ყოფიერება, ცნობიერება, ნეტარება, სრულყოფილება, მარადისობა) ეს არის ხუთი ატრიბუტი, რომელთა დახმარებითაც *ბრაჰმანი* აღიწერება. მათი არსის გაგების შემდეგ *ბრაჰმანის* შეცნობა შეიძლება. *სატ* (სუფთა ყოფიერება) დროს არ ემორჩილება; *ჩიტ* (ცნობიერება) თავის თავს ანათებს და ამჟღავნებს, ისევე როგორც ყოველივე დანარჩენს; *ანანდა* (ნეტარება) აბსოლუტური ბედნიერების მდგომარეობას ქმნის; *პარიპურნამ* არც წუნი იცის, არც შევიწროება, არც დაცემა და არც დამარცხება. *ნიტია* (მარადისობა) არის ის, რაც არ ემორჩილება სივრცის, დროისა და გარემოებების ზეგავლენას.

ბრაჰმაჯნიანას შუქზე სამყარო წარმოგვიდგება როგორც მირაჟი – წარმავალი, არაქეშმარიტი; იგი ცოდნით ხდება უარყოფილი. სამყარო მხოლოდ და მხოლოდ სხვა დასახელებაა

საგნებისა, რომლებიც ჩანს, ისმინება და ა.შ. მაგრამ შენ, *ჯივი* – მხედველი – *სატ-ჩიტ-ანანდა-ბრაჰმანი* ხარ, გახსოვდეს ეს! გამყარდით ამ რწმენაში, მედიტაცია აწარმოეთ ბგერაზე *ომ*, რომელიც *ბრაჰმანის* საუკეთესო სიმბოლოს წარმოადგენს. ამ მომენტიდან იცოდეთ, რომ თქვენ *ატმანი* ხართ! როდესაც ნისლი გაიფანტება, *ატმანი* ყოველ არსებაში თავისი პირველარსებული საუცხოოობით განათდება ყოველ არსებაში. მაშინ გაიგებთ, რომ მირაჟს იყავით გამოკიდებული უდაბნოს ქვიშებში და რეალობად აღიქვამდით იმ საგნებს, რომლებსაც აქვს დასაწყისი, და ე.ი. დასასრულიც.

გონება მიბმულობების ტყვეობაში აღმოჩნდება, თუ იგი ობიექტზე კრებს ყურადღებას, სურს იგი ან მტრობას გრძნობს მის მიმართ. ამ ტყვეობიდან რომ განვთავისუფლდეთ, გონება უნდა ვავარჯიშოთ, ობიექტზე შეჩერებისგან უნდა გადავაჩვიოთ, ამასთან არც უნდა გვსურდეს, და არც უნდა უარყოფდეთ მას. სწორედ გონება გვბოჭავს, მაგრამ გონებავე გვათავისუფლებს. თუ მასში *რაჯასი* (მიბმულობა, ვნება) ჭარბობს, იგი სწრაფად ხვდება ტყვეობაში, ხოლო თუ *სატვა* (სიწმინდე, სიმშვიდე) დომინირებს, მას შეუძლია თავისუფლებას მიაღწიოს.

ვინც თავის თავს უხეშ სხეულთან აიგივებს, იგი გამალებული მისდევს სიამოვნებებს, რომლებსაც გრძნობები იძლევა. სურვილები საკუთარი თავის ფიზიკურ გარსთან გაიგივების შედეგად ჩნდება. უარი თქვით ამაზე, და სურვილები მიგატოვებენ. სიხარულზე და მწუხარებაზე, სიკეთეზე და ბოროტებაზე მაღლა უნდა დადგეთ. სიყვარული და სიძულვილი ადამიანის შიდა ინსტრუმენტებისთვისაა დამახასიათებელი. ისინი არ ეკუთვნის „ბინადარს“, რომელიც მათთან ერთად ცხოვრობს – *ჯივის*, მით უმეტეს *ატმანს*, *ჯივის* ჭეშმარიტ არსს.

ატმანი ყოველთვის სუფთაა, მიბმულობებისგან ყოველთვის თავისუფალია, რადგან არ არსებობს „მეორე“, ვისკენაც შეიძლება, რომ ეს მიბმულობა მიემართა. მუნდაკა-უპანიშადას *მანტრა* 3-1 ამბობს: ორი განუყრელი ფრინველი, რომელთაგან ერთ-ერთს ძლიერი ფრთები აქვს, მეორეს კი – სუსტი, ზის ხეზე (ხე სხეულია, ფრინველები კი – ტყუპები: *ჯივატმანი* და *პარამატმანი*). ერთი ფრინველი იმით არის დაკავებული, რომ პირს დაუდალავად იტკბარუნებს ხილით (*ჯივატმანი* სიხარულსა და მწუხარებას განიცდის იმ საქმეებით, რომელშიაც იგია

ჩაფლული). მეორე მხოლოდ აკვირდება (*პარამატმანი* უფაქიზესზე უფრო ფაქიზია და გამოდის როგორც დამკვირვებელი).

როგორ შეიძლება ეს უხეში ფიზიკური გარსი, რომელიც პლაზმისა და გამონაყოფისგან შედგება, იყოს სუფთა, მანათობელი და მარად მჭვრეტელი *ატმანი*? იგი ხომ საკვების წყალობით არსებობს, მუდამ ცვლილებებს ექვემდებარება, იგი არ იყო დაბადებამდე და არ იქნება სიკვდილის შემდეგ! იგი ყოველ წუთს შეიძლება მოკვდეს. მას შეუძლია იარსებოს, თუ თავის ერთ ან ორ ნაწილს დაკარგავს, მაგრამ როგორც კი სიცოცხლის სუნთქვა შეწყდება, იგი დაშლას დაიწყებს. ამიტომ სხეული არ უნდა მივიღოთ როგორც რაღაც მთავარი, როგორც ერთადერთი, რაც ცოცხლობს და რაც ქრება ბოლოს.

აი *იოგას* პრაქტიკა, რომელიც თქვენ უნდა აწარმოოთ: უთვალთვალეთ თქვენი გონების დელვას როგორც დამკვირვებელმა, თავი შეიკავეთ დასკვნებისგან და გადაწყვეტილებებისგანაც კი – როგორც „მომხრე“, ასევე „წინააღმდეგი“. კონტროლის ქვეშ გყავდეთ გონება და მისი ხრიკები. *იოგა* პირდაპირი გზაა *ჯივატმანის* სრულყოფილებისაკენ, და ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე *პარამატმანის* თანაუღერადია. მიზანი ორივეს ერთმანეთთან შერწყმაა: მაშინ ყველა უბედურება მთავრდება. ვინც *იოგას* მტკიცე რწმენით მიჰყვება და განდგომაში ურყევია, იგი აუცილებლად გამარჯვებას მოიპოვებს.

სატ-ჩიტ-ანანდაში ჩიტ ნიშნავს *ვიჯნიანას*, ცოდნის უმაღლეს დონეს, რომელიც იძლევა სრულ სიმშვიდესა და სიწმიდეს, ანუ, არსებითად, თვითშემეცნებას (*ატმაჯნიანას*), რომელიც ყოველი ადამიანის საკუთრება შეიძლება გახდეს. ჩვეულებრივ საუბარში სიტყვა *ვიჯნიანა* მეცნიერების აღსანიშნავად იხმარება, მაგრამ სინამდვილეში ეს უმაღლესი სიბრძნეა. ამ მდგომარეობაში ადგილი არ აქვს შთაბეჭდილებებს, რომლებიც *კარმიდან* მოდის, და სურვილებს, რომლებსაც *კარმა* შთააგონებს. სურვილები გონებას ამახინჯებს. სურვილებს მოქმედებებთან მიყვავართ, მოქმედებები კი გონებაში ღრმა კვალს ტოვებს. იყავით თავის თავთან მარტონი, და მაშინ შეიძლება გონება უკუიგდოს. სწორედ ამის გამო მიდიან *იოგები* გამოქვაბულებში.

ვასანები, ანუ შთაბეჭდილებები გარე სამყაროზე, ორ კატეგორიად იყოფა: *შუბჰა*, ანუ კეთილისმყოფელი, და *აშუბჰა* –

დამღუპველი. კეთილისმყოფელი შთაბეჭდილებები გათავისუფლებას ეხმარება. ჯაპა (ღმერთის სახელის ხსენება, მანტრები, ღოცვები), ჯიანა (მედიტაცია), სასარგებლო შრომა, ქველმოქმედება, უანგარო მსახურება, სიმტკიცე, თანაგრძნობა – ყველა ეს გასანა კეთილისმყოფელია. მათი დახმარებით დამღუპველი მიდრეკილებები უნდა ამოიძირკვოს, ისეთები, როგორიცაა მრისხანება, სიხარბე, ჟინი, ეგოიზმი. მაგრამ ის კარგი იმპულსები, რომლებიც მაგნე იმპულსების დასამარცხებლად გამოიყენებოდა, ასევე უნდა მოცილებულ იქნას, როგორც ნემსს გადაადგებენ ხოლმე იმის შემდეგ, რაც ფეხიდან ეკალს ამოიღებენ. კეთილისმყოფელი გასანები, წარმოადგენს რა მიბმულობის პროდუქტს, ხელს უწყობს ახალ მიბმულობათა წარმოქმნას, რომლებიც მრავალ დაბადებებში შეიძლება შენარჩუნდეს. *ჯივანმუკთამ* (სიცოცხლეშივე გათავისუფლებისკენ მსწრაფმა) კეთილისმყოფელ იმპულსებზეც უნდა მოიპოვოს გამარჯვება! მაშინ მისთვის ისინი უკვე დამწვარი თოკი გახდება, რომლითაც უკვე აღარაფრის დაბმა არ შეიძლება. ჭეშმარიტად, იმ მომენტში, როდესაც *ატმა* გაბრწყინდება, გრძნობითი სურვილების, მისწრაფებებისა და ანგარების მთელი ბუღული დაიწვეება. *ჯივანმუკთა* არ გადაიხრება ვინმეს ან რაიმეს მხარეს, არაფრით იქნება შებოჭილი. იგი თავს ხრის, რომ დაისვენოს, იქ, სადაც მზე ჩადის. იგი ადამიანთა შორის დადის, უცნობი და არავის მიერ შეცნობილი. არ ცდილობს, რომ იცნონ, უფრო მეტიც, გაურბის კიდევ ამას.

როდესაც მხილველი და დანახული ერთმანეთს ერწყმის, სიხარული მეოთხე სტადიაში შედის, რომელსაც *ტურიი* ეწოდება. ამ საფეხურსაც რომ გასცდება, მაძიებელი უეჭველად მიაღწევს ჭეშმარიტ „მე“-ს – *ატმანს*. იმყოფებით რა მუდამ *ატმანში* და მის რეალობაში, თქვენ სამყაროზე მიბმულობას კარგავთ. ამასთან სულიერი პრაქტიკა უწყვეტი უნდა იყოს. ჭეშმარიტმა მაძიებელმა (*ხადჰაკამი*) მთელი თავისი შესაძლებლობები უნდა გამოიყენოს, რომ გონება მოაცილოს ამქვეყნიურ საქმეებს და იმას, რაც გრძნობებს იტაცებს, და *ბრაჰმანის* შეცნობის სუფთა და ასკეტურ მიზანზე მოკრიბოს ყურადღება.

ტამასზე დამყარებული ცხოვრების წესი და გადაწყვეტილებები მწუხარებას ზრდის; *სატვიური* ქცევები

დჰარმას ამყარებს და საზოგადოებისა და ინდივიდუუმის აყვავებას უწყობს ხელს; რაჯასის აღძვრები ამქვეყნიური გაწამაწიის ნაკადში გითრევთ. უარი თქვით სამივეზე, და მაშინ ღვთაებრივი სიბრძნის (*ბრაჰმაჯნიანას*) დიდებას ეზიარებით.

ბრაჰმანი განუზომელია თავის სიღრმეში; როგორ უნდა გაზომოს და გაიგოს იგი ამ პაწაწინა გონებამ? *ბრაჰმანი* არის *აპრაძმია*, ის, რისი გაგებებითა და კატეგორიებით აღწერაც შეუძლებელია; იგი არის *აპარიჩინა*, რაც განსაზღვრას არ ექვემდებარება; გრძნობების დახმარებით მისი მოცვა შეუძლებელია.

„*ბრაჰმანი*, რომლის შესახებაც, როგორც ვედანტა ამბობს, შეიძლება ითქვას მხოლოდ „ეს არა“, „ეს არა“, **მე თვითონ ვარ**. ჩემი რეალობა *ბრაჰმანი*ა ჩემი გულის სიღრმეში. სწორედ **მე** ვარ ის *ბრაჰმანი*, რომლის შეგნებაც სწყურია *სადჰაკას* და სწვდება კიდევ. *ბრაჰმანი* ის არის, რაც სხეულის, გონების, სასიცოცხლო სუნთქვის, ტვინის და ა.შ. უარყოფის შემდეგ რჩება“.

ამ ცოდნის მიღწევა გამორიცხვის გზით შეიძლება. ამ ხერხის დახმარებით შემდეგ დასკვნამდე მიდიხართ: „ღიახ, ეს დევადატა“ (დევადატა საკუთარი სახელია). ასევე, იყენებთ რა პრინციპს *ჯაგრატა-ჯაგრატა* („მღვიძარობიდან“, სამყაროს ილუზიიდან გამოღვიძება), თქვენ აღგენთ ჭეშმარიტებას: *ტატ-ტვამ-ასი* - „**შენ ხარ ის**“. და მაშინ საფარველი, რომელიც *ჯივის* მაღავს, ძირს ვარდება, *ჯივი* ვლინდება როგორც *პარამატმანი* ან *პარაბრაჰმანი*. *ჯივატმანს* *პარამატმანის* ბუნება აქვს.

„მე“ განეკუთვნება სწორედ ამ რეალობას, *სატ-ჩიტ-ანანდას*. მხოლოდ უმეცრებას შეუძლია იხმაროს ეს სიტყვა - „მე“ - სხეულის აღსანიშნავად! ეს უმეცრება და ეს მცდარი გაიგივება იწვევს სიხარულისა და მწუხარების დაუსრულებელ რიგს. როდესაც გარჩევის უნარს დაეუფლებით, სიტყვა „მე“ მხოლოდ თქვენი ღვთაებრივი არსის მიმართებით იხმარეთ, და ღვთაებრივი ცოდნით დასაჩუქრდებით. *ატმანის*, როგორც უმაღლესი რეალობის, შეგნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია გრძნობების კონტროლი, ფიზიკურ მიბმულობაზე უარის თქმა და სიმართლისადმი ერთგულება. *ბრაჰმანი* არის ბრიჰასპატი¹, რომელიც სულიერ გონიერებას (*ბუდჰის*) მოქმედებისკენ უბიძგებს, ეს არის *მანასის მანასი*, თვალის **თვალი**, თვითმანათობელი და თავისი სინათლით ყველას გამაცისკროვნებელი. მისი ელვარება სინათლეა, რომლიდანაც ყველაფერი იბადება. იგი მთავარი საყრდენი და დამცველია. გონებაში იგი სიბრძნეა; *მანასი* და *ბუდჰი* გრძნობების საცავია,

¹ ბრიჰასპატი - წმინდა სიტყვის ღვთაებრივი მფარველი.

მაგრამ მის გარეშე არც *მანას*, არც *ბუდჰის* ფუნქციონირება არ შეუძლია. მისგან იბადებიან ისინი, და მის მიერვე შთაინთქმებიან, როგორც ბალახი, რომელიც მიწიდან ჩნდება, შემდეგ კი კვლავ მიწის ნაწილი ხდება. ცეცხლში მოთავსებული რკინა წითლდება, გაციების შემდეგ კი კვლავ შავდება. ასევე *ბუდჰიც* ბრწყინავს *ჯნიანას* სინათლით, და *პარაბრაჰმანზე* მოსვენებული, რომელიც თვით სიბრძნეა (*ჯნიანასვარუპა*).

დმერთი, როგორც ბავშვი მუცელში, მთელ სივრცეს ავსებს. ზოგიერთები ამბობენ, რომ მხოლოდ იმ დმერთს იწამებენ, რომლის ჩვენებაც ან დანახვაც შეიძლება. ეს იმათი ჩვეულებრივი არგუმენტია, ვინც ამქვეყნიური კატეგორიებით ფიქრობს. უხეში მატერიალური მხედველობით ადვილი არ არის *პარაბრაჰმანის* დანახვა, რომელიც უფაქიზესზე უფრო უაქიზია. თქვენ ჯერ უნდა მძლავრ მიკროსკოპს დაეუფლოთ, რომელიც ამ მიზნისთვის გამოდგება. აქ საჭიროა *ჯნიანა-ჩაკშუ* ან *პრემა-ჩაკშუ* – სიბრძნის თვალი, სიყვარულის თვალი. მხოლოდ მათი დახმარებით დაინახავთ დმერთს. შეგიძლიათ ვინმეს აჩვენოთ საგანი სახელად „ტკივილი“ ან „სიტკბო“? თვალს უნარი არა აქვს ისეთი აბსტრაქტული რამ დაინახოს, როგორიცაა სიყვარული, შეცოდება, გულმოწყალება, ზნეობა, რწმენა; ეს მისი შესაძლებლობების ზღვრებს მიღმაა.

სიტყვები, მოქმედებები და ქცევები ადამიანს ეხმარება გაიგოს, რომ მის გულში სიყვარული ცხოვრობს. ასეთივე სახით შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებაც, წარმოადგენს თუ არა ადამიანი *ბრაჰმავედიას* (დმერთის შემცნობს) და რამდენად ღრმად ჩასწვდა იგი თავის საკუთარ რეალობას: მხოლოდ იშვიათად, ხანმოკლედ ეზიარება მას თუ მტკიცედ და საიმედოდ გამყარდა მასში. ღვთაებრივი სიბრძნე, ღვთაებრივი განბი, ბუნებასთან ჰარმონია – მათი მეშვეობით იხსნება და იცნობა დმერთი. ამიტომ მთელი თქვენი ძალისხმევა გამოიჩინეთ, რომ სიბრძნის თვალს, სიყვარულის თვალს დაეუფლოთ.

როგორც შაქარი შაქრის ლერწმის წვნისგანაა განუყოფელი, სიტკბო კი შაქრისგანაა განუყოფელი, ასევე *პარამატმანიც* მუდამ იმყოფება ქმნილებაში. იგი ცოცხალ არსებათა შინაგანი არსია. იგი ყველგანაა, მუდამ და ყველაფერშია. მას ფორმა არ გააჩნია. *ატმანი* არის *ა-ტანუ*, ვისაც სხეული არა აქვს. *ატმანი* არის პურუშა, ანუ შიგნით მკვიდრი¹. თუ სხეულზე მიბმულობას მოიცდილებთ და *მანას* და *ბუდჰის* გაწმენდთ, მაშინ შეძლებთ ჭეშმარიტებას შეერწყათ და შეიძინოთ მარადიული ნეტარება, უმაღლესი სამყარო, ყველაზე უფრო წმინდა სიბრძნე. მხოლოდ

¹ პურუშა, ერთ-ერთი მნიშვნელობა - „მოქალაქე“; „შიგნით მცხოვრები“.

ასე მიაღწევს ადამიანი დაბადებისა და სიკვდილის ბორკილებისგან გათავისუფლებას.

სხეულის აღმნიშვნელი სიტყვა *ღეჭა* წარმოიშვება ძირისაგან *ღაჭ*, რაც ნიშნავს „დაწვას“. იგი აღნიშნავს იმას, რაც უნდა დაიწვას. *ჯნიანის* სამი სხეული აქვს: უხეში, ფაქიზი და მიზეზობრივი. რომელი მათგანი იწვის? *ადჰიბჰუტიკა*, *ადჰიდევეიკა* და *ადჰიატმიკა* (მატერიალური, ღვთაებრივი, სულიერი ძალები), რომლებსაც ერთად ეწოდებათ *ტაპატრაია* (სამმაგი *ტაპასი*) ან *პრიდაია-კაშოპა* – ეს არის საწვავი, რომელსაც უნარი აქვს ეს სამი სხეული დაწვას და მოსპოს უფრო ძლიერად და გამანადგურებლად, ვიდრე ცეცხლს. თუ ადამიანი თავის თავს სხეულთან აიგივებს, მაშინ როგორი ცოდნაც არ უნდა ჰქონდეს, იგი სულელად უნდა იქნას აღიარებული. პირიქით, ადამიანი, რომელმაც მტკიცედ იწამა ის, რომ იგი არის *სატ-ჩიტ-ანანდა*, თვითონ გახდება ღვთაება. ნუ აიგივებთ *ჯივის* უხეშ სხეულთან სისხლისაგან და ხორცისაგან, ფაქიზ და მიზეზობრივ სხეულთანაც კი. *ატმანი* მხოლოდ თვით *პარამატმანთან* უნდა იქნას გაიგივებული. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მარადიული ნეტარება დამყარდეს. სიხარული და მწუხარება, კარგი და ცუდი თქვენ არ გეკუთვნით, ისინი გონების სფეროს მიეკუთვნება. თქვენ არ ხართ შემქმნელნი და მოქმედებების შედეგთა დამგემოვნებლები. თქვენ მარად თავისუფალნი ხართ.

როგორც ზნეობრიობა (*დჰარმა*), ასევე მანკი (*ადჰარმა*) წარმოადგენს გონების პროდუქტს, ბორკილებს, რომლებიც გულის ზღუდავს. როდესაც ადამიანი უმაღლეს ჭეშმარიტებას სწვდება, იგი ამ ორივესგან თავისუფალი ხდება და რეალობის მზერას აღწევს. როგორც აბრეშუმის ჭია პარკის ქსოვის დროს თავისივე თავს ახვევს და ამწყვდევს, ასევე ადამიანიც თავისი თავის გარშემო სურვილების პარკს ქსოვს და ამის გამო თვითონვე იტანჯება.

ატმანი არასოდეს და არაფრითაა შებოჭილი. იგი არის *ა-სამსარი*, ცვლილებებს რომ არ ექვემდებარება. მსი ბუნება სისუფთავე, მთლიანობა, სიხარული, სიბრძნეა; ხოლო იქ, სადაც ეგოა, დამოკიდებულება რჩება. სადაც ეგო არ არის, იქ თავისუფლება ბატონობს. ეგოიზმი, საკუთარი „მე“-ს სიჭარბე – აი ნამდვილი ბორკილები.

ღვთაებრივი ცოდნის მაძიებლის გზაზე სამი წინააღმდეგობა დგას: წარსული, აწმყო და მომავალი. ისინი უნდა გადაილახოს. სიცოცხლეშივე თავისუფალი (*ჯივან-მუკთა*) ამ წინააღმდეგობებით შეწუხებული არ არის. იგი გამოვიდა მხილველის, ხილულისა და თვით მზერას შორის განსხვავებათა ზღვრებიდან; იგი მიხვდა, რომ განსხვავება ხელოვნურია,

მხოლოდ და მხოლოდ გონების პროდუქტია. როგორც კი ამ სამმაგ ილუზიას, ტრიპუტის, დაამარცხებთ, თქვენ ბრაჰმანს დაინახავთ მუდამ და ყველაფერში.

სახელებისა და ტერმინების მაჩვენებელი

ა

აბჰაია – შიშის არარსებობა

აბჰასა – ანარეკლი, მსგავსება

ავაიავა – სხეულის ნაწილი, სხეულის წევრი

ავიდი – არცოდნა, უმეცრება

ავიაპადეშია – რაც განსაზღვრას არ ექვემდებარება

აგნი (აგნი) – ცეცხლის ღმერთი, ცეცხლი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით – ჭეშმარიტი ცნობიერების აქტიური ძალა, ღვთაებრივი ნება, რომელიც ღვთაებრივი სიბრძნითაა შთაგონებული

აგნიჰოტრა – ცეცხლის თაყვანისცემის ვედური რიტუალი

ადვაიტა – „არაორობითობა“, ადვაიტა-ვედანტას ფილოსოფიური სისტემა, რომელიც სამყაროსა და ბრაჰმანის ერთიანობას აცხადებს

ადიტიები – მზის ღმერთები, ადიტის (ღმერთების „უსაზღვრო“, უმაღლესი დედის) ვაჟები

ადჰარმა – არამართლქმედება, დჰარმის კანონიდან გადახვევა

ადჰიბჰუტიკა – ფიზიკური შესაძლებლობები, რომლებიც ასკეზის შედეგად მუდავნდება

ადჰიდევია – ღვთაებრივი თვისებები, რომლებიც ასკეზის შედეგად მუდავნდება

ადჰიასა – მოჩვენებითობა, არარეალობა

ადჰიატმიკა – სულიერება, სულიერი ძალები, რომლებიც ასკეზის შედეგად იხსნება

აკაშა – ეთერი, სივრცე, ბუნების ხუთი ელემენტიდან მეხუთე

აკშარა – უძრავი, უცვლელი

ა-მანობჰავა – ცოდნა, რომელიც არაგონებრივ გამოცდილებაზეა დაფუძნებული

ანა – საკვები

ანამაია-კოშა – უხეში გარსი (საკვების გარსი), ფიზიკური სხეული

ანანდა – ნეტარება, უმაღლესი რეალობა

ანანდამაია-კოშა – ნეტარების გარსი

ანანტა – უსასრულო

ანგა – ნაწილი, სხეულის წვერი, ნერვი ადამიანის სხეულში
ანგირასა – ღვთაებრივი ბრძენი, *დეგარიში*, მიწიერი არსებების
ერთ-ერთი პირველმშობელი (გაიგივებულია პრაჯაპტი-პირველ
მამასთან)

ანგუშტამატრა – (პურუშა) „ბერა თითის ტოლი“ - *პურუშას*
(შინაგანი არსის) ტრადიციული ეპითეტი, რომელიც
უპანიშადებში იხმარება

ანგეშამანა – მაძიებელი, რომელიც ისწრაფის თავის თავში
ატმანი შეიცნოს ა-პარა ბრაჰმანის მეშვეობით, ანუ
გამუდავნებული სამყაროს მეშვეობით

ანტარიამი – უმაღლესი სული, რომელიც სხეულის გარსში
ბინადრობს, ხელმძღვანელი შეგნებულ არსებაში

ანტაჰ-კარანა – ადამიანის შიდა სამყაროს იარაღი, მისი ფაქიზი
სტრუქტურა, ანუ სული; შეიცავს გონებას (*მანასს*),
ინდივიდუალური „მე“-ს ცნობიერებას, ანუ ეგოს (*აჰამკარას*),
მეხსიერებას, ანუ ქვეცნობიერებას (*ხიტას*) და სულიერ გონებას
(*ბუდჰის*)

აპანა – ხუთი *პრანადან* ერთ-ერთი, რომელიც სხეულის ქვედა
ნაწილშია მოკრებილი

ა-პარა ბრაჰმანი – ბრაჰმანი მის იმანენტურ გამოვლინებაში, ანუ
რომელიც მატერიალური სამყაროსათვისაა განუყოფლად
დამახასიათებელი

ა-პარავიდიია – ცოდნა ბრაჰმანის იმანენტური ასპექტის შესახებ,
ანუ მისი განუყოფლად მყოფადობის შესახებ მატერიალურ,
ატრიბუტებით სავსე სამყაროში; საერო, ამქვეყნიური ცოდნა

აპარაკოშა – უხეში, მატერიალური გარსი, ფორმა;
გამუდავნებული სამყარო როგორც ბრაჰმანის უდაბლესი ფორმა

აპარიჩინა – ის, რასაც საზღვრები არა აქვს

აპრამეია – ის, რაც სიტყვებით არ აღიწერება

არანია – ტყე

არჯუნა – სახელი ძმები პანდავებიდან მესამისა, მაჰაბჰარატას
გმირისა

ა-სამსარი – სამსარის მიერ ხელშეუხებელი

ა-ტანუ – „სხეულის გარეშე“, სხეულის არმქონე

ატმა-ვიდიია – ატმანის, საკუთარი ღვთაებრივი ბუნების ცოდნა

ატმანი – უმაღლესი „მე“ ადამიანში, პირადი „მე“-ს აბსოლუტური
ასპექტი, უკვდავი უმაღლესი სული

ატმასაკშატკარა – თვითრეალიზაცია

ატმატატვა – ატმანის პრინციპი, არსითი ბუნება

ატმა-ჩაიტანიამ – უმაღლესი ცნობიერება

ატრი – სახელი ღვთაებრივი ბრძენისა, ვისგანაც წამოვიდა
ატრის გვარი, შვიდი დიადი რიშიდან ერთ-ერთისა

აშვამედჰა-იაგა – ცხენის მსხვერპლად შეწირვა; ცხენში
განხორციელებულია პრაჯაპატის თვისებები და ატრიბუტები
აშვალაიანა – რიში პიპალადას მოსწავლის სახელი
აშრამი – სულიერი საზოგადოება
აშუბჰა – არახელსაყრელი, საზიანო
აჩეტანა – არაცნობიერი

ბ

ბალა – ძალა, სიმტკიცე, სიმამაცე
ბიჯა-მანტრა – უშუალოდ გურუსგან მიღებული „თავდაპირველი“
მანტრა
ბრაჰმა – ინდუისტური სამების სამი მთავარი ღმერთიდან ერთ-
ერთი, შემოქმედების კოსმოსურ ძალთა განხორციელება
ბრაჰმვეშმა – „ბრაჰმანის სახლი“, გულის ეპითეტი
ბრაჰმვედიია – უმაღლესი ღვთაებრივი ცოდნა, ბრაჰმანის ცოდნა
ბრაჰმალოკა – „ბრაჰმანის სამყარო“, ბრაჰმანთან შერწყმის
უმაღლესი სულიერი მდგომარეობა
ბრაჰმანი – ღმერთი, ღვთაებრივი აბსოლუტური საწყისი,
სამყაროს გაგების საფუძველი, აბსოლუტური ჭეშმარიტება
ბრაჰმანი – ორჯერ დაბადებულთა უმაღლესი კასტის წევრი,
ქურუმი, რომელიც ვედების სიტყვას ფლობს
ბრაჰმანაბანდჰუ – ის, ვისაც ბრაჰმანი ნათესავები ჰყავს
ბრაჰმანანდა – ნეტარება ბრაჰმანში
ბრაჰმაჩარია – მოსწავლეობის პერიოდი, უმაღლესი
კასტებისთვის აუცილებელი – უბიწოების, უმანკოების პერიოდი
ბრაჰმა-უპასანა – ერთიანის, ბრაჰმანის თაყვანისცემა
ბუდჰი – სულიერი გონება
ბჰავა – ემოციები, ვნებები, გრძნობების რეაქციები
ბჰაგავანი – ღმერთი, „ღვთაებრივი“, „კურთხეული“; მიმართვა
ღმერთს, წმინდანს, პატივცემულ პირს
ბჰარადვაჯა – წმინდანი განდევილი, ღვთაებრივ ბრძენ
ბრიჰასპატის ვაჟი
ბჰარგავები (ბჰრიგუ) – რიშების გვარი, რომლის საწყისიც
ბჰრიგუსგან მოდის
ბჰაქთი – ერთგულება
ბჰაქთი-იოგა – ერთგულების იოგა
ბჰრიგუ – ღვთაებრივი ბრძენი (რიში), ღმერთ ვარუნას ვაჟი,
მიწიერ არსებათა ერთ-ერთი პირველმშობელი (პრაჯაპატი)
ბჰუმი – მიწა
ბჰუჯიუ – სახელი ბრძენისა, რომელიც მეფე ჯანაკამ მიიწვია
(ბრიჰადარანიაკა-უპანიშადა)

ბ

გაიატრი – ქაღალდმერთ სავიტრის ერთ-ერთი სახელი; „ვედების დედა“, აგრეთვე დასახელება რიგვედას ცნობილი *მანტრისა*, რომელიც ერთიან ღმერთს ადიდებს

განდჰა – სუნი

გარგი – ბრძენ გარგის მეუღლის სახელი, წმინდანი მოღვაწე ქალი

გიტა (ბჰაგავად გიტა) – ღვთაებრივი გალობა; მაჰაბჰარატას ნაწილი; კრიშნას და არჯუნას საუბარი, რომელშიაც კრიშნა არჯუნას უმაღლეს ცოდნას აზიარებს

გუნა – „ძაფი“, „ბოჭკო“; სამი ძირითადი თვისებრივი ძაფი, თვისებები, რომლებისგანაც ბუნების (*პრაკრიტის*) მთელი ქსოვილი იქსოვება: *სატვა, რაჯასი, ტამასი*

დ

დვაიტა – „ორობითობა“; დუალისტური ფილოსოფია, რომელიც აღიარებს, რომ სამყარო წარმოქმნილია ორი დასაბამიდან არსებული საწყისიდან (მატერია და სული), რომლებიც ერთმანეთს არასოდეს ერწყმიან

დევა – ღვთაება, ზეცაში მცხოვრები

დევადატა – მამაკაცის სახელი

დევა-ლოკა – ღვთაებრივი არსებების, ზეცაში მხოვრებთა ციური სამყარო

დევატაჯნიანა – ცოდნა ღვთაებრივ სამყაროს შესახებ

დეჰა – სხეული

დევაპარაიუგა – მესამე სამყაროებრივი პერიოდი, „ბრინჯაოს საუკუნე“

დევეშა – ანტიპატიების, მტრობის ემოციები

დურგა – შივას მეუღლის ერთ-ერთი სახელი; ღვთაებრივი შემოქმედებითი ენერგიის (*შაქთის*), ბუნების ძალის განსახიერება

დიაუ-ლოკა – ღმერთების ციური სამყარო, ანუ სულიერი პლანი, რომელიც სუფთა მენტალურ ცნობიერებას შეესაბამება

დჰარმა – მართლქმედების, სამართლიანობის კანონი, ჭეშმარიტების, ზნეობრიობის საზომი

დჰარმაკარმა – *დჰარმის* დაცვაზე დაფუძნებული *კარმა*

დჰიანა – მედიტაცია, ღრმა ფიქრი

მ

მაირავია – ზიზღი სამყაროს მიმართ, სურვილებისა და მიბძმულობების სრული უქონლობა

ვაიუ (*ვაიუ*) – ქარი, ჰაერი, ხუთი ელემენტიდან ერთ-ერთი; ქარის ღმერთი ვედებში – სასიცოცხლო ენერგიის, *პრანას* შთამაგონებელი

ვამადევა – წმინდანი ბრძენის, *რიშის* სახელი, ღვთაებრივ ბრძენ ვასიშთჰას ვაჟი

ვარუნა – „ის, რომელიც სიფართოვეს ახასიათებს“; ოკეანე; წყლების ღმერთი როგორც ყველგან გამსჭვალავი სიფართო უსაზღვრო ჭეშმარიტების სიწმინდე, ადიტის ვაჟებიდან უფროსი *ვასანები* (მრ) – იმპულსები, რომლებიც გარე სამყაროდან მოდის და მოქმედებისკენ აღძრავს

ვასტუ – რეალობა ან პირველადი სუბსტანცია

ვაჩ – მეტყველება, ხმა

ვედა-ადჰიაიანა – ვედების შესწავლა

ვედანტა – ვედების დასრულება, ანუ კულმინაცია, უპანიშადები; ფილოსოფიური მონისტური სისტემა, რომელიც ასწავლის უმაღლეს ცოდნას – აბსოლუტის ცოდნას

ვედართჰა – მიზანი ცოდნის გზაზე

ვედები – თავდაპირველი საღმრთო წერილები, რომლებსაც უდავო ავტორიტეტი აქვთ; ღმერთის სიტყვები, რომლებიც ბრძენებმა როგორც გამოცხადებები აღიქვეს; ჩვენამდე ოთხმა ვედამ მოაღწია. ესენია: რიგვედა, იაჯურვედა, ათჰარვავედა და სამავედა.

ვიავაჰარა – პრაქტიკული თანაფარდობა, კავშირი; საგანთა ემპირიული ჭეშმარიტება; პრაქტიკული ცხოვრება

ვიანა – ხუთი პრანადან ერთ-ერთი; ის, რაც სხეულის მარჯვენა ნაწილს გამსჭვალავს და მთელ სხეულში ვიტალურ (სასიცოცხლო) ენერგიას ანაწილებს

ვიასა – ბრძენი-*რიშის* სახელი, რომელიც კრიშნა დვაიპაიანას მიეცა;

ვიდია – ცოდნა უმაღლეს სულიერ აზრში; ერთიანობის ცოდნა

ვივეკა – გარჩევის უნარი, გამჭრიახობა

ვიკარა – ევოლუცია, ცვლილება, შეთვისება

ვირატ-პურუშა – კუსმოსური უმაღლესი სული; მთელი სამყაროს უმაღლესი სული

ვიშაია – განცდის საგანი; მღვიძარობის მდგომარეობაში აღქმული ობიექტები

ვიშვა – „მთელი“, „ყველაფერი“; მატერიალური სამყარო; მღვიძარობის სტადია (აღიქვება მატერიალური სამყაროს ობიექტები)

ვიშვაკარტა – კოსმოსური მშრომელი, ხუროთმოძღვარი, ყოვლისშემქმნელი

ვიშვანარა – „საყოველთაო ადამიანი“, ის ვინც ყველა ადამიანს მხარში უდგას

ვიშვარუპა – „ყველა ფორმის მფლობელი“; უნივერსალური სამყაროებრივი ფორმა

ვიშიშტადვაიტა – „ორობითობისაგან განსხვავებული“; ფილოსოფიური სისტემა, რომლის თანახმადაც ორი დამოუკიდებელი საწყისი არსებობს; ცნობიერების მქონე სული და ცნობიერების არმქონე სამყარო, რომლებიც ერთი ღვთაებრივი პრინციპის ასპექტებს წარმოადგენენ

ვიჯნიანა – შეცნობის, ანუ შასტრებში არსებული ცოდნის ცხოვრებაში განხორციელება; ყოვლისმომცველი ცნობიერება. ცოდნის საგნის ხედვის უნარი მის არსში და საყოველთაობაში

ვიჯნიანამაია-კოშა – სიბრძნის, სუფთა გონების გარსი ვედების, პურანების, ვედანტასი და მაჰაბჰარატას შემდგენელი

ო

იაგა, იაჯნა – მსხვერპლის შეწირვა

იამა – სიკვდილის ღმერთი, მკვდართა სამეფოს მბრძანებელი

იანტრა – მაგიური ნახატი, გრაფიკული სიმბოლო; იარაღი, საშუალება, ინსტრუმენტი მისაღწევად

იმანენტური – განუყრელი, დამახასიათებელი

ინდრა – ზეცაში მცხოვრებთა მეფე, ღმერთების მბრძანებელი

ინდრიები (მრ) – გრძნობათა 5 შინაგანი და 5 გარე ორგანო

იოგა – „შეერთება“, „ერთიანობა“, სისტემაში მოყვანილი ძალისხმევა, რომელიც ადამიანის თვითსრულყოფილებისკენ და უნივერსალურ და ტრანსცენდენტური არსებობისკენაა მიმართული

იშვარა – „მეუფე“, ღმერთი-მბრძანებელი

იშტა-კარმა – *კარმის* სახე, რომელიც *სადჰაკებს* ეკისრებათ და რიტუალების, ასკეზას დაცვას, ვედების შესწავლას შეიცავს

პ

კაბანთჰი – ბრძენ პიპალადას მოსწავლე

კაივალია – გათავისუფლება (*სამსარასაგან*)

კალა – დრო

კალპა – „ბრაჰმას დღე“, ერთი სამყაროს გამჟღავნების პერიოდი, რომელიც 1000 *მაჰაიუგა* გრძელდება (*მაჰაიუგა* 4 სამყაროებრივი პერიოდისგან ანუ *იუგასაგან* შედგება)

კამა – სურვილი, მისწრაფება

კანდა – განყოფილება, თავი

კარანა – მიზეზი

კარია – შედეგი

კარმა – მუშაობა, მოღვაწეობა; მოქმედებები, რომლებიც თავის შედეგებს იწვევს და ახალ დაბადებათა მიზეზს წარმოადგენს; სამყაროს მიგების კანონი, მოღვაწეობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

კარმა-ინდრიები – მომქმედი *ინდრიები*, მოქმედების ორგანოები

კარმა კანდა – განყოფილება *კარმის* შესახებ

კარმამუკთი – თანდათანობითი გათავისუფლება ზნეობრივი სრულყოფისა და შინაგანი განწყობის გზით

კარმანიშთჰა – გონების მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია ღვთისმოსავი *კარმის* ერთგულებასთან

კატიიაანა – პიპალადას მოსწავლე

კაუშალია აშვალაიანა – ბრძენ პიპალადას მოსწავლე

კაშიაპა-პრაჯაპატი – 14 პრაჯაპატიდან, ცოცხალ არსებათა პირველმშობლიდან ერთ-ერთი

კრიია – ეფექტური პრაქტიკა (იოგისა)

კრიშნა – ღმერთ ვიშნუს განსხეულება

ქშატრიი – „მეომარი“. ორჯერ დაბადებულთა მეორე კასტის წევრი – მმართველებისა და მეზრძოლების კასტისა

ლ

ლოკა – სამყარო, სფერო როგორც ფიზიკური ან სულიერი არსებობის პლანი, რომელიც ცნობიერების დონეზეა დამოკიდებული

ლოკაპალები – გრძნობათა ორგანოები როგორც სფეროები, რომლებიც გარკვეული ღვთაებების მიერ კონტროლირდება

მ

მადჰუვიდია – მზის თაყვანისცემა როგორც თაყვანისცემის ობიექტის მიმართ ერთგულების „ტკბილი“ გრძნობა („*მადჰუ*“ – თაფლი, სიტკბოება)

მადჰურა – „ტკბილი“ გრძნობა, განწყობა

მაია – სამყაროს ილუზიის, არარეალურობის პრინციპი, როგორც

მაიტრეიი – ბრძენ იაჯნავალკიას მეუღლის სახელი

რეალურობის ძალის (*შაქთის*) გამოვლინება

მანავა – ფიქრი შესმენილზე

მანასი – გრძნობადი ან აღმქმელი გონება

მანასა-პუტრა – სულიერი შვილი

მანომაია-კოშა – გონების გარსი, მენტალური სხეული

მანტრა – მაგიური სიტყვიერი ფორმულა, წმინდა შელოცვა სანსკრიტულ ენაზე, რომელიც სხვადასხვა რელიგიურ ცერემონიაზე წარმოითქმება

მანუ – კაცობრიობის 14 პირველმშობლიდან თითოეულის სახელი, რომლებიც შექმნილი სამყაროს განვითარების ყოველ პერიოდში ჩნდებიან

მარიჩი – „სინათლის სხივი“, სახელი ღვთაებრივი ბრძენისა, ბრძმას ვაჟისა, ადამიანთა მოდგმის ერთ-ერთი მთავარი პირველმშობლისა

მოკშა, მუკთი – სიკვდილისა და დაბადების წრებრუნვისაგან გათავისუფლება

მუნდა – თავი

მუნი – ბერი, განდგეილი

6

ნაიმუტიკა კარმა – მიზეზობრივი კარმა

ნაქშატრა – მთვარის სახელი; მთვარის დოდიაქის 27 „სახლიდან“ (თანავარსკვლავედიდან) ერთ-ერთი

ნამა – სახელი

ნაჩიკეტასი – სახელი გაუტამას (ვაჯაშრაवासის) ვაჟისა, რომელიც სიკვდილის ღმერთ იამას მიერ ღვთაებრივ ცოდნას იქნა გაზიარებული; ეს ისტორია კათჰა-უპანიშადას შინაარსს ადგენს

ნიდიდჰიასანა – მზერა, გონების ჩაძირვა და კონცენტრაცია ობიექტზე

ნივრიტი – გონებრივი და ფიზიკური მოღვაწეობის შეწყვეტა, მოძრაობა „შიგნითკენ“

ნიმიტაკარანა – პირველმიზეზი; მიზეზი როგორც უმაღლესი გონის ნება

ნირვიკალპასამადჰი – უმაღლესი სრულყოფილი სიმშვიდის მდგომარეობა, უმაღლეს აბსოლუტთან ერთიანობა; იოგას უმაღლესი საფეხური

ნიტია – მარადიული, დროისაგან დამოუკიდებელი

ნიტიასვაიამპრაკაშა – მარად თვითგამოსხივებადი

ნიშთჰა – მიზანსწრაფვა, ღრმა კონცენტრაცია, ერთგულების კონცენტრირებული ნება; გონების მოკრების მდგომარეობა

3

პადა – საფეხური, ფეხი, საფუძველი, საყრდენი

პანდიტი – სწავლული, განათლებული, მცოდნე, ჭკვიანი

პანჩაგნი – „ხუთი ცეცხლი“, სწავლება ხუთ სასიცოცხლო ძალაზე

პაპა – ცოდვა, ნაკლი

პარა-ბრაჰმანი – უმაღლესი ზღვარსმიღმა ბრაჰმანი მის ტრანცენდენტურ ასპექტში

პარავილია – ცოდნა *ბრაჰმანის* ტრანცენდენტური ასპექტისა
 როგორც ერთიანი, ატრიბუტების არმქონე პრინციპისა
პარამანანდა – უმაღლესი ნეტარება
პარამაპურუშა – უმაღლესი პიროვნება, უმაღლესი
 გამცნობიერებელი სული
პარამატმანი – უმაღლესი ზღვარსმიღმა *ატმანი*,
 ყოვლისგამსჭვალავი, უსაწყისო და უსასრულო უმაღლესი სული
პარამატმატატვა – ყოფიერების ერთიანობის პრინციპი, რომელიც
პარამატმანში იმყოფება
პარიპურნა – სრული, სრულყოფილი, მოუშლელი
 პიპალადა – წმინდა ბრძენის, *გურუხ* სახელი
პიტრილოკა – მამების, წინაპრების სამყარო
პრაკრიტი – „ბუნება“; მატერიალური ბუნება, რომელიც
 გამჟღავნებული სამყაროს საფუძველში დევს, ანუ სამყაროსი,
 რომელიც გრძნობათა ორგანოების მიერ აღიქმება და სამი
გუნასაგან შედგება
პრანა – აღმავალი „სიცოცხლის სუნთქვა“, სასიცოცხლო ძალის,
 ღვთაებრივი ენერგიის აღმავალი ნაკადი ადამიანის სხეულში;
 ფიზიკურ სისტემაში უნივერსალური ძალა შეაქვს და
 გასანაწილებლად წარადგენს მას
პრანავა (ომკარა) – თავდაპირველი ბგერა; წმინდა მარცვალ **ომ**,
 ხმით გამოსახული სიმბოლო ბრაჰმანისა, აბსოლუტისა
პრანავასვარუპა – თავდაპირველი ბგერა **ომ**-ის არსითი ფორმა
პრანამაია-კოშა – *პრანას* გარსი, ფაქიზი გარსი, ადამიანის
 ფაქიზი სხეული
პრატიბჰა – ინტუიცია
პრაშანტი – უმაღლესი სამყარო
პრაშნა – „კითხვა“
პრაჯაპატი – ქმნილების ყოველ ციკლში კაცობრიობის 14
 პირველმშობლიდან ერთ-ერთის სახელი
პრაჯიაკამა – ის, ვისაც სურს, რომ შთამომავლობა ჰყავდეს
პრაჯნა – ღრმა ძილის ფაზა
პრეია – კმაყოფილება, ტკბობა, წარმავალი სიხარული
პრემაჩაკშუ – სიყვარულის თვალის
პუნი – სიკეთე, სათნოება, ღირსება
პურანები – უძველესი საღმრთო წერილები, მითები, ლეგენდები,
 თქმულებები, რომლებიც ვედებზე და ვედანტაზე უფრო გვიან
 გაჩნდნენ
პურტა – *კარმის* ერთ-ერთი სახე, რომელიც *სადჰაკებისთვისაა*
 აუცილებელი: ტაძრების, თავშესაფრების მშენებლობა, ხეების
 დარგვა და ა.შ.

პურუშა – თავდაპირველი არსება, რომელიც ვირატ-პურუშას (კოსმოსური პიროვნების) ხატად და მსგავსად შეიქმნა, ფლობს *ვივეკას* (გარჩევას)

პურუშარტჰეძა (მრ) – ჭეშმარიტად ადამიანური არსებობის მიზნები; მართლქმედება (*დჰარმა*), მართლქმედითი სურვილი (*კამა*), კეთილდღეობა, რომელიც პატიოსანი გზითაა მიღწეული და სწორადაა გამოყენებული (*არტჰა*), სამსარასგან გათავისუფლება (*მოკშა*)

რ

რაგა – სიმპათიების ემოციები, მიბმულობები

რასა – გემო

რაჯასი – ბუნების *გუნებიდან* მეორე, რომელიც აქტიურ მოქმედებას, ვნებას, სურვილს შეესაბამება

რიტვიკ – ვედური ქურუმი, რომელიც რიტუალების, მსხვერპლის შეწირვის დროს ჰიმნებს გალობს

რიში – ღვთაებრივი ბრძენი

რიჩ – რიგგედას ჰიმნი

რუპა – ფორმა

ს

საგუნა – ატრიბუტების, თვისებების მქონე

საგუნა-უპასანა – კონკრეტული, ცალკეული ღვთაების თაყვანისცემა

სადჰაკა – სულიერი მაძიებელი, რომელიც სულიერი გზით მიდის

სადჰანა – სულიერი პრაქტიკა

სამადჰი – იოგური ტრანსის მდგომარეობა, იოგას ერთ-ერთი უმაღლესი საფეხური

სამანა – ხუთი *პრანადან* ერთ-ერთი, ძალა, რომელიც სხეულის ცენტრშია განლაგებული და საკუთრივ ადმავალი და დადმავალი *პრანების* წონასწორობას არეგულირებს მათი შესხვედრის ადგილას

სამაჰიტა – თავის საკუთარ არსებაში კონცენტრირებული, *სამადჰის* მდგომარეობაში მყოფი

სამვათსარა – წელიწადი როგორც თვეების რიგი

სამსარა – „წრებრუნვა“; სიკვდილთა და დაბადებათა ნაკადი

სამსარავრიკშა – ცხვრების ხე

სანატანა დჰარმა – მარადიული კანონი, მარადიული რელიგია და მისი მოძღვრება

სანიასა – განდგომა (ცხოვრებისა და სინამდვილისაგან)

სანიასი – განდგომილი

სანკალპა – ნება, ღვთაებრივი ნება; ღმერთის ნება, რომელიც ადამიანის გადაწყვეტილებებში მუდგანდება
სანქჰია – „გამოთვლა“, ინდოეთის უძველესი თეისტური ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ბრძენ კაპილას მიერაა დაარსებული; დაამუშავა სწავლება ყოფიერების 26 ფუნდამენტური პრინციპის შესახებ
სარვა-ატმა-სვარუპა – *ატმანის* ყოვლისმომცველი, ყოვლისგამსჭვალავი განხორციელება
სარვაკარმახანია – ყველა *კარმი*გან, ანუ იმ მოქმედებებისგან განდგომა, რომლებიც თავის შედეგებს ატარებს
სარვაკრიია-პარიტიია – მოქმედებების შედეგებისაგან, ამქვეყნიური მიბმულობებისაგან, სურვილებისა და განზრახვებისაგან სრული განდგომა
სარვანტარიამიტვა – საყოველთაო თვით-გამოვლინება (*ატმანისა*)
სარვაჯანა – უმაღლესი, ყოვლისმომცველი გონი
სატ – ჭეშმარიტი სუფთა ყოფიერება
სატვა – ბუნების *გუნებიდან* (თვისებებიდან) პირველი, რომელიც სიკეთეს, ჰარმონიას, სისუფთავეს, სინათლეს შეესაბამება
სატი – ჭეშმარიტება
სატიასვარუპა – ჭეშმარიტების განხორციელება
სატი-ჯნიანა – ჭეშმარიტი სიბრძნე
სატ-ჩიტ-ანანდა – ყოფიერება-ცნობიერება-ნეტარება
საქშატკარა – თვითრეალიზაცია
სვაბჰავა – ხელშეუვალი არსი
სვაიამპრაკაშა – „თვითგამოვლინება“, უმაღლესი არსებობა, რომელიც უმაღლესი სახით შეიცნობს თავისავე თავს
სვარაჯია – „თავისი თავის ბატონი“; ის, ვინც გონებას აკონტროლებს
სვარგა – „სამოთხე“, ზეციური სამყარო (როგორც ცნობიერების ერთ-ერთი პლანი)
სვარუპა – ჭეშმარიტი ფორმა; არსითი ფორმა ან სახე; განხორციელება
სვასვარუპა – თავისი ფორმა, ჭეშმარიტი არსითი ფორმა
სთჰულა-შარირა – უხეში ფიზიკური სხეული
სმარანა – მეხსიერება
სპარშა – შეხება
სრიშტი – მთლიანის ნაწილის პროექცია, მთლიანის წარმონაშობი (გამუდგანებული სამყარო)
სუკეშა – ბრძენ ბჰარადვაჯის ვაჟი
სუკშმა-შარირა – ფაქიზი სხეული
სურია (სურია) – მზე, მზის ღმერთი
სურიადევა – ღვთაებრივი ბრძენის სახელი

სურიადლოკა – „მზის სამყარო“, ერთ-ერთი უმაღლესი სულიერი სამყარო როგორც სულიერი შეცნობის საფეხური

სუშუმნა – ცენტრალური ენერგეტიკული არხი ხერხემლის გასწვრივ, *პრანას* გამტარი

სუშუმნა-მარგა – ღმერთის თაყვანისცემის გზა, ღმერთისა, რომელიც გულში ცხოვრობს; შინაგანი გზა უდაბლესიდან უმაღლესისკენ. *პრანას* დაბალი ცენტრებიდან უმაღლესისკენ აღმავლობა

ტ

ტაიჯასა – სიზმრების ფაზა

ტამასი – ბუნების *გუნებიდან* მესამე, რომელიც უმეცრებას, სიბნელეს, ჩამორჩენილობას, ინერციას შეესაბამება

ტაპასი – „მგზნებარება“, „მხურვალეობა“, მკაცრი ასკეზა როგორც სხეულის დაუძლურება ან დაწვა

ტაპატრაია – სამმაგი ტაპასი, ანუ ფიზიკური, სულიერი და ღვთაებრივი ძალების დამორჩილება

ტატვა – საფუძველი, არსი, რაიმესთვის რაღაც დამახასიათებელი, ფუნდამენტური პრინციპი

ტატ-სვარუპა – *ბრაჰმანის* ჭეშმარიტი ფორმა

ტეჯასი – სხივები, გამოსხივება, გაბრწყინება, გონების განათება

ტითჰი – მთვარის ფაზები

ტრიპუტი – სამმაგი ილუზია (შემცნობის, შესაცნობისა და თვით ცოდნის განცალკევება)

ტურიია – „მეოთხე“, ცნობიერების მეოთხე პლანი, რომელიც მღვიძრობის, სიზმრებისა და ღრმა ძილის შემდეგია, ზეცნობიერება, სუფთა ცნობიერება

უ

უდანა – ხუთი *პრანადან* ერთ-ერთი; სხეულის მარცხენა ნაწილს გამსჭვალავს და ფიზიკურ ცხოვრებასა და სულის უფრო მაღალ ცხოვრებას შორის კავშირის რეგულატორულ არხს წარმოადგენს

უდალაკა – ბრძენი, შვეტაკეტუს მამა

უპადანაკარანა – უშუალო მატერიალური მიზეზი, მიზეზი როგორც საფუძველი სიმრავლისა, რომელიც ერთიან მთლიანისგან გამჟღავნდა (როგორც თიხაა დოქების „მიზეზი“)

უპადეშა – სწავლება, დარიგება

უპანაიანა – მოწაფის მასწავლებელთან მიყვანა, მოწაფეობას ზიარების რიტუალი

უპასაკა – *სადჰანას* შემსრულებელი თაყვანისცემისა და ერთგულების გზით

უპასხანა – სულიერი პრაქტიკა, რომელიც ღვთაებრივი ფორმების
თაყვანისცემისა და პატივისცემისაგან შედგება
უპასიაშ – ის, რასაც მიღწევისკენ მსწრაფი აღწევს
უტამაპურუშა – უმაღლესი პურუშა
უტარამარგა – უმაღლესი „ჩრდილოეთის“ გზა
უტპატი – ერთიდან ბევრის გაჩენა, გამრავლება, დაბადება

უ

შაბდა – ხმა
შანკარაჩარია – ინდოელი ფილოსოფოსი, ადვაიტა-ვედანტას
მონისტური სკოლის დამფუძნებელი, ვედებისა და უპანიშადების
ამხსნელი
შანტამ – სიმშვიდე
შარირა – სხეული
შასტრები – მორალური და სოციალური კოდექსი, დაწესებული
კანონები, წმინდა ტექსტები; ცოდნა ჭეშმარიტებებზე, რომლებსაც
რეალიზაციასთან მიჰყავს ადამიანი; ძველინდური ტრქტატები
ცოდნის სხვადასხვა დარგში
შაუნაკა – მიზეზობრივ ბრაჰმას ერთ-ერთი ვაჟის სახელი; ეს
ვაჟები დაიბადნენ მისი სურვილიდან არსებებით დაესახლებინა
დედამიწა
შვეტაკეტუ – ბრძენ უდალაკას ვაჟი (ჩჰანდოკია-უპანიშადა)
შივა – „კეთილი“; ინდური სამების სამი მთავარი ღმერთიდან
ერთ-ერთი, განადგურების კოსმოსური ძალის განხორციელება
შივამ – სიკეთე, მადლუ
შრავანა – სულიერი მოსმენის პროცესი
შირას – თავი
შრადჰა – რწმენა, რელიგიური სიმტკიცე
შრეია – სიკეთე, სიკარგე, ღვთისმოსაობა, მართლქმედება
შრუტი – „მოსმენილი“; საღმრთო წერილები, რომლებსაც უდავო
ავტორიტეტი აქვთ (ვედები და უპანიშადები)

ჩ

ჩაიტანიაშ – ცნობიერება
ჩანდრა – მთვარე
ჩაქშუ – თვალი
ჩეტანა – ზეცნობიერება
ჩიტა – ცნობიერების საფუძველი, გონების სუბსტანცია,
ქვეცნობიერება, პასიური მეხსიერება
ჩიტასპანდანა – გონების ხეტიალი, მღელვარება, აღგზნება

ჯ

ჯაგატი – გამჟღავნებული, ცვალებადი სამყარო

ჯაგრატაჯაგრატა – „გამოდვიძებიდან გამოდვიძება“, გზა „უარყოფის უარყოფისა“, რომელსაც ადამიანი ერთიანის შეგნებასთან მიჰყავს

ჯალა – წყალი (როგორც ბუნების ელემენტი)

ჯანაკა – ვიდუჰას მეფის სახელი, რომელიც ბრძენმა იაჯნავალკიამ უმაღლეს ცოდნას აზიარა

ჯივა – ინდივიდუალური სული

ჯივან-მუკთი – სიცოცხლეშივე გათავისუფლებული

ჯივა-რუპა – ჯივი (ცოცხალი, განსხეულებული) როგორც არსებობის ფორმა

ჯნეია – ის, რაც ცოდნის მაძიებლებისთვის ცნობილია

ჯნიანა – უმაღლესი ცოდნა, სიბრძნე

ჯნიანა-ინდრიები – აღქმის, ამოცნობის ორგანოები

ჯნიანა-კანდა – განყოფილება ცოდნის შესახებ

ჯნიანა-მარგა – სიბრძნის გზა

ჯნიანა-ნიშთჰა – გონების მდგომარეობა, როდესაც სურვილები და მისწრაფებები არ არის

ჯნიანა-ჩაკშუ – სიბრძნის თვალი

ჯნიანი – უმაღლესი ცოდნის, სბრძნის მფლობელი

ჰ

ჰირანიაგარბჰა – „ოქროსფერი კოსმოსური ჩანასახი“;

მიზეზობრივი ბრაჰმანი, რომლიდანაც სამყაროს შექმნისას გამჟღავნებული სამყარო იშლება

ჰრიდაია-კოშა – სულიერი გულის სივრცე

სარჩევი

ინდოელ გამომცემელთა წინასიტყვაობა -----	4
<i>თავი 1</i> უპანიშად-გაჰინი -----	5
<i>თავი 2</i> იშავასია-უპანიშადა -----	10
<i>თავი 3</i> კათჰა-უპანიშადა -----	15
<i>თავი 4</i> მუნდაკა-უპანიშადა -----	21
<i>თავი 5</i> მანდუკია-უპანიშადა -----	26
<i>თავი 6</i> ბრიჰადარანიაკა-უპანიშადა -----	32
<i>თავი 7</i> პრაშნა-უპანიშადა -----	41
<i>თავი 8</i> კენა-უპანიშადა -----	47
<i>თავი 9</i> ჩჰანდოგია-უპანიშადა -----	53
<i>თავი 10</i> აიტარეია-უპანიშადა -----	60
<i>თავი 11</i> ტაიტირიია-უპანიშადა -----	65
<i>თავი 12</i> ბრაჰმანუბჰაგა-უპანიშადა -----	71
სახელებისა და ტერმინების მაჩვენებელი -----	79